პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლიტერატურული საქართველო

F76 № 577

22

[illegible] წ., თებერვლის 25. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური ორგანო. ფასი 1 მან. № 1

# საბჭოთა საქართველოს მშრომელთა წერილი ხალხთა ბელადს დიდ სტალინს

## ჩვენო ძვირფასო და საყვარელო ამხ. სტალინ!

საბჭოთა საქართველოს 15 წლის თავის საყოველთაო სახალხო დღესასწაულის დღეს ჩვენი უსაზღვრო სიყვარულისა და ერთგულების სასიხარულო, გულწრფელი გრძნობები მოპყრობილია შენსკენ, დიდო ბელადო, ბრძენო მასწავლებელო, მთელი მსოფლიოს მშრომელთა მეგობარო.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით ქართველმა ხალხმა და საქართველოს ყველა ხალხებმა მიაღწიეს განთავისუფლებას და ძლევამოსილად აშენებენ ახალს ბედნიერ, სოციალისტურ ცხოვრებას.

მშრომელთა სისხლით არის დაწერილი ჩვენი ხალხის გმირული წარსულის ისტორიის ფურცლები.

ჩვენი მოთხრის და გასრესის ვინღა არ იყო მდომელი!
ხმალს გვცემდა რომის სარდალი, მოგვდევდა მაკედონელი,
ვინ არ ჰკორტნიდა ჩვენს მიწას სისხლით გასვრილი ხელებით,
არაბ-ოსმანთა, მონღოლთა, სასტიკი დამპყრობელები.
გვაოხრეს, დაგვანაფოტეს, ცრემლების წყარო გვადინეს,
ყეინ-ხონთქარმა—ფაშებმა მახვილით ჩაგვინადირეს.
ცხენქვეშ, ფეხებქვეშ გვლეწავდენ, მოსჩქეფდა სისხლის ღვარები
დათხარეს ჩვენი მთა-ბარი, ამრავლეს ნასახლარები.
გაავსეს ქართლის ტყვეებით ალჟირ-სტამბოლის ბაზარი,
ღამეს ღრუბელი მოჰქონდა, დილას—ახალი თავზარი.
სულ ბნელი იყო ჩვენი დღე, წყვდიადი გაათებული,
ერთი ელავდა თვალებში-მტრის ხმალი განათებული.
სიცოცხლის წყაროს გვიშრობდნენ, გვწყუროდა წელი მრავალი.
ჩაგრულთა სისხლით, წარსულმა სწერა თავგადასავალი.
ჩვენი კვნესა და ვაება, ბავშვს წამში დააბერებდა,
რომ ქცეულიყო კვამლადა—ქვეყანას დააბნელებდა.
ვერ მოსპეს ხალხი მშრომელი, ვერ შეუყვეს მიზანი,
შიგ ედგა გული რკინისა, გარედი—სალის კლდისანი.
მონობის უღელისათვის არ იყო დაბადებული:
არწივი იყო დაჭრილი კლდეებში დაბუდებული.
ჩვენ დავყავდით ჩვენს მეფეებს სხვისი მიწის დასაპყრობლად,
[illegible] შორეულებს მოვდებივართ ცეცხლის ღრუბლად.
გვილეწნია სპარს-ოსმალი, ყელს ვცემივართ დასახრჩობლად,
გვასროლინეს ჩვენც ისარი სხვის გულ-მკერდში დასარჭობლად,
ჩვენი ხელით მეფის დროშა სადღა აღარ გაიშალა,
აზიაში ქალამანით გვითელია ბევრი შარა,
ცხრა მთას იქით მწარე სიკვდილს შევხვედრივართ უშიშარად.
რა გვინდოდა ავღანისტანს—ჩვენი სისხლი იქ დამშრალა.
დაბრუნებულს დაგვხვდებოდა შინ ბატონის მოურავი,
ხარჯსა გვთხოვდა გადასახადს, უმოწყალო და მზარავი,
გვარბევდა და გვამტვერებდა, როგორც ქელმა გლიჯოს კრავი.
ქოხსა, გვერდით მინგრეულსა, არ ვინ ჰყვდა დამფარავი.
მიწა გვქონდა ლოგინადა, თავი—ქვაზე დებული,
თავზე გვადგა ყველა ჯურის მუქთახორა ჩითეული;
თავადი და აზნაური, ბატონი და დიდებული,
ყველა იყო ჩვენი ტვირთი, ჩვენს კისერზე კიდებული.
[illegible] გაჭირვებამ მალე მწარედ გაგვტეხა.
[illegible] მეფემ, სისხლის მსმელმა, ქრისტეს ჯვარზე ჰფიცა ჯერა.
მერე ცეცხლით შემოვიდა, სიკვდილივით დაგვეძგერა,—
ხიშტებით და ბორკილებით კავკასია მოგვტვერა.
მას უნდოდა ოქრო, ვერცხლი, მიწა, მსხვერპლი ყველა მხრიდან
ჰგვიდა, თხრიდა ყოველივეს, თავს რომელი არ უხრიდა.
საქართველო წინ გაიდო აზიისკენ გზად და ხიდად,—
გაეგებნენ თავადები, საქმე კარგად მოუვიდათ.
ერთგულებით ემსახურნენ, ათასობით მისცეს შვილი,
გამოზარდეს აფიცრები, ხმალი ჰქონდათ ლესილი,
საქართველოს, კავკასიის დაპყრობაში უდევთ წილი:
წინ უძღვოდათ ბაირაღით აფთარივით ცოლშვილი.
„დაგიმონებთ, ამოგწყვეტავთ! ჩემი რისხვა ეგეტყობათ
ვინც გაბედავს ჩემს ურჩობას ჩემი ხმალით დააეძხობა“.
და მეფემაც დაუფასა, გაუტკბილა ძველი ყმობა.
მათი გულის მოსაგებათ განამტკიცა ბატონობა.
ვითომც ყმა ბატონს გაჰყარეს, წყალობა გყვეს ამდენი,
ბრძანეს: გლეხს მიწას არ მივცემთ, ვინა გავს მოკამათენი.
თუ გლეხი ვათავისუფლეთ, ვიღა დაგვრჩება სათლელი,
გაჰქრება ჩვენი ცხოვრება, როგორც გამქრალი სანთელი“.
ყმა ბნელ საკანში ჩააგდეს, გამოშვებული ციდან,
უმიწო თავისუფლებას ნეტავ რა თავში იხადა,
ახალ ხარჯების სახელად პერანგის ნახევს ხდიდა,
მწარედ დაგვცინა ბატონმა, საქვეყნოდ დაგვთხითა.
ამოგვართო მეფემ ენა, სიტყვის კარი ამოქოლა,
ათას წლოვან ჩვენს კულტურას მოეხვია ცელის რგოლად,
უდევნელი არ დასტოვა არც თეატრი, არც სკოლა,
ხალხის ზრდა და მომავალი საუკუნოთ დააკოლა.
კავკასიის ერთა შორის აღარ დარჩა ძველი ძმობა,
წაგვისიეს ერთმანეთსა, შეგვაძულეს ძმათა ძმობა,
შუღლმა, მტრობამ, გამცემლობამ, ერთმანეთზე გაგვაცოფა,
მუხანათურ თავდასხმებით შევირცხვინეთ ვაჟკაცობა.
გავყინეთ გული საძმოთა, როგორც ვარდს ჰყინავს ზამთარი,
ძმათ სიყვარული დავკარგეთ, დიდი ხნით გულში ნატარი,
წავეკიდენით სასისხლოდ ლეკი, სომეხი, თათარი,—
სულ რუსის მეფის ბრალია, იმისი ნაოსტატარი.
გვატირა—ვაი ოჯახო, გადამწეული ბავშვებო,
გვაჩივლა—ბედო, შავბედო, ვაებავ ნაერთბაშევო,
„თუ მტერმა ასე გვირია, სახლი როდის ავაშენოთ,
გინდა სახლი ავაშენო—შიგ როდისღა მოვისვენო“.
—რადგან თვალი მუშტზე ჰქონდათ, მათრახსა და დამბაჩაზე,
ნეტა ვიღა მოგვაცლიდა ან სმაზე და ან ჭამაზე.
ჩვენი ლუკმა გაჭირვების რა ნაღველში არ ჩავაწეთ...
ჩვენი დიდი სატანჯველი სთქვა **ილია ჭავჭავაძემ**:

„დღე-და-ღამ ჩემი უწყვეტი შრომა,
დარში, ავდარში ცის ქვეშე დგომა,
ვაი-ვაგლახი, ჭირნახულობა,
თმენა, ცდა, სიმხნე და უძილობა.

მარტო ბატონის თვალსა აცხარებს
და თქვენ ცოლ-შვილო, კი არას გარგებს,
ვაიმე, ბედკრულს რაღა დამრჩება,
რომ გავახარო ცოლ-შვილის თვალი.
ვინა შრომობდა და ვინა ძღება,
ღმერთო, სად არის აქ სამართალი.

—

შენში კაცისას გრძნობას არ ხედვენ,
დედას ძუძუდან შვილსა აჰგლეჯენ,
ვინ იცის, საით სად გაჰყიდიან...
უწმინდურისა ხელითა სთხრიან
დედისა გულში უკეთეს გრძნობას,
ცოდვად უთვლიან შვილისა ტრფობას.

(ილია ჭავჭავაძე—პოემა „ არი დილი“. 1859).

მაგრამ არ შევდრკით, უღელშიც ვრჩებოდით შეუპოვარი
მივდევდით ძახილს ვაჟკაცურს, რაც გვქონდა ძველ სახსოვარი,
რაც გვიანდერძა რუსთველმა ჩვენ სიტყვა ოქრო ხმოვანი:
„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.
ველარ ვითმინეთ დარბევა მუდამ დღე ჩვენი ქონების,
სასტიკ მოძალეს შევძახეთ მუქარა გასაგონები:
„ან შევაკვდებით, ან დავრჩეთ, მტერს აღარ დავემონებით“.
და ათას რვაას თორმეტ წელს აღდგნენ კახეთში გლეხები.
ათას რვაას ორმოცდა ერთს გურიამაც და ძახა,
მალე მთელი სამეგრელოც თან მიქავს დროშას წაჰყვა,
არ ჩამორჩა,—იმერეთმაც ამბოხება გააჩაღა,
ხალხის წყრომა წამოვიდა, ტალღა ნაპირს დაეჯახა.
არ დავზოგეთ ვინცა გვცემდა და ვინც შრომა გაგვიწყალა,
გადვუარეთ სასახლეებს ცეცხლ-დანთებულ ქარიშხალად,
გავაპობდით მთას და გორას—ასეთია ხალხის ძალა
მთლად ბატონებს ამოვწყვეტდით, თუ კი ვინმეს დაეცალა.
ცულით ვიბრძოდით, კეტებით, საყელო გადახეული,
ერთად დავეცით მტარვალსა, ხელი-ხელ გადახვეული,
დავწვით, დავბუგეთ, დავხოცეთ, ვინც შეგვხვდა მტერი წყეული,
დავმართეთ რისხვა მზარავი, გულიდან ამონთხეული.
მაგრამ მონობის ბორკილებს ვერავინ გამოგვაპარა,
აზნაური და თავადი რუსის ჯარს ახლდა საფარად,
შეერთდნენ, ჩვენი ქოხები ზარბაზნის ბოლმა დაფარა,
ჩვენი მიწა და სამშობლო სიკვდილმა მოიმთაბარა.
მტერი ისევ ისე მოგვდგა, ისევ მკლავში გაძლიერდა,
გულში ბოღმას ვინახავდით, შურისგების ჟინთან ერთად,
ქვას ვკნეტავდით სიბრაზითა, თითქოს გული გაგვიჩერდა,
დახე, ჩვენი მახრჩობელა ერმოლოვი რასა სწერდა:

„მეამბოხე სოფლები დავარბიეთ და გადავბუგეთ. ბაღები და ვენახები გავკაფეთ: მოღალატენი მრავალი წლის შემდეგაც ვერ დაიბრუნებენ პირვანდელ მდგომარეობას. უკიდურესი სიღატაკე მათი სასჯელი იქნება“. (ღენერალი ერმოლოვის მოხსენებითი ბარათიდან მის საქართველოს მართველობის დროს გვ. 112)

გვეყოფა ძველი ვაება: მყინვარ მთას ამოსწვდენია,
მაგრამ ვინ გვნახა შემკრთალი, თუმც გული ბევრჯელ გვტკენია,
ვინა სთქვა: მტკვარი დამშრალა, რიონს მოედო გენია,
დაუშრობელის დაშრობა, რა დამდგრს დაუდგენია.
ხალხი თუ ჭირში გმინავდა, თან მზრდელი იყო ძალისა,
კლდესავით იდგა შემყურე იმედიანი ხვალისა,
გაჭედა მუშის მარჯვენა, ფოლადით ჯაახალისა,
აზვირთთა კლასი მშრომელი, როგორც ღვართქაფი ღვარისა.

წამოიყვანა ლენინმა მილიონების ლაშქარი,
შენც მასთან ერთად უძღოდი, მტერთა დაუნდობლად დაჰკარი,
შენ გამარჯვება მოგვეცი, გული ჩაგვიდგი მაგარი,
გაპარტახებულ ქვეყანას ფოლადი ქედააკარი.
შენმა გმირულ დაძახებამ ხალხის ღამე გაათენა,
საბრალო და ხელშეკრული შენ აქციე შავარდენად,
და როგორც ზღვის შესართავში არ დაწყდება წყალთა დენა,—
ისე ჩვენშიც, შენდა მიმართ მადლობის თქმა იმოდენა.

შემოგხარით, რომ აჰზიდე ტვირთი ძნელად საზიდველი,
გვაამაყებს კიდევ შენი ვაჟკაცობაც უწინდელი,
კავკასიის ძველ მიწაში დროშა დარგე ფერწითელი,—
შენ გიგონებს, შენ გადიდებს ათას ცხრაას ხუთი წელი...
ლენინის კვალს გაჰყვა მუშა და მშრომელი ყველა ერთა.
ახალი მზის ბრწყინვალებამ რუსის ხალხთან შეგვაერთა.
ამბოხებამ შესძრა ქუჩა, შეარყია რწმენა მტერთა,—
რაზმი, ერთხელ ერთი მუშა—ასიათას გულში მღერდა.
მაშინ ხელი თვითმპყრობელი, ჩვენს ოჯახშიც თარეშობდა,
კაცურ კაცის ყოველ ზრახვას უმალ სისხლში ჩაგვიხრჩობდა,
ქართველი და სომხის ხალხი, მოძმე თურქი—ამას გრძნობდა,
რომ საშველი აღარ არის, რომ სიკვდილი ერთხელ სჯობდა.

შენ გამოჩნდი, ბრძოლისაკენ გვეძახოდი, გაგვიხმობდი,
გულს, უმზეოდ დაობებულს, იმედებით გაგვითბობდი,
წინ იდექი, საშიშ ალაგს აღარავის დაგვითმობდი,
შენ ამიერ კავკასიის ყოველ ხალხს და მშრომელს ძმობდი.
და პირველად, ცხრაას ხუთში, როცა ქარი ამოვარდა,
ჩვენი ხალხიც დაეჯახა ბარიკადის იქით მდგართა.
წინ წამოდგა—ვინც სტალინის მტკიცე ხელი მოიმართა,
და გმირული მათი ბრძოლით ბევრი მტერი დასამარდა.

„მეგობრებო, წინ, წინ, გასწით!“—გუგუნებდა ირგვლივ მაშინ,
„წავა, წავა, კარგად წავა“—ხმელეთზე და ფართო ზღვაში.
ერთი სული, ერთი გული, ერთი ჰანგი მრავალ თქმაში.
ასე იყო, და შენი ხმა ირჩეოდა ყველა ხმაში.
შემდეგ, როცა რეაქციამ ყორნის ფრთები მოგვაფარა,





როცა შიგნი, როცა გარედ მტერმა მტერი მოგვაპარა,
და ლენინმა, მილიონებს ბრძოლის დროშა მოგვაბარა,—

შენ ამ დროშას უპატრონე, გვეძახოდი მთად და ბარად;—
—„ჭირსა შინა გამაგრება“—წესი არის ჩვენი მარად,—
ძალა პროლეტარიატის არ მოკვდება, არც მომკვდარა,
ისევ ბრძოლა, მაინც ბრძოლა, ყოველ წუთში, ყოველ გვარად“...
ხალხი გწამდა, ხალხმაც გიცნო ბელადათ და წინამძღვარად.
ათას ცხრაას ჩვიდმეტ წელში, უდიდესი ომის ბოლოს,
თვითმპყრობელი იმპერია მოჰკვდა, ველარ გაიბრძოლოს,
ამოვარდეს მისი ხსოვნა, უფსკრულებში ჩაიქოლოს,
და ჯილაგიც მენშევიზმის მისმა კუბომ ჩაიყოლოს.—

რადგან მაშინ საქართველოს დაეუფლა მენშევიკი,
ჩვენმა ოდნავ შეყოვნებამ—განაცოცხლა თითქოს იგი.—
თავადი და აზნაური, ვაჭარი და ღვდელთა ხროვა,
საქართველოს კარ-მიდამო, გადახრა და გადასძოვა.
ვაგლახ, ისევ დაგვიბრუნდა, ვინაც ერთხელ სისხლი გვწოვა.
მენშევიკებს, ხალხის მტრებს და რეაქციის საქმის მცველებს
ვინ წაშალოს შავი ლაქა ვინ შეაშროს სისხლი ხელებს.
ჩვენ ვიგონებთ ომის შემდეგ შინ მიმავალ არმიელებს.—
მათ დახვრეტას და შამქორში მათი სისხლით მორწყულ ველებს.

და თუ მეფის რეაქცია მუშებისთვის იყო მწარი,
მენშევიზმი საუკუნოდ გახდა მისი შესადარი,—
გვახსოვს ალექსანდრეს ბაღი, ჩვენი კრება, ავი დარი.
მათი ტყვია, მათი ხიშტი და მუშათა სისხლის ღვარი.
გაისმოდა გმინვა ხალხის: რად მოშხამე ნატვრის წყარო,
მწყემსო, მგელზე უარესო, შენთან როგორ გავიხარო,
დაგვდგომიხარ მესაფლავედ შენ, საფლავის პირზე მდგარო,
„თვით ოხერო, მოუვლელო, როგორ გინდა მომიარო“.
მუდამ წყალი მენშევიზმის კაპიტალის ღარზე ისხმის,
ჟორდანიაც ამას ქმნიდა, მისგან თქმული ასე ისმის:

აღმოსავლურ ფანატიკოსთ არ ვენდობი, იგი მძულსო,
იმპერიალიზმს გავყვები, ევროპიდან შემოსულსო.
ასეც მოხდა, მენშევიზმი დიად რუსეთს გამოეყო,
(აბა ვინ სთქვა, რომ ფინიას ლომის ძალა გამოელო).
დასავლეთის დამპყრობელებს ფეხქვეშ მტვერად გამოეგო,
და რაც შუბი სხვისთვის ლესა—იმავ შუბზე წამოეგო.
საქართველო გადაიქცა საალაფო რამე ქუჩად,
ბევრი უცხო მოგვევლინა ჩვენი ქვეყნის გასაფუჭად;
ჯერ გერმანელ ღენერლებთან იყავითო, გვითხრეს ყუჩად,
შემდეგ—ფრანგს და ინგლისელებს მიგვცეს თვალთა დასახუჭად,
შხამი იყო ჩვენი პური, ჩვენი ოქრო იქცა თუჯად.

მაგრამ ესეც არ იკმარეს, დაერიენ მოძმე ერებს,
ჯერ ფუძენი უცხო ტომთა როცა შიგნი აამტვერეს,—
სომხეთს, ადერბეიჯანსაც შემდეგ ხმალი დააძგერეს,
შოვინიზმის შავი დროშით ძმები ძმებზე დაამტერეს.
დაშნაკის და მენშევიკის, ვრანგელის და დენიკინის,
მძვინვარებდა რეაქცია, დღე გამეფდა მათი ლხინის,
იზრდებოდა მრისხანება ხალხის, ტალღად მონადინის,
და ჩვენშიაც მტკიცდებოდა ოქტომბერის მკლავი რკინის.

და როდესაც საქართველო ამბოხებით აიშალა,
დუშეთსა და ლეჩხუმს შუა განსხვავება წაიშალა,
ყველა აღზდგა, არვინ გახდა მენშევიზმის მაჩანჩალა,
ოსეთი და სამეგრელო, აფხაზეთის ზღვა და ჭალა.—
თვით ლენინმა, შენც ურჩიე,—დაავალა სერგოს, კიროვს,
რომ ქართული მენშევიზმი ეხლა უნდა გაიგმიროს,
მოგვეშველენ: წითელ ლაშქარს გამარჯვება აქვს და ერგოს,
რომ ვარსკვლავი ბოლშევიზმის ყოველ გულში ჩაინერგოს.

ათას ცხრაას ოცდა ერთის, ქარბუქიან თებერვალში,
დასამარდა მენშევიზმი, ჩაიძირა უფსკრულ ზღვაში,
და ბრწყინვალე ოქტომბერის რაც აენთო სხივი თვალში,—
ვიბრძვით დღემდე, ვივლით შემდეგ, შენი აზრის ნათელ კვალში.

* * *

ჩვენი ქვეყნის მაღლობები, ვით სიუხვის მაგალითი,
ხან გუმბრინით გაჟღენთილა, ხან რკინაა, ხან ბარიტი,
რას არ იტევს წყალი, მიწა და წიაღი მაღალი მთის,
ცაში ბრწყინავს ვარსკვლავებად ჩვენი ქვეყნის მარგალიტი.
მაგრამ მხეცი რუსთა მეფე, ჩვენს მხარეში გაბედული,
არ ხედავდა, მის ჩექმის-ქვეშ თუ რა იყო ჩადებული,
მას მშრომელთა ზურგი ჰქონდა გზად და ხიდად გადებული,
მის ბნელ რუსეთს ანათებდა სისხლის წვიმა ანთებული.
მხოლოდ შრომის გამარჯვებამ ხალხს უსაზღვრო ძალა მისცა,
ათასწლობით დაფარული, არე-მარე გაალვიძა,
აზრით, საქმით, მისწრაფებით დავეუფლეთ მთებს და მიწას,
და მას შემდეგ საქართველო ინდუსტრიის ქვეყნად იქცა.

„ჩვენს მიწის წიაღშია მარგანეცი, ქვანახშირი, ნავთი, დარიშხანი, ბარიტი, გუმბრინი, მოლიბდენი, მარმარილო და კიდევ მრავალი ძვირფასი სასარგებლო მადანი, რომელთა ფართოდ დამუშავება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ხორციელდება.

საბჭოთა ხელისუფლებამ ახალ ტექნიკურ საფუძველზე მოახდინა რეორგანიზაცია ჭიათურის მარგანეცის მაღაროებისა, რომლებმაც 1935 წელს 1.180 ათასი ტონა მარგანეცი მოგვცეს.

მოეწყო მრეწველობის ახალი დარგები — მანქანათმშენებლობის, სამთომადნო, ფერომარგანეცის; საფეიქრო, აბრეშუმის საქსოვი, ქიმიური, სატყეო, ჩაის, საკონსერვო, საშენი მასალების მრეწველობა და სხვა.

იზრდებიან საქართველოს სამრეწველო კერები, სახეს იცვლიან ჩვენი ქალაქები.„

ხალხი შეკრბა, მთებს მოედო ლაღუმების ხმა და ცეცხლი,
ნიადაგმა მოგვცა ოქრო, მარმარილოს ქვა და ვერცხლი,
მიწის გული და სიუხვე ფეროს ქარხნებს გადავეცით,
რომ საბჭოეთს არ დააკლდეს ფოლადი და მარგანეცი.
ღვივის ფერო, იმერეთის არე-მარეს კვამლით ბოლავს,
ღვივის ფერო, ღუმელები ცეცხლის ალში წრთვნიან ფოლადს,
რომ ქალაქის მრეწველობას არ მოუხდეს უქმად დგომა,
რომ ქარხნებმა კოლექტივებს მანქანები მისცენ ბლომად.
მთის თხემიდან გადმოვარდნილ ჩვენი წყლების ენერგიას,
სოფლებზე-და ქალაქებზე ცეცხლი დაუძგერებია,
დაზგები-და მანქანები ყველგან აუმღერებია,
სვეტს ვარსკვლავი გამოუსხამს, ღამე მოუგერებია.
ზაჰესს, აბჰესს, ალაზანჰესს და რიონჰესს აქებს ყველა,
შუაღამეს ანათებენ, როგორც დიდი ცისარტყელა.
სოხუმჰესს და აწჰესს ვნახავთ, შუქს ტყორცნიდენ მთა და ველად,
და ხრამჰესიც მათ სინათლეს გაასამებს უეჭველად.
რკინის გზამაც ლიანდაგით შეაერთა თანდათანა,
ბროწეულა წყალტუბოსთან და ტფილისი სოხუმთანა,
ჩვენს სოფლებს და ჩვენს ქალაქებს რომ უვლიდით განდაგანა,
ეხლა ყველგან გაგვიხშირდა ორთქმავალი და მანქანა.
ქუთაისი—ერთს დროს ბუდე მუქთახორა თავადების,
ამოშენდა, შენობებიც დგანან მაღალ-ტანადები
მრეწველობით გაიზარდა, ხარობს ცეცხლის დაბადებით,
და შორიდან გვესალმება რიონჰესის განათებით.
ჩვენი ბლომა ნედლეული უმუშევრად აღარა ძევს,
ვხედავთ ბათომს—ცეცხლით ქშინავს, დგება დილის ნაღარაზე,
მრეწველობა აამაყებს ზუგდიდს, ფოთს და მახარაძეს,—
გუგუნია ქარხნებისა, ვიცნობთ კვამლის ჰაღარაზე.
უხსოვარ დროში ნაშენი, ქარცეცხლში გატარებული,
ტფილისს ქალაქი მტერთაგან მრავალჯერ ამტვერებული.
ვაშენეთ ახალ ნაგებად, ისიც რაც იყო ნგრეული,
კიდევ ბევრია საშენი, არა გვაქვს დამთავრებული.
ვაჭრების და ჩარჩის ბუდე, მოხელეთა ძველი კერა
მრეწველობის დიდ ქალაქად ჩვენმა ნებამ გამოჭკვერა,
ქარხნის დიდმა საყვირებმა უბან უბან იწყეს მღერა,
ზოგმა ავტო შეაკეთა, ზოგმა ჰქსოვა, ზოგმა ჰკერა.
სახლი, ბაღი, ბაღჩა, ქუჩა, ფართო გზა და ქვაფენილი.
თეატრები, სტადიონი, სულ მზით არის დაფერილი.
ელექტრონის შუქურებით — ქალაქია დარბენილი,
ვის არ უყვარს? ვის არ მოსწონს, ახალ სახე გარდაქმნილი.
სრულ ოცდა ხუთ წელს ფიქრობდა ტფილისის „დუმა“ დაბდური.
ავლაბრის გზისთვის რა ექნა, ... ფიქრში იყო ჩაფლული,
ერთ წელიწადში გავაკეთეთ გზა ქარაფ კლდეზე გაბმული,
ზზინავს ... ალმართი, ლამაზად ჩამოკაფული.
ერთ დროს ქართველ მებატონის სათარეშო და სადავო.
კუდაბზიკა აზნაურის სათამაშო, საბურთავო,
ველი, მთელი მიწა-წყალი, ეზო-კარი და მიდამო,—
კოლექტივებს გადაეცათ საუკუნოთ, სამუდამოთ.
მთაზე, კლდეზე, ყამირებზე შეტევაა ჩქარ-და ჩქარი.
წინ მივდივართ, ვიბრძვით, შეიცხვეს ცრუ-დამკვრელი და ლაჩარი.
მრავალ ათას იარაღით ამოვიღეთ მიწის ჯავრი.
ათას რვაას ტრაქტორს მართავს სტახანოველთ შრომის ჯარი.
გარდამავალ დროშისათვის არის დავა, არის „ომი“,
შრომა გახდა სასახელო, ჩვენს ქვეყანას გავზრდით შრომით,
მინდვრის დამკვრელ ბრიგადების დაუშრეტელ ნდომით, ღონით,—
„ხობს“, „უდაბნო“ ეჯიბრება და „ოჩხამურს“ „დიდიჭყონი“.
მთას ხელხვავის—სიმღერებით შემოარტყეს ირგვლივ ალყა,
ეკალ-ბარდებს და ჭალაკებს შეუტია მშრომელ ხალხმა
მათი ჯანსაღ სუნთქვისაგან სივრცე ორთქლით დაითალხა,
ღელავს, შავ ზღვას უერთდება ჩაქვის ჩაის მწვანე ტალღა.
უცხო ჩაის შემოზიდვა საქართველომ უნდა მოსპოს,
მიაწოდოს ჩაი ტაშკენტს, უკრაინას, ყირიმს, მოსკოვს,
ჩვენი დაზგა ფართალს, ფარჩას, ათჯერ, ასჯერ მეტად მოქსოვს,
რომ ქართული აბრეშუმით საბჭოეთი შეიმოსოს.
რძით, კარაქით სავსე კახეთს ვენახების ფერი დაჰკრავს,
ელდარიდან ცხვრის ღრუბლები ვერ დაუძრავს წვიმას და ქარს,
ტირიფონა თავთუხს გვაძლევს, ჭარხალს გვაძლევს ტკბილს და მაგარს,
და აგარას კომბინატი საქართველოს აწვდის შაქარს.
ას კომლიდან კოლექტივში სამოცდაათს უდევს წილი,
რანაირის მიწა გინდათ, რა სიგახის, რა მანძილის,
მუშაობა დროზე არის, თავის დროზე არის ძილიც,
დღეს—საერთო ყანის გარეთ მოსავალი არის მწირი.
მოვიშორეთ სიღატაკე, მოვიშორეთ ბატონები,
მოვიშორეთ ძველი ყოფა—ბნელ წარსულში დატოვებით
„ორსანტია“, „გურიანთა“, „ტელმანი“ თუ „ნატანები“
დაუშრეტელ შრომით გახდენ მილიონის პატრონები.

ზუგდიდის რაიონის სოფელ ორსანტიის კოლმეურნეობამ მიიღო 1.500000 მან. შემოსავალი, აღბულაღ-მანგლისის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ—2.300.000 მანეთი. ქობულეთის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობამ 1.800.000 მანეთი, მახარაძის რაიონის სოფელ გურიანთის კოლმეურნეობამ—1.030.000 მანეთი, ნატანების კოლმეურნეობამ—1.150.000 მანეთი ლაგოდეხის რაიონის ტელმანის სახელობის კოლმეურნეობამ—1.000.000 მანეთი და სხვა.

ღებულობენ შრომა დღეზე — მის ნათესში, მის ნახნავში,
თხუთმეტ მანეთს, ხშირად ოცსაც, — ემატებათ ეზხი მკლავში,
რვიდან თორმეტ ათასამდე ჩააგდებენ სათვალავში,
(ეზოს გარდა) წლიურ დოვლათს. ხარობს დიდი, ხარობს ბავში.
ლაგოდეხში ბატიაშვილს სიხარულით უძგერს გული:
რვაას ოცდა ათი ერგო მას შრომადღე ეხლა, სრული,
კოლმეურნემ ოჯახობით, შესძლო საქმე არ ნახული—
ათას თუმანს ფულათ იღებს, ორას ფუთსაც ჭირნახულით.
იქვე, გამეზარდაშვილი ბატიაშვილს უკვე სჯობნის:
ათას სამას შრომადღემდე—ოცდა ათი აღარ ყოფნის,
მის ოჯახში მიიღებენ,—შეჰხარიან წელს ერთმანეთს,—
შვიდსა ათას კილო ხორბალს და თოთხმეტი ათას მანეთს.
მიმინოშვილს, კოლმეურნეს, ეხლა აქებს მთლად გურია,
მისი ოდა—სიხარულის და სიმდიდრის სადგურია:
ათას ექვსას თუმანს იღებს—შეასრულა ვარაუდი,
ზედ სიმინდიც მიიწონა ორას ოცდა ათი ფუთი.
საუკუნოთ დადგენილი აშმორებდა წყალი კოლხეთს,
მიწის ტანი გაეჟღენთა განუწყვეტელ წვიმის კოხებს,
ხავსი ედო ადამიანს, ხავსი ედო ხეებს, ქოხებს;
ტყეს შეუნთეს დინამიტი და ჭაობი აამოხეს.
აქ, ფაზისის ნაპირებზე ძველად კოლხებს ჰქონდათ ბინა
ოქროს ვერძის ოქროს ტყავი ამ შამბნარში გაიფინა,
მრავალ მოსულ არგონავტელს იგი სურდა დაერჩინა,
მაგრამ შერჩა მშრომელ კოლხეთს და სიმდიდრით გააბრწყინა.
მრავალ ათას ჰექტარ მიწას მანქანები დავასიეთ,
დავაშრეთ ჭრილობები, კოღოების ლაშქარს ვძლიეთ,
ვშრომობთ მედგრად, უჟმურისგან არ გვაჟრჟოლებს, არ გვაციებს,
ცა ოქროსფრად აუნთია მანდარინის პლანტაციებს.
ყორათსა-და ჭალადიდში მხეციც ველარ გაივლიდა,
ეხლა იგი არე-მარე ორთქლით, კვამლით დაიბნიდა,
გადაშენდნენ ლაქაშები, ტყე დაიწვა, დაიფლითა,
გადმომდგარან მცხოვრებლები ახალ სახლის აივნიდან.

რიონს გეზი შევუცვალეთ, დავაყარეთ ქვა და ლოდი,
ტყიდან, ტბიდან, ჭაობიდან წყლის სინესტე აღარ მოდის,
ზღვის ტალღებით აივსება მალე ძველი კალაპოტი,
აშენდება ნავთსადგური -- სილამაზე ქალაქ ფოთის.
გაშენდება რამი, დაფნა, ყოველ ბაღში, ყოველ გზაზე,
დაამშვენებს ტუნგო, პალმა ევკალიპტის ხეთა რაზმებს,
მაგნოლიაც ყელთ მოიხვევს ოჯალეშის ძვირფას ვაზებს,
მაშინ ნახეთ ამწვანებულ სამეგრელოს სილამაზე.
შენ რომ გეგმა დაგვისახე ათას ცხრაას ორმოცისთვის,—
შესრულდება: ოცი ათას ჰექტარს დავსძლევთ, ვიბრძვით მისთვის.
მილიარდებს ჩავაბარებთ ჩვენ საბჭოთა კავშირისთვის,
ფორთოხალს და მანდარინებს სანაქებოს ჩვენი მზისთვის.
ასი ათას კილოს ძველად ჩაის ფურცელს თუ შეჰკრებდენ,
წელს კი — თორმეტ მილიონსაც წააჭარბებს, არ დაჰნებდენ,
უმთავრესად პირველ ხარისხს სულ სასწორზე დაუდებდენ,—
ჩვენი ჩაი უცხო ჩინეთს და ცეილონს აკვირვებდენ.
ოცდა შვიდი ქარხანა გვაქვს, მორთულობით გასაკვირი,
იზრდება და წითელ მიწას ფარავს ჩვენი ჩაის ძირი:
წინეთ — ხუთას ორმოც ჰექტარს ჩაის ბუჩქი დაჰფარავდა,
ეხლა — ოცდა თოთხმეტ ათას ის შეჰხარის, ვინც ბარავდა.
მრავალ ჯიშის ვაზის ... ძველადგანვე ხარობს ჩვენში;
თელიანი, წინანდალი,—უს...ბისი ღვინის წვენში,
ქართლში—ღვინო ატენური, სამეგრელოს ოჯალეში,
და ჩხავერი გურიისა გარეული ნარინჯებში.
დავტრიალებთ ჩვენს ვენახებს, არაფერმა არ აწყინოს,
რომ სეტყვამ არ დაგვისეტყვოს, ან ყინვამ არ მოგვიყინოს
არ ვიკვეხით, მივცემთ კავშირს უკეთესს და შემრგო ღვინოს,
რომ მშრომელმა შრომის შემდეგ ოჯახურად მოილხინოს.
ეს ყოფა და ეს ცხოვრება საარაკოდ იცვლის სახეს,
გამდიდრებულ არტელებში აშენებენ ლამაზ სახლებს,
დარბაზები დაამშვენეს, მორთულობა განაახლეს,
საკრავები შეიძინეს და სიმღერაც შემოსძახეს.
ჩვენ სოფელში დაგუგუნებს ერთიანი შრომა ძმური,
უკეთესი ცხოვრებაა—ცხოვრებაა საამური;
სკოლა, კინო, სამკურნალო, რადიო და ელნათური,
და შეძლებულ გლეხობისთვის—არც ნესტია, არცა ბური.
სოფელს ბევრი ახალგაზრდა შრომის გმირი აღეზარდა,
ახლა მწყემსად აღარ არის ბატონთან და აზნაურთან.
ნასწავლი და გამოცდილი შედის ბაღში, მიდის ზღვართან,
ტრაქტორს ცეცხლი აფანტვია, კომბაინიც მოგვიმართა.
ხალხის ორგულს დასცემს ლახვარს სტახანოველთ მოძრაობა,
რადგან თითონ სტახანოვი შენმა დიდმა საქმემ შობა,
შენის აზრით, შენის რწმენით, მივალთ, უკან არ დავრჩებით,
და ყოველ დღეს დავასრულებთ ახალ ახალ გამარჯვებით.
ორთქმავალის სამჭედლოში ჭიჭინაძემ რკინა ჰკვეთა,
ორი ლატნის გაკეთება ინჟინერმა შეუკვეთა;
ერთ დღეს შვიდი გამოჩარხა, მერე—ათი გააკეთა,
თერთმეტზე რომ გადავიდა—ინჟინერი დააფეთა.
ახლა იმას ქველაშვილი შეება და შეეხომა,
ერთი ჩაის მანქანაა დასჭირდება დიდი შრომა;
ისე უცბად გამოჩარხა, ვერ მოასწრო წამოდგომა
სამ საათის სამუშაოს, შვიდი წუთი მოანდომა.
ეს გაიგო სამხარაძემ—მარგანეცი იწყებს გრიალს,
კლდეს ჩაქუჩი დააჯახა, შავი ზოდი ზოდზე ჰყრია,
რაც ებარა დასანგრევად, სამჯერ მეტი დაანგრია,
აქა-იქა იძახიან: „ცხადია, თუ სიზმარია“.
გიორგაძემ ტყიბულიდან კიდევ უფრო წაამატა,
სალუქვაძემ რომ გაიგო, გაიხარა ერთი ათად,
ბაქოს ნავთი აადუღა სულ ბენზინად გამოხადა
ასი ათას ფუთით მეტი—რაც მიანდვეს გაამზადა.

შრომის სოციალისტური ნაყოფიერების მაღალი მაჩვენებლები მოგვცეს სტალინის სახელობის ორთქმავალ-სარემონტო ქარხნის სტახანოველმა მუშებმა მ. გეწაძემ, მ. რუხაძემ, გ. ჯანვერდაშვილმა, ს. მამულაშვილმა; ბერიას სახელობის ვაგონ-სარემონტო ქარხნის სტახანოველმა მუშებმა ა. ეკალაძემ, ი. ხალიაპინმა, ვ. ჯაგაევმა; აბრეშუმ-საქსოვი ფაბრიკებისა—ქეთო ჭუმბურიძემ, სოფიო რთველაძემ, სონა ხობუამ, ნატალია კანდელაკმა; მაუდის ფაბრიკებისა—გ. ზაქარაიძემ, ა. მურადიანმა; მანქანათმშენებელი ქარხნებისა—გვენცაძემ, მ. აკოფოვმა; ტყვარჩელის სამადნოებისა—შ. გოთუამ, გ. ბოლდირევმა; ბარიტის სამადნოებისა—ა. ჯაჯულიძემ გ. უშველიძემ და სხვებმა.

ჩვენში არის კვირიკეთი, იქ ქილია სცხოვრობს ერთი
თავის საქმით გააკვირვა განა მარტო კვირიკეთი.
ციტრუსების ნამყენები დაამზადა მეტზე მეტი,
დაბარა და გადაჰფარა მშვენიერი განაკვეთი.
აჭარაზეთში კოსტანჯანი ... როგორც ძროვი,
მან თამბაქოს ნედლი ნიშა დააჭრევა ხვავზე ხვავი,
განთქმულია ახლა ყველგან ეს თამბაქოს ამკინძავი,
შევრს ასწავლა თავის საქმე, ისახელა კვლავაც თავი.

სამტრედიელმა ელენე შენგელიამ და ხობელმა თამარ ქუთელიამ ერთი კოლოფი აბრეშუმის თესლიდან მიიღეს 60-დან 80 კილოგრამამდე აბრეშუმის პარკი, უჩანეიშვილმა ნახევარ კოლოფი თესლიდან 48 კილოგრამი მიიღო.

სამმა ქალმა შეისწავლა აბრეშუმის მოვლის დარგი,
სხვების შრომა კარგი არი, მაგრამ მათი უფრო კარგი.
კოლოფიდან თითომ მოგვცა ხუთ ფუთამდე წმინდა პარკი.
ყვითელი და თეთრი პარკი, ფარჩეულის მოსაქარგი.
და მარიკა ფუნდუკიდიც, სხვებისათვის რა ცალია,
დაახვავებს ჩაის ფოთოლს — თითქოს ფეტვის მარცვალია.
ჩაის ბაღში თუ ჩავიდა, სხვა საქმისთვის არ სცალია,
ამას ვხარობთ მტერის გული ნახშირივით დამწვარია.

კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მრავლად გამოზარდეს სოციალისტური მიწადმოქმედების ოსტატები, სტახანოველები, რომლებიც ამსხვრევენ გამომუშავების ძველ ნორმებს.

აგარის მ. ტ. ს.-ის ორდენოსანმა ტრაქტორისტმა ლ. რუსიშვილმა მოხნა 1153 ჰექტარი, დავალებული 344 ჰექტარის ნაცვლად და დაზოგა 2125 კილოგრამი საწვავი მასალა.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისათვის ორდენებით დააჯილდოვა გიორგი გრიგორაშვილი, არსენ მოხევე, ეფიმ ავდოსიევი, დავით კაპანაძე, ვანო მინასაშვილი და კომბაინერი არჩილ ღუდუშაური.

გამოიზარდნენ სოციალისტური მიწათმოქმედების მოწინავეთა კადრები, რომლებიც გვიჩვენებენ საკოლმეურნეო შრომის ნაყოფიერების საუკეთესო ნიმუშებს: კოლმეურნეები ვ. შენიხია, ი. თურქია (ცხაკაიას რაიონი), ი. დოლიძე პ. მუჯირი (მახარაძის რაიონი), კ. ჩაგუნავა (მარტვილის რაიონი), გ. წულაია (ზუგდიდის რაიონი), ე. კუგული (აღბულაღ-მანგლისის რაიონი), გ. ბეგიაშვილი (სიღნაღის რაიონი), გ. ჩახვაძე (ბათომის რაიონი), ქ. კაკაბაძე (ქობულეთის რაიონი).

საქართველოს მზეს და ჰავას ყველა იცნობს, ყველა აქებს,
ზღვასთან მთებში—ვუვლით, ვაკებთ მოელვარე აგარაკებს,
ზოგან ლურჯი ფერი მეფობს, ზოგს მზის სხივი ავარაყებს
იქეთ თვალი მთას შეჰხარის, აქეთ ზღვას და ზურმუხტ ტალღებს.
ზღვის ნაპირად, სადაც მიწა ელავს მწვანე აბრეშუმით,
გულრიპშს შნოთი ეჯიბრება ხან გაგრა და ხან სოხუმი,
გუდაუთი სხივით ბზინავს, გვატკბობს ჰავა ქობულეთის
ციხის ძირში ზამთარ-ზაფხულ მწვანე ფერი ტალღებს ერთვის.
აბასთუმანს იის ფერი მზის სხივები რამდენია,
ბორჯომს ჩავა სუსტი კაცი—მოდის უფრო ჯანმრთელია,
ბახმაროს და ბაკურიანს ფიჭვის სუნი გასდენია,
წყალტუბოში წყალი არი—სასწაულის ჩამდენია.
უვარგისი დავანგრიეთ, ავაშენეთ ხელახალი,
გზა გავჭერით, დავიმონეთ სასარგებლო მთა მაღალი,
ვიხმეთ ქვეყნის მშრომელები—მოდით ნახეთ თქვენის თვალით.
შეისუნთქეთ წმინდა ჰავა საამური, შესვით წყალი.
თხუთმეტ წელში საქართველო, საარაკოდ სახეს იცვლის,
ჭეშმარიტად, ახლა მოხდა აყვავება ჩვენი მიწის,
მშობლიური წერაკითხვა ასში ხუთმა თუ არ იცის,
ჩვენში ბევრი თმა ჭაღარაც—უსწავლელად აღარ იცდის.
ყველა ბავშვი სკოლის სკამზე—ჩვენ ეს წესი წესად დავრგეთ,
ოცი ათას სტუდენტს ვხედავთ ჩვენი შრომის მოამაგეთ,
ათასობით ინჟენრები, ექიმები გამოვზარდეთ,
მცოდნე მიწის ოსტატები, განახლებულ სოფელს ვარგეთ.
ჩვენი ქვეყნის აზროვნებამ ასპარეზი გაიკაფა,
ბევრი ჩვენი მეცნიერი სინამდვილეს დაეწაფა,
მთელმა მხარემ დააფასა წინ გამწევი მათი ჯაფა,
რომ ახალი მწვერვალები დაიმონონ უფრო სწრაფად.

პროფესორებმა გ. მუსხელიშვილმა, ა. თვალჭრელიძემ, ი. ბერიტაშვილმა, ა. ჯანელიძემ, კ. ზავრიევმა, ი. ქუთათელაძემ, ტ. კვარაცხელიამ და სხვებმა გამოაქვეყნეს მთელი რიგი მნიშვნელოვანი სამეცნიერო შრომები.

ჩვენი ხალხის ჯანმრთელობა მტკიცე ხელებს აბარია,
თუ სხეული ჯანმრთელია, მაშინ სულიც მაგარია.
მკურნალების მუშაობა სნეულების ლახვარია,
გვეზრდებიან ექიმები თავის საქმეს დაჰხარიან.

საქართველოში დიდი მიღწევები მოპოებულია საბჭოთა მედიცინის დარგში. გაიზარდენ საბჭოთა მედიცინის მოწინავე კადრები პროფესორები: ნ. ყიფშიძე, კ. ერისთავი, გ. ელიავა, ი. კონიაშვილი და სხვები.

ჩვენ წარსულმა გვიანდერძა პოეზია უმდიდრესი,
მისაბაძად გამოდგება ჩვენი ხალხის ერთი წესი,
საგანძურედ მიაჩნია მას უკვდავი შოთას ლექსი,—
სიბრძნით სავსე, ფერად უხვი, მოსასმენად უამესი.
ხალხმა იგრძნო საბას სიბრძნეც გასაგები მისთვის არი,
ჭავჭავაძის ჭკუის სიღრმე—ენა სწორი და მდიდარი,

მას „მერანის“ მთქმელი უყვარს, ხან მქუხარე ხანაც წყნარი,
ვაჟკაცური ვაჟას სიტყვა, წერეთელის ტკბილი ქნარი.
ჩვენ ქართულად ვისმენთ პუშკინს, ლევ ტოლსტოის—„ჰაჯი-მურადს“.
გოგოლს ვუსმენთ, არ ვივიწყებთ უკრაინის ღამის სურათს,
და შევჩენკოს მედგარ ლექსებს ჩვენ ვკითხულობთ ჩვენებურად.
ნეკრასოვის ლექსი გვატკბობს—ვესალმებით გორკის ძმურად.
დიდ მწერლების დიდი ჩანგი მწუხარებას უფრო ჟღერდა,
პოეტს, მწერალს ახლა გული სხვანაირად აუძგერდა,
„სიტყვამ, მისმა გამოზრდილმა, ბინა ჰპოვა მშობელ ერთან,
ზურმუხტებით შეიმოსა, მარგალიტი შეიერთა“.
ზღუდეები გადალახა, კავკასიის მთებს გადასცდა,
დიდი საქმის დამნახავი, ახლა თითონ დავაჟკაცდა.
მან თეატრში შეიტანა შემომქმედი ხალხის განცდა—
სწერს და ახალ სიტყვებს სჭედავს ბევრი ჩვენი ახალგაზრდა.

მწერლები და პოეტები—გ. ტაბიძე, მ. ჯავახიშვილი, ე. გაბაშვილი, ან. ხოშტარია, დ. მეგრელი, ლ. ქიაჩელი, ნ. ლორთქიფანიძე, პ. იაშვილი, ნ. მიწიშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, ტ. ტაბიძე, გ. ლეონიძე, ს. კლდიაშვილი, კ. გამსახურდია, ა. აბაშელი, ს. ეული, პ. საყვარელიძე, ი. გრიშაშვილი და სხვები მხატვრული სიტყვის იარაღით ემსახურებიან ახალი ცხოვრებისათვის ბრძოლის საქმეს.

დრამატურგებმა—შ. დადიანმა. ს. შანშიაშვილმა, ი. ვაკელმა, პ. კაკაბაძემ, პ. სამსონიძემ, გ. ბააზოვმა, მთელი რიგი პიესები მისცეს ქართული თეატრების სცენას.

საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში გამოვიდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტები და ბელეტრისტები: ს. ჩიქოვანი, კ. ლორთქიფანიძე, რ. გვეტაძე, ე. პოლუმორდვინოვი, ა. ქუთათელი. ა. მაშაშვილი, პ. ჩხიკვაძე, დ. შენგელაია, ი. მოსაშვილი, რომლებიც თავის ნაწარმოებებში ოსტატურად ასახავენ ჩვენი დროის ჰეროიკას.

ქართველ მხატვრის ფერადებში სიხალისე ელავს ცხადად,
ჩვენ საამურ ცხოვრებასაც საამური ფერით ვხატავთ.
ახალ ყოფას, მშენებლობას, მოქმედებას ჩვენთვის საქებს,
ბევრი ჩვენი ხელოვანი მარად ქვაში აქანდაკებს.

მხატვრები—მ. თოიძე, ვ. სიდამონ-ერისთავი, ლ. გუდიაშვილი, ე. ახვლედიანი, ს. მაისაშვილი, ი. შტენბერგი, დ. კაკაბაძე, მ. მაყაშვილი, კ. სანაძე, ი. ვეფხვაძე, დ. წერეთელი, ვ. კროტკოვი, ს. ნადარეიშვილი, აბაკელია, კ. გრძელიშვილი; მოქანდაკენი—ი. ნიკოლაძე, რ. თავაძე, კ. მერაბიშვილი. ნ. კანდელაკი; არქიტექტორები—სევეროვი, ქურდიანი და სხვ. თავის ნაწარმოებებში ასახავენ სოციალიზმის მშენებლობის პათოსს.

ჩვენ უდიდეს აქტიორებს ბინა ჰქონდათ წართმეული,
ავაშენეთ თეატრები არა ერთი ათეული.
ორს იმათგანს მთელს კავშირში აქვს სახელი აწეული,
ოპერებში გავაცოცხლეთ ჩვენი ხალხის განძეული.

ქართულ თეატრში გამოიზარდნენ სათეატრო ხელოვნების ნიჭიერი ოსტატები: ა. ხორავა, ა. ვასაძე, ნ. გოცირიძე, შ. დამბაშიძე, ა. ჟორჟოლიანი, თ. ჭავჭავაძე, ნ. ჭუმსიაშვილი, დ. ანდღულაძე, ა. ინაშვილი; რეჟისორები: დ. ანთაძე, შ. ახსაბაძე, ა. თაყაიშვილი, კ. პატარიძე, გ. ჟურული; მხატვრები—ი. გამრეკელი, ს. ვირსალაძე; დირიჟორები: ე. მიქელაძე, შ. აზმაიფარაშვილი; კომპოზიტორები—ა. ბალანჩივაძე, დ. არაყიშვილი, ი. ტუსკია, ი. გოკიელი, გ. კილაძე.

მთებში, სადაც ქოხი იყო უჭერო და ულოგინო,
ბილიკი რომ ადიოდა ნადირების საზოგინო,
ახლა სულ სხვა ამბავია: ატრიალებს სურათს კინო,
რომ გააცნოს მაღალ მთასაც გამარჯვება თვალსაჩინო.

სურათები „უკანასკნელი ნსკარადი“, „წითელი ეშმაკუნები“, „ელისო“, შექმნილი რეჟისორების—მ. ჭიაურელის, ი. პერესტიანის, ნ. შენგელაიას მიერ, ეკუთვნიან საუკეთესო საბჭოთა ფილმების რიცხვს. წარმატებით მუშაობენ რეჟისორები: ს. დოლიძე, კ. მიქაბერიძე, ლ. ესაკია, ვ. მიტროფანოვი, გ. მაკაროვი.

ქარხნებში და ჩვენს თემებში, ქალაქად თუ მწვანე სოფლად
არის კლუბში, თემობაში, სიხალისე გაუქრობლად
ზოგი ჰმართავს წარმოდგენას, ან ახატავ ფერებს ლესავს,
ზოგი ხატავს, ზოგი ცეკვავს, ზოგ ავლებს ბურთის წრესაც.

* *

სტახანოველთ ყრილობაზე ერთხელ კიდევ მოგვაგონე
რა ძვირფასი მარაგია დღეს ცოცხალი ხალხის ღონე.
ვიბრძვით, ვშრომობთ ჩვენი დროშა არი უკვდავ ჯილდოს მქონე
დიდ ლენინის დიად ორდენს დაჰყარებს თავმომწონედ.
და ამიტომ ყოველ წამში, ყოველ დარგში გვადევს ვალად
გზას გაკაფულს შენის ხელით ჩვენ მივდივართ კვალდაკვალად.
ის არ კმარა რაც რომ გუშინ გამარჯვებად ჩაგვეთვალა
დღესაც კარგად, ხვალაც უკეთ, ... ჩვენი წინსვლის ძალა.
და ახალი საქართველოც უხვი ... და მდიდარი
ჩვენს ყანებში, ჩვენს ზვარებში მოსავალის დადგა დარი.
გვყავს ბერია მეთაურად და ეს ... ის საწინდარი
რომ მის ხელში არ შედრკება ორდენოსან დროშის ტარი.
ლენინმა და მისმა ძალამ გამარჯვებას მისცა გეზი
შენ გაშალე მუშაობის არნახულ ასპარეზი.
ვართ აღსავსე სიამაყით, გვაქვს სამშობლო უმჯობესი
გვახსოვს მარად, გვჯერა მარად სიტყვა შენი დანათესი:

„საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა დიდი და სერიოზული მონაპოვარია, ვინაიდან სანამ ეს მეგობრობა არსებობს, ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალნი და უძლეველნი იქნიან. ჩვენთვის არავინ არ არის საშიში—არც შინაური, არც გარეშე მტრები, ვიდრე ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს“.

ეს სიტყვები საზღვარს გასცდ, მტერი დასცეს კრულზე კრული,
რომ ჩვენსავით დავაჟკაცდეს ყველა ქვეყნის დაჩაგრული,
შეეცვალოს ლხენად ცრემლი ... აქამდე დაუღვრია
რომ გაიხსნას მისთვის კრემლი როგორც ჩვენთვის არის ღია.
შენი ერთი სიტყვა კმარა, თუ დაგვჭირდა იარაღი,
წითელ ლაშქარს გაუძღვება შენ ლენინის ბაირაღი,
მას მივყვებით კვალ და კვალ გულით მტკიცე, ძალით სალი
რომ არასდროს არ დაშავდეს ... ჩვენი ბაღი.
ხალხის მიწას არვის მივცემთ, არ დავუთმობთ არცერთ მტკაველს,
უცხო ჩექმა ვერ გათელავს ჩვენ ყანის ოქროს თაველს,
გავიმარჯვებთ, სიმღერებით ვახარებთ ისევ მთა-ველს,
ჩვენი ძალის იერიში რომელ მტერს არ გაათავებს.
რადგან ციხე არ იქნება, არ არი და არცა იყოს
შენმა სიტყვამ, შენმა ნებამ, შენმა საქმემ არ აიღოს,
შენი საქმის მოღალატე—სამშობლოდან გაირიყოს
შენ იცოცხლე, შენი მტრები აფლავებმა დაირიგოს.
ოქტომბერმა გაგვამთელა, ახლა ერებს თვალი,
უშიშარმა რუსის ხალხმა, გამარჯვებას მისცა კვალი.
ამ დიდი და მოძმე ხალხის ... ქართველებს გვმართებს ვალი,
ერთად ვართ და ერთად მივალთ, გვაქვს ერთივე მომავალი.
მან პირველმა გადალახა, გზა ... ძიმის და სიძნელის
რადგან გაჰყვა თავის დროშას, რადგან გაჰყვა თავის ლენინს,
ახლა იგი თავს ევლება თავბედს და თავის სარჩოს.
გმირულ რუსეთს, მოძმე რუსს და მის ხალხსაც გაუმარჯოს.
ჩვენ ვზეიმობთ რადგან მტკიცედ შევასრულეთ დავალება
ჩვენ ლენინი გვახსოვს მარად მისი აზრის უკვდავება.
ახლა ქართველს, თურქს დომეხს მუდამ ახსოვს მისი მცნება
ერთად ყოფნა, ერთად შრომა და ერთადვე გამარჯვება.
მოლოტოვის ყურადღება მისი ზრუნვა, მარად გვახსოვს
ჩვენს ზეიმზე მთელმა ხალხმა ერთად უნდა შემოსძახოს,
გაუმარჯოს დიდ სამშობლოს შეურყეველ სადარაჯოს,
საბჭოეთის დიდ მთავრობას და მოლოტოვს გაუმარჯოს,
საზღვარს კაცი ვერ გადმოვა შემოსული მტრად და ავად
რკინის სახკომს აბარია ესაზღვრები დასაცავად,
და თუ მარშალ ვოროშილოვს დასჭირდება ჩვენი ძალა
ჩვენი ჯარი მას გაჰყვება აარდნილ ქარიშხალად.
ჩვენ ბრძოლების პირველ დღიდან შენ მოგვეცი შთაგონება,
საზარელი მეფის დროსაც იცოდი დაღონება,
ჭირში მყოფელთ, გვარკინა შენი ხმების გაგონება
სიხარულში ჩვენთან არი შენი გული და გონება.
ჩვენო სტალინ, ჩვენო მკვიდრო, ჩვენო დიდო მოამაგე.
გაიშალა ის ნაყოფი, შენ რომ შენის ხელით დარგე.
საბჭოეთის ერთა შორის ... ერთად ჩვენც ვივარგეთ
რადგან შენი დარიგების ... სიტყვაც არ დავკარგეთ.
დღეს, როდესაც უნაპირო ... ჩვენი ხალხის,
მთაში, ბარში შინ და გარეთ ყველა ერთად შემოგძახის
გაუმარჯოს ნებით მტკიცე გულით დიადს, საქმით მართალს,
ჩვენს დიდ სტალინს გაუმარჯოს ქვეყნის ბელადს, ხალხთა სარდალს.

საქართველოს მშრომელთა წერილი ლექსად გამოსთქვეს ქართველმა პოეტებმა:
**პაოლო იაშვილმა, გიო ლეონიძემ, ნიკოლოზ მიწიშვილმა, ალიო მაშაშვილმა.**

ლექსი რუსულად სთარგმნეს პოეტებმა: **ვალერიან გაფრინდაშვილმა, ალექსანდრე ყანჩელმა, გიორგი ცაგარელმა.**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სამშობლო ბელადისა

ალიო მაშაშვილი

აი, ქვეყანა: სად უნაყოფოდ უბრალო ხეც კი არ დარჩეულა,
მთა ჩახვეულად მთას ეფარება შიგ ელვასავით გზა დახვეულა,
ვინდა: მთელი დღეუსმენდე ნიავს, რომ სიხარული იგრძნოს სხეულმა,
მიდამო პურის ნამქერებს მიაქვს, მზის შადრევნებით ცა გარღვეულა!

მთას გადაივლი, ისევ მთებია ტყის ფარჩეულით შემოსილები,
ისევ ფრიალო დაღმართებია, ირგვლივ ქუხრაა სხივთა სიმების,
ველზე გაშლილა მდელოს ხავერდი ამოქსოვილი ოქროს სირმებით,
ტანად მაღალი და რქანაკარი ხეები დგანან როგორც ირმები!

მიწა ერთია, მხოლოდ ფერებით დაშორებულან უბნებს უბნები,
ხშირად ფოთლების ლაჟვარდებიდან ბრწყინავს ატმები და ალუბლები,
მარჯვნივ: ზღვა ღელავს თავუხიანი, წაშლილან ცის და მიწის ზღურბლები,
მარცხნივ გახედავ: მთის ფერდობები დაფარულია ცხვრების ღრუბლებით!

უხვი ნაყოფის და ჭირნახულის ხვავად ქცეულა სოფლის ამაგი,
ველარ ეტევა ქვევრში, ბეღლებში ღვინო, პური და ყველის მარაგი,
გამდიდრებულა მთელი მიდამო კოლექტიური შრომის ბარაქით,
ჰფლვის სოფელი: გლეხის ეზოში დგას სურნელება რძის და კარაქის!

შეხვალ ბაღში და ყრუ ქრიამულით ცა დაგადგება მწვანე ტევრების,
ზოგან ქლიავით დაბინდულია, ზოგან სიწითლე ბჟუტავს ტყემლების,
ხენი ზემოდან ხელებს გიქნევენ, რომ მოგაწოდონ მწიფე მტევნები,
დაგავიწყდება ყმაწვილს ჰასაკი, ვაზებს ბავშვივით აედევნები!

ჩემი ქვეყანა ეგრე ლამაზი შავი ზღვის პირად აღმართულია,
თავზე გვირგვინად მუდამ მზე ადგას, მისგან ღრუბლებიც დაფანტულია
ხან გაშლილია უგზო-უკვალოდ, ხან ვენახებით დახლართულია,
მთაც ლამაზია, ბარიც ლამაზი, ცა ფიროსმანის დახატულია!

სტალინ, ეს შენი სამშობლო არი, სამაგალითო მხარედ ქებული,
გამოგყოლია მშობლის სიდინჯე, სიამაყე და სიბრძნე მთებური,
დაუშრეტელი ცეცხლის დენა ხარ —ელვა მზის შუქით განათებული,
გაუტეხელი ქვეყნის ნება ხარ—ხალხის გენიად დაბადებული!

შენ ბავშობიდან გენატრებოდა ოძელაშვილის მკლავი-მარჯვენა,
დუხჭირ ცხოვრების უკუღმართობამ ბევრი წამების დღენი გაჩვენა,
ქვა რომ დაჰკარი ქვას გულმოსულმა, უფრო აგანთო ცეცხლის გაჩენამ,
ცეცხლი ყოფილა თურმე საჭირო თავისუფლების გადასარჩენად!

ეფარებოდი ხალხს ვით ხიზანი, ლენინის ფიქრი თავზე გებურა,
მუქთახორების ბნელი ქვეყანა, შენ აღიარე დაძველებულად,
და ბოლოს შენი აზრი მართალი სიტყვით, სინათლით დაბრძენებულა,
და იგი აზრი, როგორც სიცოცხლე, კიდით-კიდემდე გავრცელებულა!

მზად იყავ: მშრომელ ხალხის გულისთვის დაჭრილ გულიდან სისხლი გეღვარა,
გაბოროტებულ მტრების წინაშე არასდროს ქედი არ მოგეხარა,
აზრებს თესავდი დედამიწაზე, რომ გაზაფხული ამოგეყვანა,
კიდეც ასრულდა: შენი დროშებით გათენებულა ჩემი ქვეყანა!

ერი ერს კლავდა, ჩვენი ცხოვრება მხოლოდ ჩხუბი და შუღლი ყოფილა,
ყოველი ერის მიწა-მიდამო ხიშტის მესრებით შემოღობილა,
მაგრამ გაირღვა მიჯნა, ყორღანი მიწაში ნაღმად რომ ჩაწყობილა,
და შენმა დროშამ, როგორც ნამუსმა ჩვენ სამუდამოდ დაგვაძმობილა!

არ ემტერება სომეხს ქართველი, ფშავს არ აწუხებს ბოლმა ქისტების,
ერთად ვართ, როგორც მდინარის ტალღა, მტრულად ერთმანეთს არ ვექიშპებით,
შავად მოსაზღვრე ქვეყნების ცაზე ერთად ელავენ ჩვენი ხიშტები,
მტრებს გული უწუხთ, სული ეხუთვით ჩვენი დროშების აქარიშხლებით!

საბჭოეთიდან ინდოეთამდე, ჩრდილოეთიდან ვიდრე დასავლით,
კაცობრიობის მხსნელი სიმბოლო, კრემლი დგას როგორც ბედის ვარსკვლავი,
თავისუფლების ბრძენი მესაჭე მუდამ შრომას და ბრძოლას გვასწავლი,
აღარ არსებობს ციხე-სიმაგრე რომ არ გასტეხოს მკერდმა ქვასავით!

დღეს შენი დროშა დაუშრეტელი ზღვებზე, ხმელეთზე ბრწყინავს შუქურებ,
შენი სახელი ზოგან ხსნა არი, ზოგან მეხივით ჰექს და გუგუნებს,
კრემლიდან, როგორც სიბრძნის კოშკიდან, გამოფხიზლებულ ქვეყნებს უყურებ,
შენი ჭკუა და ჭოგრის თვალები ხსნიან შორეულ საუკუნეებს!

ჩვენ შენთანა ვართ, შენი თვალებით გაჭრილ, გაკაფულ გზას არ ავცდებით,
ჩვენ გვასაზრდოებს შენი სიტყვები, როგორც თავთუხის პურის მარცვლები,
მილიონების აზრი, განცდაა შენი აზრი და შენი განცდები,
ვიბრძვით უმაღლეს ცხოვრებისათვის, შენ ჩვენთანა ხარ, არ დავმარცხდებით!

არის შრომა და არის ხალისი, არის შეჯიბრი, არის დაობა,
არის ყაყინა და კრიმანჭული, არის თამაში და ბურთაობა,
ბრმა იქნებოდა ჩემი ქვეყანა, რომ არ ბრწყინავდეს შენი თაობა,
რომ არ უცემდეს მკერდში ძლიერად შენი გული და გამბედაობა!

სტალინ! აღსრულდა შენი ოცნება ბავშობიდანვე რასაც მღეროდი,
დაბეჩავებულ ხალხის გულიდან შენ მზის ამოსვლას დიდხანს ელოდი,
აყვავებულა შენი სამშობლო მოხავერდებულ მთებით, მდელოთი,
დღეს—საქართველო შენით ამაყობს ვხარობთ ახალი საქართველოთი!



ლეო ქიაჩელი



კონსტანტინე გამსახურდია



მიხეილ ჯავახიშვილი

# დიდი, სახალხო!

გალაქტიონ ტაბიძე

ვინც კი პოეტის, მხატვრის, არტისტის—უშვენიერესს ატარებს სახელს
მე მინდა უთხრა: სამშობლო გიცდის, სამშობლო საქმეს გთხოვს ახალ-ახალს.
პოეტს, რომელიც წრფელია გულით, ვისიც სიმართლით ჰწყავს საწყაული—
ეხმაურება სრული გუგუნით ეს დღევანდელი დღესასწაული.

გზით გაკვალულით თამამად მიდის, ხუთმეტი წელი დიდი დიდებით,
სავსეა მხარე თუნდაც კოლხიდის სასწაულების მაგალითებით.
ამშენებელი, რომელიც წინად კარისყურამდე აღწევდა ძლივას—
თავს დასტრიალებს ფოლადს და რკინას და უდიადესს შლის პერსპექტივას.

სწორედ ის დღეა, როდესაც მხატვრებს, აურთოვანება არ აკლებს თემას,
თავისუფლებას, იდეებს, ნატვრებს: ნიჭის, ღირსების პატივისცემას.
რა ძლიერია მხატვრის იერი, როცა ამაყად დროშებს ჩაუვლის:
სტალინის დროშის მონახა ფერი, ფერი სახალხო დღესასწაულის!

# სიხარული

სერგო კლდიაშვილი

ოთარს უეცრად გაეღვიძა.

საწოლზე უხის კაცი და დასჩერებია.

ოთარმა შიშით აჰხედა.

— სიზმარია, თუ?—ვერ გაერკვა.

სიზმარს კი მართლა ჰგავდა. აქამდისაც არაერთხელ დამფრთხალა, თუ ეს სახე მოლანდებია. არა, ახლა ეს სიზმარი აღარაა. ვვერდით ზის ომან მარგიანი, ვისი შურისძიების შიშმა მოაშორა კერასა და სამშობლო მთებს. სჩანს ძნელი ყოფილა განერიდო სიკვდილს,—თურმე ბოლოს მაინც მოგძებნის, სადაც არ უნდა დაემალო.

წელიწადზე მეტია, რაც ოთარის უფროსმა ძმამ მოკლა ომანის უფროსი ძმა. მკვლელი გაექცა შურისძიებას და სამართალს, მიუვალ მთებით გზა გადასჭრა და ყარაჩაის მიაშურა, მაგრამ სადღაც ნაპრალიდან გადაიჩეხა...

არც პირველი, არც მეორე სოფელს არ დანებებია. ორივენი თავზეხელაღებული მთიულები იყვნენ და არავის გაკვირვებია, თუ ასე დაასრულეს სიცოცხლე.

მკვლელი მკვდარი იყო, მაგრამ ამით მოკლულის ოჯახი და გვარი ვერ დამშვიდდებოდა. სისხლი მაინც აუღებელი რჩებოდა.

ოთარმა იცოდა—შურს ახლა მასზე იძიებდნენ და თავს უშველა. მიატოვა სახლი და შორეულ ბარში გაიხიზნა.

ბარის ადგილებში ოთარი ქირავდებოდა მიწის მბარავად, ზოგან ტყის მკაფავად, ხან კოლხიდის ჭაობებში არხებს თხრიდა. გურიაში ჩაის პლანტაციებზე მუშაობის დროს ერთს თავის სოფლელს შეხვდა და მისგან გაიგო, რომ ომან მარგიანიც წამოსულიყო.

— ალბათ მე მდევს!—იფიქრა მაშინ ოთარმა.

მას ყველგან თან სდევდა მოკლულის ლანდი და ერთ ადგილზე არ აჩერებდა შიში მოსისხართა წინაშე. ყველგან და მუდამ ჩასაფრებული სიკვდილი ეჩვენებოდა.

ოთარისთვის სულ ერთი იყო სად იქნებოდა, რა სამუშაო აელო. თანაბრად გულგრილი იყო ყველასა და ყველაფრისადმი. ხედავდა რა ხალისით ცხოვრობდა და შრომობდა აქ ხალხი, თითონ კი დაათრევდა მწუხარებას მთებში ჩაბუდრებულ სოფლის მიტოვებულ კერაზე.

ამ ხეტიალში მიაღწია ბარის ერთ პატარა ქალაქთან აშენებულ ქარხანას. მივიდა იქ ისეთივე გულგრილი, როგორც ყველგან. ამ ახალ ადგილსაც შეხედა მხოლოდ როგორც დროებით თავშესაფარს სიკვდილისაგან.

მიიღეს სამუშაოზე და ბინა უჩვენეს. როცა შეიყვანეს ოთახში და საწოლი მისცეს, რამდენიმე ხნით თავი კმაყოფილად იგრძნო. აქვე კიდევ სამი მუშა ცხოვრობდა. უცხონი იყვნენ და მაინც ალერსით შეხვდნენ. ოთარს ეჩვენა, რომ აქ უშიშრად იქნება და ხანგრძლივად დარჩება. ფანჯრიდან დაინახა ელექტრონით განათებული ქარხნის მიდამო, ამოძრავებული საამქროები, ცეცხლიანი ღუმელები, შეუწყვეტელი სიცოცხლე იყო გარშემო და მისმა ხმაურმა კიდევ უფრო დაამშვიდა.

და უცბად ყველა იმედი გაქრა. მხოლოდ ერთი ღამე იყო აქ გულმშვიდად. დილით სამუშაოზე წაიყვანეს, შემდეგ დაღლილი ძილად მიეგდო და ახლა, როცა გაეღვიძა, სწორედ ის ჩაჰყურებდა თვალებში, ვის შეხვედრას უფრთხოდა და გაურბოდა. ომან მარგიანი, ოდესღაც მეგობარი, ახლა მხოლოდ მოკლულის ძმა იყო და ოთარმა იცოდა, რომ მან ვიცი დასდო მაგიერი სისხლი ეზღო.

— ოთარ, ბიჭო!—შეანჯღრია ომანმა ღონიერი ხელებით, რაღაც დაიბოლმინა, გაიცინა.

ოთარი გრძნობდა, რომ ეს იყო სიხარული ნაირის, რომელიც ჯერ ეთამაშება თათში მომწყვდეულ მსხვერპლს. როგორ შეეძლო სხვაგვარად გახარებოდა ისი დანახვა კაცს, ვისაც სისხლი უნდა აეღო!

— ოთარ!—გულზე ხელს ურტყამდა ომანი—ოთარ! მითხრეს ვიღაც სვანიაო. მოვედი, დგხედე. გავკვირდი. ის იყო გაღვიძებას დაგიპირე, შენ თითონ გაახილე თვალი...

კუთხეში ჭალარა მუშა იწვა და კითხულობდა. ხმამაღალმა ლაპარაკმა კითხვა შეაწყვეტინა. ღიმილით გამოიხედა, ჩაილაპარაკა:

— აყაყადით სვანებო? მეზობლები შეხვდით ერთმანეთს?

მის ხმას ოთარს მოესმა თანაგრძნობა იმ სიხარულისადმი, რომელსაც ომანი იჩენდა. დაცინვად მიიღო მუშის სიტყვები. რიცის მან, როგორ ერიდებოდა ამ შეხვედრას!

— იქნებ ძილი გინდა, ა? მაშ იძინე, იძინე!—ომანი წამოდგა, მერე ისევ ჩამოჯდა, შანჯღრია, ხელი დასტაცა, წამოაყენა.

— იკმარე, მერეც მოასწრებ. სამუშაოზე მიგვანდება. ველარ დავრჩები. გამომყევი... აიდან სადაო, რა ქარმა მოგიტანა?



ამხ. სტალინი რიონჰესში — ნახ. ირ. თოიძისა

ოთარი მორჩილად გაჰყვა.

შემოდგომის სიცივე იგრძნო გარეთ ოთარმა.

ქარხნის საყვირის ხმას ქარი ფანტავდა.

ომანი ქარხნისკენ მიიჩქაროდა. ოთარი მორჩილად მისდევდა.

გაუარეს საცხოვრებელ კორპუსებს. გაიარეს ქარხნის სკვერი და პატარა მოედანი. აქედან იწყებოდა საამქროები ახმაურებულ მოტორებით, ქვემოთ კი ღუმელები, საიდანაც ადუღებულ ფეროს ნაკადის ღრიალი ისმოდა. ღუმელებიდან ამოვარდნილი ცეცხლის შუქი წითლად შეჭრილიყო ქარხნის იქით გადაშლილ მინდვრების სიბნელეში.

ომანი თავისას უამბობდა. მაგრამ ოთარს ყველა სიტყვა გარკვევით არ ესმოდა. თავის ფიქრი აწვალებდა. ხსოვნაში შერჩა მხოლოდ ის, რომ ომანი ცხრა თვეა აქ არის—პირველად თხრილებზე დააყენეს, შემდეგ საამქროში ჩარიცხეს, ახლა კი ღუმელზე მუშაობს.

— ხვალიდან ჩემთან იმუშავებ!—უთხრა ომანმა დაშორებისას—ერთად ვიქნებით!

ერთად ვიქნებით... ამას გაურბოდა და საბოლოოდ ვერ გაქცეოდა.

— რაც მოხდება, მოხდეს!—ხელი ჩააქნია ოთარმა.

ოთახისკენ გაბრუნდა.

ისევ მოედანი გაიარა.

მხოლოდ ახლა შენიშნა ტიტველი თალი, ალბად წარსულ დღესასწაულიდან დარჩენილი. თალი მაშინ შემკული ყოფილა ყვავილებით, ახლა კი თოკით გადაბმული გამხმარი ღეროები ეკიდა და ცალ ფრთაზე კიდევ ავდრებისა და მზისგან გახუნებულ პლაკატის ნაფლეთი. კორპუსის რომელიღაც ოთახიდან გაიგონა პატეფონის ხრიალი და გოგლია სიცილი. ყველაზე გარკვევით კი ისევ ღუმელის გუგუნი ესმოდა. ათასი კაცის მოძახილს გავდა. ოთარმა იცოდა საიდან იყო ხმა და უკვირდა, რომ ლითონი იძახდა ასე, რომ ასეთი ხმა ჰქონდა გადადუღებულ შავ მიწას.

მეორე დღიდან ომანმა თავის ცვლაში გადარიცხა ოთარი და საცხოვრებლადაც თავის ოთახში გადაიყვანა.

ოთარი მორჩილად დათანხმდა.

— რას ჩამოგტირის სახე?—დასცინოდა ომანი—მუშაობა გიჭირს ალბათ. ცეცხლი გაწუხებს, სიცხეს ვერ იტან?

შეხედა, გაუღიმა.

— გრილ მიწას ხარ დაჩვეული. სახნისი და ნაჯახი უფრო გემარჯვება. სიარულიც ისეთი გაქვს, თითქო მძიმე ძნას მიათრევდე. აქამდი მეც ასეთი ვიყავი...

ოთარს ენიშნა, რომ ომანი მართლაც გამოცვლილიყო, არა მარტო იმიტომ, რომ ჩოხა არ ეცვა და ნაბდის ქუდი არ ეხურა. თითქო მოძრაობაც სხვაგვარი ჰქონდა, თითქო ხმაც შეცვლილი,—ისეთი აღარ, როგორიც წინად, მთაში.

თავისუფალ დროს ომანს მიჰყავდა ოთარი მახლობელ გორაკზე სახეტიალოდ. ოთარი ხედავდა რა ხალისით აირბენდა ყოველთვის ომანი გორაკს. მთიულის მძიმე ნაბიჯით უკან მიჰყვებოდა კუნთების ღონეზე დანდობილი ოთარი.

აქ ოთარს არაფერი აგონებდა სამშობლო კუთხეს. ასეთი ჩია გორაკები იქ არც უნახავს. რაც კიდევ თვალს უხარებდა, ეს იყო ხშირი მუხრანი ფერდობზე.

ჩამოჯდებოდა ომანი თხემზე, გადახედავდა მინდვრებს, მდორედ მიმავალ მდინარეს და ღიღინებდა ბავშობიდან ნაჩვევს:

იავ, ქალდი და ბებუცია,
სოფელ ქალდუში შუშპარია,
შუშპარს დაბლა ქვიანია,
ქვიანს დაბლა მზიანია.

რამდენჯერ სმენია ის ოთარს, რამდენჯერ ერთად უმღერიათ ლომის დროშის დღეობაში, სათიბში, სამკალში.

— ხანდახან ისე მიწევს გული მთისაკენ, ისე მენატრება ჩემს მაჩუბში ღამის გათევა...—თითქო თავისთავს ელაპარაკებოდა ომანი.

— ერთხელ კიდეც ვიყავი. გული ვიჯერე. თუ გიძძის სიშორე, წადი, მოიარე... ოღონდ დაბრუნდი.

— მე ვერ მივალ იქ!—სთქვა ოთარმა.

ომანმა შეხედა. მერე დაუდასტურა.

— მართალია, ვერ მიხვალ!

მათ ერთმანეთს გაუგეს.

ომანს ხომ შინ მამა დარჩა, ჯერ კიდევ მხნე სვანი, მოუსვენარი მონადირე.

— მე სისხლი მმართებს! — სთქვა ოთარმა.

— ჰო, გმართებს! — დაუდასტურა ომანმა.—მაშინ გეძებდი... სადმე რომ შეგხვედროდი...

ქვას ფეხი ჰკრა ღონივრად. ქვა ფერდობიდან დაგორდა, ხმაურით დაქანდა. გზადაგზა კენჭები აჰყვეტა, გაიყოლია.

როცა ერთხელ გორაკიდან ბრუნდებოდნენ, ომანმა უთხრა:

— ოთარ, დილიდან ღუმელზე სამუშაოდ გადმოხვალ... ცეცხლფარეშებთან..

ოთარს არაფერი უთქვამს, თუმცა იქ მუშაობა არ უნდოდა. მაგრამ ომანს ასე სურდა და უსიტყვოდ დამორჩილდა.

ოთარს ხშირად უფიქრნია:

— ომანი, ცხადია, მხოლოდ ხელსაყრელ დროს უცდის, თვალს მიხვევს, მეგობრობს, მიჩვევს, რომ არსად გავეპარო...

ოთარისათვის რომ გეკითხათ, ომანი მართალი იყო. თითონაც ასე მოიქცეოდა, თუ მისგან სისხლი ასაღები ჰქონოდა.

ეს ფიქრი მუდამ აწვალებდა იმის შემდეგ, რაც ღუმელზე გადავიდა. მძიმე სამუშაო იყო და სახიფათოც. მუშაობა უხდებოდა ზედა ბაქანზე. ლურჯსათვალებიანი, ბრეზენტის ხალათში გადაცმული სხვა ცეცხლფარეშებთან ერთად შეუჩერებლად აყრიდა ღუმელს შავ ქვას. ერთი უსწორო ნაბიჯი და ყველაფერი გათავდებოდა მისთვის, ვინც ცეცხლს გარშემო უტრიალებდა. ხანდახან ომანი ზევით ამოდიოდა და ყოველთვის მაშინ ოთარს გაჰქრავდა ფიქრი, რომ ბედისწერამ ახლა უწია.

ასე გაიარა თვემ, მეორემ. გაიარა ზამთარმა და გაზაფხული ჩამოდგა.

— ჩვენშიაც მალე გაზაფხულდება!—სთქვა ერთხელ ოთარმა, როცა ქარხნის სკვერში კვირტებით დასხმული ტოტები დაინახა. ხე გაღვიძებულ მიწის წვენით გაჟღენთილიყო და ტოტებში სისხლად გაეშვა.

— ჰო, მალე გაზაფხულდება!—დაუმოწმა ომანმა და ცბიერად გადახედა—ისე გულდაწყვეტით სთქვი, გატყობ წასვლა გინდა.

ომანი მართალს ამბობდა. ოთარს გული სახლისკენ მიუწევდა. გრძნობდა მიწის სუნს, გორაკის ღრმულებში ჩარჩენილი თოვლი გამდნარიყო, ღელეებად მოხმაურობდა და ამ ხმაში მთების ხმაც ესმოდა. თავისი მიწა უძახდა.

— ჯერ ვერ დაბრუნდები! — სთქვა ომანმა.

— ვერ დავბრუნდები!—დაუდასტურა ოთარმა.

ამ დღეს, როგორც ყოველთვის, ისინი ერთად გავიდნენ სამუშაოზე. ოთარმა მიიღო ცვლა და დადგა ღუმელთან თავის ადგილზე.

ხედავდა, როგორ დუღდა ფეროს სითხე. ელექტროკეტით სინჯავდა. წითელ ნაკადად ილვრებოდა ფერო და ღრიალებდა. ასევე ხმაურობდნენ მეზობელი ღუმელები.

ზედა ბაქანზე ომანმა უცბად არეულობა შენიშნა და მაშინვე დაინახა—ვიღაც ცეცხლს იჭრობდა ტანსაცმელზე. შეშინებული ცეცხლფარეში ბარბაცით წამოვიდა, რკინის მოაჯირს მიაწყდა, აქ თავი ველარ შეიმაგრა და გადმოვარდა. ის დაეცა ომანის მახლობლად, თავი მიარტყა თუჯის გობს და უძრავად დაგდებული დარჩა.

მუშამ, რომელიც პირველი მიიჭრა მასთან, ხელი დასტაცა და თავი აუწია. გადმოვარდნილს გრძნობა დაჰკარგოდა. მაშინ ომანმა სწრაფად შეუხსნა მკერდი და სათვალე ააგლიჯა.

— ოთარ!—ჩასძახა ომანმა—ოთარ!

ოთარს სახე სისხლიანი ჰქონდა. სისხლი ნაკადად სდიოდა თავიდან. ცხელი სისხლი გრილ ღამეში ორთქლავდა.

— საავადმყოფოში! მალე! — დაიძახა ვიღაცამ..

როცა რამდენიმე ხნის შემდეგ ომანი ამბავის გასაგებად მივიდა, ექიმმა უთხრა, რომ ოთარის გადარჩენა საეჭვოა, —ჭრილობა ღრმა აქვს და სისხლიდან იცლება..

— იქნებ სისხლის გადასხმით ვუშველოთ!—სთქვა ბოლოს.—სხვა ხსნა არაა. უნდა ვიპოვოთ ვინმე.

— ჩემგან წაიღეთ!—არ დაფიქრებულა ომანი.

სისხლის გადასხმა საჭირო აღმოჩნდა.

ომანი მორჩილად დაწვა მომაკვდავის გვერდით და ექიმს ტიტველი მკლავი გაუშვირა. არ უგრძვნია როგორ გადადიოდა მისი სისხლი ოთარის სხეულში. იცოდა მხოლოდ, რომ სიცოცხლეს უბრუნებდა კაცს, რომელთანაც ბავშობიდან ერთ მთასა და ერთ ცას შეჰყურებდა, ერთიდაიგივე სიმღერები იცოდა, ერთი მზით გამთბარა, ერთი მიწის ქერითა და წყალით გაზრდილა.

ტკბილმა თვლემამ დასძლია ომანი. თავდავიწყებას მიეცა. იცოდა სად იწვა ახლა, მაგრამ ხედავდა კიდევ თავის ღარიბ მაჩუბს, ბნელსა და გაკვამლულს. მერე თავისივე თავი დაინახა. სდგას და ხედავს, როგორ შეუდგა მთის ბილიკს. ჩანჩქერთან ცივ წყალს დაეწაფა. შემდეგ ისევ მაჩუბი გამოჩნდა. გარკვევით მოესმა ძაღლის ყეფა და კიდევ ხმა. თითქო მამა იყო, თითქო მოკლული ძმა ეძახდა. წყრომით გასძახოდა...

როცა ბურანიდან გამოერკვა. სუნთქვა მოესმა.

მეზობელ საწოლზე ოთარს ეძინა.

ომანი მკრთალ სახეს მიაჩერდა და სიხარულით გაიფიქრა:

— ცოცხალი დარჩება!

კედელზე ომანმა დიდი სურათი დაინახა. ასეთივე სურათი, მომცრო და ფერადი, თითონაც ჰქონდა. ქარხნის დუქანში იყიდა და ოთახში საწოლთან ლურსმნით მიაკრა. ეს სახე ნაცნობი იყო. წინადაც მრავალჯერ უნახავს ის მაჩუბებში, კოოპერატივში, სოფლის სკოლაში. დღესასწაულებზე დროშად მიჰქონდათ. ცხადია, სადმე რომ შეხვდეს, უცბად იცნობს. ძალა, სიბრძნე და სიმშვიდე იხედებოდა თვალებიდან. ხედავ და მხნეობას გმატებს. მისი ხმა, ცოცხალი ადამიანის ხმა, ჯერ არ გაეგონა, მაგრამ ის მაინც აღწევდა მასთან ქარხნის საყვირის, ადუღებული ფეროსნაკადის და ათასი მუშის ხმაში შეერთებული.

ეს ხმა სმენია თავის შორეულ მთებშიაც და ესმოდა ახლაც, სიცოცხლეს დაბრუნებულ ოთარის დამშვიდებულ სუნთქვაში.

როცა დილით ოთარმა თვალი გაახილა, ომანმა სიხარულით შენიშნა, რომ მეგობარს გამოკეთება ემჩნეოდა. დაუჯდა საწოლზე და ალერსით დახედა.

— ახლა კი ნამდვილად გმართებს ჩემი სისხლი!—გაუღიმა ომანმა. —ბევრიც გმართებს.



პანტელეიმონ ჩხიკვაძე



კონსტანტინე ლორთქიფანიძე



გიორგი ლეონიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობა

ბესო ჟღენტი

## I.

გამძაფრებული კლასობრივი ბრძოლების, თავდადებული შრომით და დაუშრეტელი შემოქმედებითი ენერგიით გამოსჭედა საქართველოს მშრომელმა ხალხმა ის უდიდესი სამეურნეო პოლიტიკური და კულტურული წარმატებანი, რომელთა მეოხებითაც დღეს საბჭოთა საქართველო თავისი არსებობის მე-15 წლის თავზე ამაყად დგას ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს მოწინავე რესპუბლიკათა რიგში. ქართული საბჭოთა მწერლობაც ამ ბრძოლისა და შემოქმედების დიადმა ეპოქამ წარმოშვა და აღზარდა. ქართული ლიტერატურის უკანასკნელი ხუთმეტი წლის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული და შედუღებული საქართველოში პროლეტარული რევოლუციის, სოციალისტური მშენებლობის ზრდისა და განმტკიცების ისტორიასთან. ამ პერიოდის ქართული მწერლობის სახეებსა და სიმღერებში, ტიპებსა და სიუჟეტურ კონსტრუქციებში მკაფიოდაა გამოხატული ის გამძაფრებული კლასობრივი წინაალმდეგობანი, რომელთა გარემოცვაში იბადებოდა და მკვიდრდებოდა ქართველი ხალხის განახლებული ისტორია.

ამავე დროს თვით ლიტერატურაც წარმოადგენდა მწვავე კლასობრივ შეჯახებათა ასპარეზს, სადაც ქვეყნის სამეურნეო პოლიტიკურ ცხოვრებაში დაპირისპირებული სოციალური ძალები თავისი იდეების მხატვრულ განსხეულებათა საშუალებით ლიტერატურულ ფრონტზედაც აგრძელებენ ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას.

პროლეტარიატის კლასობრივი იდეალებით, მარქსის, ლენინისა და სტალინის მოძღვრებით გზაგანათებული ქართული საბჭოთა მწერლობა, მთელი თავისი არსებით დაყრდნობილი საბჭოთა საქართველოს რევოლუციურ სინამდვილეზე, წარმოადგენს მწვერვალს ქართული მწერლობის ვრცელი და მდიდარი ისტორიისას, ნამდვილ მემკვიდრეობას, დიალექტიურ გაგრძელებას ჩვენი დიდი კლასიკური ლიტერატურის საუკეთესო ტრადიციებისა.

ქართული საბჭოთა მწერლობა ჯანსაღი ოპტიმიზმის, გაუტეხელი რწმენის, სოციალური ენტუზიაზმის ლიტერატურაა. ალბათ წარსულში ქართველი მშრომელი ხალხის ბედით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მთელი კლასიკური ქართული მწერლობა ცრემლისა და სისხლის კოლორიტითაა შეფერილი; შოთას მზიურ პოემაშიაც ჩვენ გვესმის ღრმა სევდის და სასოწარკვეთის მოტივები; ერთი შეხედვით ყველაზე უდარდელი მომღერალი, ბესიკი „სევდის ბაღად“ სახავდა თავისი პოეზიის სამყაროს; ბარათაშვილი ხომ ჯერ კიდევ შეუსწავლელი და საკმაოდ დაუფასებელი კლასიკური ნიმუშია უძირო სევდის და „სოფლის ამოებაზე“ მკვნესარე პოეზიისა. აკაკისა, ილიას და ვაჟას შემოქმედებაც ნაღვლის თანამედროვეობაზე გულგატეხილობის გრძნობებითაა შთაგონებული, თუმცა მათს პოეზიაში იყო პროტესტისა და მომავლისადმი რწმენის ელემენტიც.

მხოლოდ საბჭოთა საქართველოს პირობებში აღზრდილმა მწერლობამ დასძლია სევდის, სასოწარკვეთის, გულგატეხილობის განწყობილება და ლიტერატურაში დამკვიდრდა ჯანსაღი სოციალური ოპტიმიზმი. ცხადია, ეს იმიტომ, რომ ამ მწერლობის წარმომშობი ხალხი წამებისა და დევნის სამყაროდან—თავისუფალი და ბედნიერი ცხოვრების სამყაროში გადავიდა.

მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის იდეურ-თემატიური შინაარსს მაგისტრალს „კავკასიის მაღალ ქედზე მიჯაჭვული ამირანის“ სახე განსაზღვრავდა, რომელსაც „ყვავ-ყორანი დასეოდა, დაფლეთილი ჰქონდა გული“, ან კიდევ ვაჟას „დაჭრილი არწივი“, რომელიც „ყვავ-ყორნებს ეომებოდა“, „ეწადა ბედშავს ადგომა, მაგრამ ველარა დგებოდა“.

საბჭოთა საქართველოს ლიტერატურაში ნატამალიც კი აღარ არის გოდებისა. მწერლობის მთელი იდეური თემატიური შინაარსი განთავისუფლებული ქვეყნის ახალი სიცოცხლით, ამ სიცოცხლის უსაზღვრო მრავალფეროვნებით, სინამდვილის გმირული მოვლენებით განისაზღვრება.

კლასიკური ქართული მწერლობა უყურადღებოთ არ ტოვებდა ქართველი მშრომელი ხალხის ბედს, მას ბურჟუაზიულ ფეოდალური ლიბერალიზმის პროჟექტორით არა ერთხელ გაუშუქებია ქართველი მუშის და გლეხის წამებული ცხოვრება, განსაკუთრებულის სიყვარულით დახატა ქართველი მშრომელი გლეხობის ტრაგედია დანიელ ჭონქაძის და ეგნატე ნინოშვილის კალამმა, მაგრამ ლიტერატურის ნამდვილ გმირად, მის ცენტრალურ ფიგურად მშრომელი ხალხი მხოლოდ საბჭოთა ეპოქის ქართულ მწერლობაში გამოვიდა. მართალია, თანამედროვე ქართული ბელეტრისტიკის პერსონაჟს წარსულის გმირებიც თუ დღევანდელობაში არსებული, ყოფილ ადამიანთა ტიპები შეადგენენ, მაგრამ უმთავრესი მოქმედი პირი თანამედროვე ქართულ მწერლობაში უეჭველად მშრომელი ხალხია, ჩვენი საკოლმეურნეო მინდვრების, თუ სოციალისტური დაზგის ენტუზიასტები, ან კიდევ რევოლუციური წარსულის ამბოხებული მასები და მათი საუკეთესო შვილები. ესეც იმიტომ, რომ სოციალისტურმა სინამდვილემ ცხოვრების ნამდვილ მესვეურად მშრომელი ხალხი გამოიყვანა და წარსულის ეპოპეაც მშრომელი ხალხის ინტერესთა პროჟექტორით გააშუქა.

ქართულ ლიტერატურას წარსულშიც არა ერთხელ დაუმუშავებია ისტორიული თემები და სიუჟეტები, მაგრამ ქართულ მხატვრულ მწერლობაში ისტორია უმთავრესად არსებულისადმი დაპირისპირების, არსებულის უარყოფის საშუალებას წარმოადგენს. ამიტომ ქართულ კლასიკურ მწერლობაში წარსულის მხატვრობა თითქმის ყოველთვის რომანტიულ იდეალიზაციაში გადადიოდა. მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში აღზრდილმა მწერლობამ შესძლო წარსულის მხატვრული განსხეულება ღრმად დაეკავშირებია ჩვენი რევოლუციური სინამდვილის იდეებთან და თვალთახედვასთან, წარსულის მოვლენები დაენახა და აესახა ისტორიული სიმართლით სოციალურ ძალთა სწორი შეფასებით, ისტორიული მოვლენათა ობიექტური კანონზომიერების გახსნით.

საბჭოთა ეპოქის ქართული მწერლობა განსხვავდება ყველა სხვა ეპოქების ლიტერატურულ ფორმაციებისაგან თავისი სიახლოვით ისტორიასთან, კლასის საბრძოლო პრაქტიკასთან, თავისი აქტიური როლით სოციალისტური ცხოვრების მშენებლობაში. მართალია, კლასიკური ქართული მწერლობის ბევრმა შედევრმა გაარღვია ფეოდალურ ბურჟუაზიული წყობილების მიერ შექმნილი წყვდიადი და გზა გაიკაფა ხალხის გულისაკენ, მაგრამ ხალხის ნამდვილ საკუთრებათ მწერლობა მხოლოდ საბჭოთა ეპოქაში გადაიქცა და ეს არა მარტო იმ თვალსაზრისით, რომ საბჭოთა ლიტერატურას კითხულობს და სწავლობს მშრომელი მასების უფართოესი ფენები, არა მარტო იმ თვალსაზრისით, რომ ეს მწერლობა გამოხატულებაა მშრომელი მასების ბრძოლისა, ცხოვრებისა და მისწრაფებების, არამედ იმიტომაც, რომ საბჭოთა მწერლობის რიგებში დღითი-დღე შემოდიან მშრომელთა ფენებიდან დაძრული ახალი შემოქმედებითი კადრები, რომლებიც უკვე ჩვენი ლიტერატურული არმიის ავანგარდს შეადგენენ და მთელი მწერლობის განვითარებას გარკვეული მიზან-მისწრაფებებით წარმართავენ.

ამიტომ საბჭოთა ლიტერატურა უაღრესად მასობრივი უაღრესად რეალისტური, უაღრესად მომქმედი და იდეური ლიტერატურაა. და თუმცა უკანასკნელი ხუთმეტი წლის ქართული მწერლობის რომელიმე ცალკე ფიგურისათვის ჯერ კიდევ იდეალს წარმოადგენს ისეთივე სიღრმით და ძლიერებით დახატოს სოციალისტური დღევანდელობა, როგორითაც ასახეს თავის ეპოქები და თავისი კლასის იდეები კლასიკური ქართული მწერლობის საუკეთესო კორიფეებმა - მთლიანად საბჭოთა ქართული მწერლობა ზემოდ აღნუსხულ თავისებურებათა მეოხებით უეჭველად წარმოადგენს ქართული მწერლობის მთელ ისტორიის ნამდვილ მწვერვალს, სადაც იდეების სიღრმე და სიდიადე თემატიური შინაარსის სიმდიდრე და მრავალფეროვნება, დიაპაზონის სიფართოვე, ახალი შემოქმედებითი კადრების ზრდის ტემპი, შემოქმედებითი ნაყოფიერება და რეალისტური სიმახვილე ისეთ საზღვრამდეა მიღწეული, საიდანაც იშლება სოციალიზმის დიდი ლიტერატურის შემდგომი გასაქანის, ნამდვილი აყვავების უახლოესი და უეჭველი პერსპექტივა.

## 2.

კონტრრევოლუციური კლასების განადგურებამ, მათი იმედებისა და პერსპექტივების მსხვრევამ, რევოლუციური სინამდვილის საძირკვლებზე საბჭოთა საქართველოს ძლიერების ყოველდღიურმა ზრდამ რევოლუციის წინადროინდელი მხატვრულ ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები დასძრა ბურჟუაზიულ თავადაზნაურული პოზიციებიდან და თანდათანობით მიუახლოვა სოციალისტურ სინამდვილეს, მუშათა კლასის იდეებსა და ამოცანებს. რევოლუციურ პირობებში აღზრდილი ახალგაზრდა მხატვრულ ინტელიგენციის საუკეთესო ძალები თანდათანობით შეიარაღდენ მუშათა კლასის მსოფლმხედველობითი იარაღით და სოციალისტურ მწერლობისათვის მებრძოლ ავანგარდს დაუკავშირდენ, ხოლო რაც მთავარია და არსებითი, კულტურულად დაწინაურებულმა მშრომელმა მასებმა თავისი რიგებიდან გამოჰყვეს და მწერლობაში შემოიყვანეს ახალი შემოქმედებითი ძალები, რომლებმაც საბჭოთა მწერლობის მთელს განვითარებაში იდეური ხელმძღვანელის და წამყვანი ძალის როლი მოიპოვეს.

რასაკვირველია, ეს პროცესები არ განვითარებულან სწორ-ხაზებრივად, უმტკივნეულოდ. ისინი მიმდინარეობდენ რთული ბრძოლების და წინაალმდეგობების ბრძოლებში, მაგრამ ლიტერატურული განვითარების დიალექტიკა მიემართებოდა ამ წინაალმდეგობათა დაძლევის გზით, რის შედეგადაც გამოიჭედა და ჩამოყალიბდა ქართული საბჭოთა მწერლობის დღევანდელი სახე.

აი, მაგალითად, რევოლუციის წინადროინდელი მხატვრული ინტელიგენციის ისეთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, როგორიცაა მწერალი **მიხეილ ჯავახიშვილი**. პროლეტარულ რევოლუციამდე იგი ავტორი იყო მხოლოდ რამდენიმე პატარა მოთხრობის, რომლებშიაც ავტორი ბურჟუაზიულ ჰუმანიზმის თვალთახედვით ხატავდა სოციალური ცხოვრების ფსკერზე მოქცეულ ადამიანთა დრამას. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოთხრობებშიც სჩანდა ავტორის უეჭველი ლიტერატურული ღირსებანი, ჯავახიშვილს რევოლუციამდე პროფესიონალ მწერლად არავინ სთვლიდა და თვითონაც მწერლობა არ მიაჩნდა თავის პირდაპირ და ნამდვილ მოწოდებად. მხოლოდ საბჭოთა საქართველოს სინამდვილეში შეჰქმნა მან ყველა ის ნაწარმოები, რომელთა მიხედვითაც მიხ. ჯავახიშვილი გახდა თანამედროვე ქართული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ფიგურა. მისი „ჯაყოს ხიზნები“, „მართალი აბდულა“ „ლამბალო და ყაშა“ „კვაჭი კვაჭანტირაძე“ და ბოლოს „არსენა მარაბდელი“ დაიწერა იმ გაცხოველებულ შემოქმედებით ატმოსფერაში, რომელიც შექმნა საბჭოთა საქართველომ. მთელი რიგი წლების მანძილზე მიხ. ჯავახიშვილი თავის შემოქმედებაში მკაფიოდ გამოხატავდა რევოლუციის მიერ განადგურებული კლასების იდეურ გავლენებს, იგი ხშირად ყალბად და დამახინჯებულად ასახავდა რევოლუციური სინამდვილის ამა თუ იმ მხარეს. მაგალითად, მისი მოთხრობა „დამპატიჟე“ ნამდვილი პასკვილი იყო საკოლმეურნეო მშენებლობის, სოციალისტური სოფლის წინააღმდეგ. და ის ფაქტი რომ ამ ავტორმა დასწერა რომანი „არსენა მარაბდელი“, სადაც საქართველოს ისტორიის ერთი ურთულესი ეპოქა ასახულია ძირითადად სწორი, სოციალურად გამახვილებული თვალთახედვით, ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ საბჭოთა მწერლობის იდეურ პოზიციებზე დღითი დღე მკვიდრდებიან მხატვრული სიტყვის რევოლუციის წინადროინდელი ოსტატები.

**ნიკო ლორთქიფანიძემ**, რომელიც თავის რევოლუციის წინადროინდელ შემოქმედებით ცნობილი იყო, როგორც „დანგრეული ბუდეების“, ძველი ფეოდალური საქართველოს მწერალი, რომელმაც ამ მხრივ შექმნა მთელი რიგი მაღალ მხატვრული სახეები, ჩამოყალიბებულნი უმახვილესი გემოვნებით და ოსტატობით, საბჭოთა საქართველოს წლებში დასწერა მოთხრობების მთელი ციკლი („ფეოდალები“ „ეფისკოპოსი ნადირობაზე“ და სხვ). დასწერა რომანი საქართველოს ისტორიულ - რევოლუციური წარსულის მასალებზე „ლიანდაგიდან ბილიკებამდე“ და ამჟამად ხელი მიჰყო ჩვენი სოციალისტური სინამდვილის პირობებში აღზრდილი ახალი ადამიანის მხატვრული განსხეულების ამოცანას.

რევოლუციის წინადროინდელი მწერლობის ისეთმა ფიგურამ, როგორიცაა **შალვა დადიანი** მხოლოდ საბჭოთა სინამდვილეში ჰპოვა თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობათა ნამდვილი გასაქანი და გარდა მთელი რიგი პიესებისა, დასწერა ორი დიდი რომანი. თუ პირველ რომანში „უბედური რუსი“ შ. დადიანი იძლეოდა საქართველოს შორეულ ფეოდალურ წარსულის იდეალიზირებულ ანარეკლს, სამაგიეროდ მისი უკანასკნელი რომანი „ურდუმი“ შედეგია ისტორიული მასალებისადმი თანამედროვეობის თვალთახედვითი მიდგომისა და მძაფრი რეალიზმის პოზიციებზე მწერლის გადასვლის შედეგი.

ასეთივე დიდი იდეურ შემოქმედებითი ევოლუცია განიცადა **სანდრო შანშიაშვილის** შემოქმედებამ. თუ რევოლუციამდე მისი დრამატურგია და პოეზია ნაციონალიზმისა და მისტიციზმის რკალში იხუთებოდა, უკანასკნელი ხუთმეტი წლის მანძილზე მან შექმნა მთელი რიგი პოეტური და დრამატურგიული ნაწარმოებები („ანზორ“, „ჰერეთის გმირები“, „სამნი“, „არსენა“ და სხვ.), რომლებშიაც ავტორი ამუშავებს რევოლუციური სინამდვილის თემებსა და იდეებს, ან რევოლუციური დღევანდელობის თვალსაზრისით ათვისებულ ისტორიულ მასალებს.



ამხ. სტალინი და ლადო კეცხოველი — ნახ. ირინა შტემბერგის

**ლეო ქიაჩელი** აგრეთვე ერთი საუკეთესო ოსტატთაგანი რევოლუციის წინადროინდელი მწერლების თაობიდან, უკანასკნელ წლებში ჰქმნის მძაფრი სიუჟეტური კომპოზიციის ნაწარმოებს ისტორიულ რევოლუციურ თემაზე „ჰაკი აძბას“ და უკანასკნელ ხანებში თავისი შემოქმედების ობიექტად იღებს სოციალისტური სოფლის მშენებლობის პროცესებს, იქ დაბადებულ ახალ ადამიანს.

ისეთი მწერალიც კი, როგორიცაა **კონსტანტინე გამსახურდია**, რომელიც მთელ რიგ წლების მანძილზე გამოირჩეოდა თავისი აშკარად გამოხატული, პროლეტარიატისათვის უცხო და მიუღებელი იდეური პოზიციით, უკანასკნელ პერიოდში სწერს რომანს „მთვარის მოტაცებას“, სადაც ავტორი ახდენს სერიოზულ ცდას დახატოს ჩვენს სინამდვილეში არსებული წარსულის ნარჩენების, ზედმეტ ადამიანთა მთელი განწირულება, ამავე დროს მოხაზოს სოციალისტური სინამდვილის მშენებელთა სახეები და გვიჩვენოს სოფლად წარმოებული კლასობრივი ბრძოლების მთელი სიმძაფრე.

ძველი მხატვრული ინტელიგენციის ფენებიდან საბჭოთა ლიტერატურის მშენებლობაში თანდათანობით აქტიური ხდებიან **ალ. აბაშელი, ი. გრიშაშვილი კ. ჭიჭინაძე, პ. კაკაბაძე, დ. სულიაშვილი, ლ. მეტრეველი** და განსაკუთრებით **გიორგი ქუჩიშვილი**, რომელმაც ყოფილი დემოკრატიული პოეტების რიგებიდან ყველაზე ადრე და ყველაზე გაბედულად დაუკავშირა თავისი პოეტური ხმა რევოლუციურ თანამედროვეობას, გამარჯვებული პროლეტარიატის იდეებსა და მისწრაფებებს.

მაგრამ ოქტომბრის წინადროინდელი თაობის საუკეთესო ოსტატთა იდეურ შემოქმედებითი გადაიარაღების ყველაზე მკაფიო ნიმუშს რესპუბლიკის სახალხო პოეტის **გალაქტიონ ტაბიძის** შემოქმედება წარმოადგენს. თანამედროვე ქართული პოეზიის ეს ერთ-ერთი უდიდესი ოსტატთაგანი, რევოლუციამდე ღრმად შეპყრობილი უიმედობისა და გულგატეხილობის განწყობილებებით გადასული „შორეულ სივრცეების“ და „უსაზღვრო ნაპირების“ განყენებულ სამყაროში, საბჭოთა საქართველოს პირობებში ამეტყველდა სრულიად ახალ შემოქმედებითი სიცოცხლით და გადაიქცა რევოლუციური სინამდვილის ნამდვილ შთაგონებულ მომღერლად და ამსახველად.

პოეტი **პაოლო იაშვილი** სინამდვილის და რევოლუციური კლასის იდეების რეალური განცდით, წრფელი პათოსით ამუშავებს მთელ რიგ ლექსებსა და პოემას „გაფრენა“, პოემას, რომელიც ერთ-ერთი დამახასიათებელი ცდა არის ახალს ქართულ პოეზიაში ჩვენი სოციალისტური სინამდვილის კონკრეტულ-ადამიანურ მასალაზე ფართო სიუჟეტური პოეტური ნაწარმოების აშენებისა.

პოეტმა **ნ. მიწიშვილმა** უკანასკნელ ხანებში გაბედულად და გადაჭრით დასძლია აზრებისა და განცდების ორ სამყაროს შუა მერყეობის პრაქტიკა და თავისი უკანასკნელი ლექსების ციკლით („სამშობლოს გული“) საბჭოთა პოეტის ღირსეული რეპუტაცია დაიმსახურა.

**ტიციან ტაბიძე**, რომელსაც თავისი უშუალო ემოციურობით გამსჭვალული ლექსები საკმაოდ დატვირთული ჰქონდა ნაციონალისტური განწყობილებებით, დეკადენტურ-მისტიური სახეებით უკანასკნელ წლებში შექმნა ლექსების ციკლი: „რიონ პორტი“ „ახალი სომხეთი“, „ორდენოსანი სამშობლოსათვის“ და სხვ., რომლებიც მიმართული არიან დეკადენტური ტრადიციებისაგან თავდაღწევისა და სოციალისტური სინამდვილის კონკრეტულ სახეობრივი გამოხატვისაკენ. საბჭოთა პოეზიის ზრდაში აქტიურად მონაწილეობდა და მონაწილეობს აგრეთვე პოეტი **ვალერიან გაფრინდაშვილი**, რომლის შემოქმედება ყოველთვის აღბეჭდილია დაფიქრებული ოსტატობით, მახვილი პოეტური კულტურით და ღრმა ფანტაზიით. მართალია მის ლექსებში დღესაც ვამჩნევთ სიმბოლისტური პოეტიკის რეციდივებს, მაგრამ ეს მხოლოდ მხატვრულ ხერხების სისტემაში მჟღავნდება. მწერლების იდეურ მსოფლმხედველობრივი ბუნება კი უეჭველად გულწრფელი და თანმიმდევრული გარდაქმნის გზით ყალიბდება. განსაკუთრებით აიზარდა და მკაფიო პოეტურ ინდივიდუალობად ჩამოყალიბდა უკანასკნელი წლების მანძილზე პოეტი **გ. ლეონიძე**. მართალია მის პოეზიაში ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერია ეგზოტიური გატაცების და ესთეტიზმის საფრთხე, მაგრამ სამაგიეროდ უკანასკნელ ხანებში მან შექმნა რევოლუციური პათოსით და ჯანსაღი გრძნობებით ამღერებული ლექსების ციკლიც, რომელიც განსაზღვრავს გ. ლეონიძის შემდგომ პოეტური განვითარების გზას.

რევოლუციამდე ქართველ დეკადენტ სიმბოლისტების ლიტერატურულ მიმდინარეობას პროზის დარგში მინიატიურის მეტი არაფერი შეუქმნია. დღეს კი, საბჭოთა ქართულ ბელეტრისტიკის საუკეთესო მიღწევათა შორის ჩვენ გვაქვს **სერგო კლდიაშვილის** მოთხრობები, რომლებიც ხასიათდებიან მახვილი რეალისტური ხედვით, დახვეწილი სტილით, წერის თავისებური კულტურული მანერით. მისი „ფერფლი“ საუკეთესო ნაწარმოებია მთელ ქართულ ბელეტრისტიკაში მსოფლიო ომის საშინელებათა მხატვრული გადმოცემის თვალსაზრისით. აგრეთვე უდავო წარმატებებით აღინიშნა საბჭოთა საქართველოს არსებობის პერიოდი მწერალ **რაჟდენ გვეტაძისა**თვის. რევოლუციამდე მისი პოეზია უსაგნო ესთეტიზმის ვიწრო ჩარჩოებში იყო მომწყვდეული, დღეს რაჟდენ გვეტაძე ავტორია სამი დიდი რომანის „ჭიაკოკონა“, „თეო“, „ლაშაური სალამოები“, რომელშიაც ავტორი მოგვითხრობს მთელ რიგ მნიშვნელოვან სოციალურ ძვრებს. ამავე დროს რ. გვეტაძე ქმნის სოციალური პრობლემატიკით დატვირთულ ისეთ ლექსებს, როგორიცაა „მერკვილაძის დები“ და სხვა.

უკანასკნელ წლებში ხსენებულ მწერალთა თაობიდან საბჭოთა ლიტერატურაში თანდათანობითი აქტიური ხდებიან **კ. ნადირაძე, შ. აფხაიძე ივ. ყიფიანი.** აქვე უნდა აღინიშნოს პოეტების **ვასო გორგაძის და გრიგოლ ცეცხლაძის** აქტიური შემოქმედებითი მუშაობა, რომლებიც პროლეტარულ რევოლუციის გამარჯვების პირველსავე წლებში დაადგენ რევოლუციასთან შემოქმედებითი თანამშრომლობის გზას



სახალხო პოეტი გალაქტიონ ტაბიძე



პაოლო იაშვილი



ტიციან ტაბიძე

## 3.

საბჭოთა საქართველოს პირობებში წარმოიშვენ და აღიზარდენ მხატვრულ ინტელიგენციის მთელი თაობები. ამ შემთხვევებში ჩვენ ვლაპარაკობთ ისეთი მწერლების შესახებ, რომლებიც, მართალია, რევოლუციურ სინამდვილეში ჩამოყალიბდენ, მაგრამ მთელი რიგი წლების მანძილზე დაშორებული იყვენ პროლეტარიატის კლასობრივი მწერლობის გზებსა და მიზნებს და მუშათა კლასისათვის უცხო სხვადასხვა იდეურ ზეგავლენებს განიცდიდენ. მათ შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს პოეტ **სიმონ ჩიქოვანის** შემოქმედებითი განვითარება. ვიწრო ლიტერატურული ნოვატორობიდან, ფუტურისტულ ფორმალისტურ პოზიციებიდან სიმ. ჩიქოვანი გაიზარდა ქართული საბჭოთა პოეზიის ერთ-ერთ საუკეთესო ფიგურად, რომელიც უკანასკნელ წლებში ქმნის ღრმა ლირიკული აზრით გამსჭვალულს, ახალი თავისებური მხატვრული საშუალებებით შესრულებულს, სოციალისტური საქართველოს სინამდვილის კონკრეტულ მასალებზე დამყარებულ ლექსებსა და პოემებს.

ასეთივე თანმიმდევრობით სძლევს საკუთარი იმპრესიონისტულ-ფორმალისტურ წარსულს ბელეტრისტი **დემნა შენგელაია**, რომელმაც საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველსავე წლებში გადადგა გაბედული შემოქმედებითი ნაბიჯები (რომანი „სანავარდო“), ხოლო უკანასკნელ წლებში დასწერა რომანი „ბათა ქექია“ და მთელი რიგი მოთხრობები, სადაც ავტორის მახვილი სტილისტური ოსტატობა და ტიპაჟის ხატვის დიდი უნარი დაკავშირებულია დიდი სოციალური პროცესების მხატვრულ განსახიერების ამოცანასთან. საბჭოთა საქართველოს არსებობის წლებში ჩამოყალიბებულ მწერალთა შორის ყურადღებას იპყრობს **ალ. ქუთათელი**, რომელმაც მთელი რიგი პატარა მოთხრობების შემდეგ დასწერა რომანი „პირისპირ“, რომელიც ასახავს მენშევიკური „დემოკრატიის“ პერიოდში წარმოებულ მძაფრ კლასობრივ ბრძოლებს. უკანასკნელ პერიოდში ქუთათელი აქტიურად მუშაობს პოეზიის დარგშიაც. მისი „ჩალვადრებ“ და უკანასკნელად დაწერილი ლექსი მიძღვნილი „ბელადის დედისადმი“ შედიან ქართული საბჭოთა პოეზიის აქტივში.

პოეტი **ილო მოსაშვილი** რომელიც ერთ დროს უაღრესად მემარჯვენე ლიტერატურულ დაჯგუფების „ოიფიონის“ შემადგენლობაში შედიოდა, უკანასკნელ წლებში სწერს ჩვენი რევოლუციური სინამდვილის პათოსით შთაგონებულ ლირიკულ ლექსებს, ხოლო მისი პოემა „კოფა ჩოხელი“ თავის დროზე საყურადღებო მოვლენას წარმოადგენდა, როგორც სოციალისტური სოფლის მშენებლობის თემატიკაზე აგებული პოეტური ნაწარმოები. ამ გზით მიემართება ილო მოსაშვილის პოეტური ზრდა, თუმცა, მის შემოქმედებითი პრაქტიკაში დღესაც ვამჩნევთ განყენებული პეიზაჟის და ინდიფერენტული სალებავების შიშროებას.

განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში მწერალ **გერცელ ბააზოვს**, რომელმაც თავისი ბელეტრისტული და დრამატურგიული ნაწარმოებებით პირველმა შემოიტანა ქართულ მწერლობაში ქართველ ებრაელთა ყოფა-ცხოვრების თემატიკა და ეს მასალა დაამუშავა საბჭოთა მწერლისათვის დამახასიათებელი სოციალურ კლასობრივი სიმახვილით. ახალგაზრდა მხატვრული ინტელიგენციის ფენებიდან საბჭოთა ეპოქის ქართულ ლიტერატურაში მოვიდნენ აგრეთვე პოეტები **ვ. გაპესკირია, ვ. ჟურული დ. გაჩეჩილაძე** და სხვ.

## 4.

ქართული საბჭოთა მწერლობის ზრდას, მის იდეურ შემოქმედებითი ფორმაციას მეთაურობდა და მეთაურობს ლიტერატურული ფრონტის ის კადრი, რომელიც გამოვიდა მუშათა კლასის და კომკავშირული ახალგაზრდობის რიგებიდან და გადაიქცა პროლეტარიატის მძლავრ კლასობრივ ლიტერატურულ მოძრაობად. საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციამ დარაზმა და შემოქმედებითად დაავაჟკაცა ქართული საბჭოთა მწერლობის ეს ავანგარდული რაზმი, ხოლო შემდეგ, როცა ასოციაცია „თავის წინაალმდეგობაში“ გადავიდა, და პარტიის 23 აპრილის ისტორიული დადგენილების შემდეგ პროლეტარული მწერლობის განსაკუთრებული ორგანიზაცია გაუქმდა, მწერალთა დასახელებული ფენის საუკეთესო შემოქმედებითი ძალები მთელ ქართულ საბჭოთა მწერლობასთან ერთად აქტიურ შემოქმედებითი ბრძოლას აწარმოებენ სოციალისტური მწერლობის ახალი სიმაღლეების დასაპყრობად.

აღსანიშნავია, რომ ქართული პროლეტარული პოეზიის პირველი თაობა ენერგიულ შემოქმედებითი მუშაობას აწარმოებს და ძველი კოსმიურ-აბსტრაქტული თემატიკიდან სინამდვილის კონკრეტულ მოვლენათა რეალურ გამოხატულებას იძლევა ლექსებში, დრამებში, ბელეტრისტულ ნაწარმოებებში. ამ მხრივ აღსანიშნავია **სანდრო ეულის, ნ. ზომლეთელის** უკანასკნელი პერიოდის ლექსები, **პეტრე სამსონიძის** ახალი ლექსები და დრამა „სალტე“, **იონა ვაკელის** პიესები და პოემა „შირაქიანი“ **ი. ლისაშვილის** რომანი „ვარდნილი“.

მაგრამ ქართული პროლეტარული ლიტერატურის მიერ რევოლუციური სინამდვილის კონკრეტულ მასალათა მხატვრული განსხეულების პრაქტიკა, მის მიერ ახალი კლასობრივი ლიტერატურის სტილისათვის გაშლილი ბრძოლა უმთავრესად დაკავშირებულია იმ ლიტერატურულ სახელებთან, რომელიც საბჭოთა საქართველოს არსებობის წლებში ჩამოყალიბდნენ, როგორც პოეტები, ბელეტრისტები და დრამატურგები.

პოეტი **ალიო მაშაშვილი** თავისი ლირიულ-პათეტიური პოეზიით, რომელიც უმრავლეს შემთხვევებში საბრძოლო აქტივობით ხასიათდება, სამართლიანად სარგებლობს საქართველოში პროლეტარული მკითხველი საზოგადოებრივობის სიყვარულით და ყურადღებით. მძლავრ შემოქმედებითი ფიგურად ჩამოყალიბდა **კონსტანტინე ლორთქიფანიძე**, რომელმაც მთელი რიგი მოთხრობებისა და ნარკვევების შემდეგ დასწერა რომანი „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“. ეს ნაწარმოები ერთ-ერთი საუკეთესო მოვლენაა ქართულ საბჭოთა ბელეტრისტიკაში, სადაც მხატვრულ სახეებში გადმოცემულია საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის პირველი პერიოდის ეპოპეია.

ბელეტრისტმა **პანტელეიმონ ჩხიკვაძემ**, რომელიც ლიტერატურაში მოვიდა ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ, თემატიური მრავალფეროვნებით გაშალა თავისი შემოქმედებითი მუშაობა. მან დასწერა მოთხრობები და რომანები საქართველოში სოციალისტური ინდუსტრიის ზრდის მასალებიდან სოფლად წარმოებული კლასობრივი ბრძოლების თემებზე, საქართველოს რევოლუციური გლეხკაცობის გმირული წარსულის მასალებზე და აგრეთვე უფრო შორეულ ისტორიულ სიუჟეტებზე („სართულები“, „ამხანაგი ბუთხუზი“, „რომანტიული ამბავი“. „ნაბიჯები“ „მურძაყან დადიშქელიანი“ და სხვა) და ყველა ამ მასალას ავტორი ამუშავებს მახვილი რევოლუციური თვალთახედვით.

პოეტი **კარლო კალაძე** თავის შემოქმედებაში თანმიმდევრულად იბრძვის ახალი თავისებური მხატვრული საშუალებების დამკვიდრებისათვის. უკანასკნელად იგი უმთავრესად ეპიური პოეზიის ხაზით ვითარდება და ქმნის ჩვენი რევოლუციური დღევანდელობის მასალებზე ეპიურ-სიუჟეტური მომთხრობელობის პრინციპით აშენებულ ლექსებსა და პოემებს. „უჩარდიონი“, „ამბავი აჭარელ ამხანაგებზე“, „ორი ბალადა“ და სხვ.

საქართველოს რევოლუციური წარსული, მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის თავდადებული ბრძოლა რეაქციის წინააღმდეგ, თვითმპყრობელურ რეჟიმის მკაცრი რეპრესიები; ციხე, საღრჩობელა, ციმბირი, კატორღა არის მთავარი თემა **პავლე საყვარელიძის** წიგნებისა“ სადაც დამაჯერებელ სიტუაციებსა და ცოცხალ ტიპებში გადმოგვცემს ავტორი ამ მეტად საინტერესო და მდიდარ მასალას.

ქართული საბჭოთა პოეზიის მამოძრავებელ მოწინავე კადრს ეკუთვნიან პოეტი **ირაკლი აბაშიძე**, რომელიც თავის ლექსებში ყოველთვის საზოგადოებრივად აქტუალურ მოტივს და რთულ აზრობლივ დატვირთვას აძლევს გადამწყვეტ მნიშვნელობას. **გიორგი კაჭახიძე**, რომელიც გამოირჩევა ქართულ პოეზიის მრავალხმოვან ორკესტრში თავისი წრფელი და სადა ლირიკულ ინტონაციით და **ალექსანდრე გომიაშვილი**, რომელიც თანამედროვე ქართულ პოეზიაში თითქოს აცოცხლებს ვაჟა-ფშაველას ტრადიციას და ხატავს განახლებული მთის პეიზაჟს, მთის ხალხის ახალ ყოფა-ცხოვრებას. ქართული საბჭოთა პოეზია და პროზა დღითი დღე მდიდრდება ახალი და ახალი შემოქმედებითი კადრებით, ამ პროცესის უტყუარ მაჩვენებელს წარმოადგენს **ბორის ჩხეიძის, მოსე გვასალიას გრ. აბაშიძის არ. ჩაჩიბაიას კ. ბობოხიძის** და სხვათა შემოქმედება.

თუ საბჭოთა საქართველოს არსებობის პირველ წლებში ქართული პროლეტარული ბელეტრისტიკა მხოლოდ **ელიზბარ პოლუმორდვინოვის** ნაწერებით განისაზღვრებოდა, დღეს მის საგანძურს დღითი დღე ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს მხატვრული თხრობის ოსტატთა მთელი თაობა.

და რამდენადაც უდავოა ის გარემოება, რომ ქართულმა ლიტერატურამ უკანასკნელი ხუთმეტი წლის მანძილზე განვლო მეტად ვრცელი და შინაარსიანი გზა, იმდენადვე უდავოა ისიც, რომ მან ვერ შესძლო მთელი სიღრმით და ძლიერებით გამოეხატა საბჭოთა საქართველოს მშრომელი ხალხის მიერ ამ პერიოდში წარმოებული ბრძოლისა და შემოქმედების გმირული ეპოპეია.

ამიტომ საქართველოს საბჭოთა მწერლობა მჭიდროდ დარაზმული ლენინ-სტალინის პარტიის ირგვლივ ჩაგონებული სოციალისტური სინამდვილის სიდიადით კიდევ მეტი შემოქმედებითი ენერგიით გაშლის ბრძოლას და მუშაობას ლიტერატურიდან კლასობრივად უცხო გავლენების უკანასკნელი ნაშთების აღმოსაფხვრელად, გამარჯვებული სოციალიზმის ეპოქის შესაფერი ლიტერატურის შესაქმნელად.



ნინო ნაკაშიძე



სანდრო შანშიაშვილი



კონსტ. ჭიჭინაძე



იონა ვაკელი

# კლასიკური მემკვიდრეობა და საბჭოთა მწერლობა

### შალვა რადიანი

[illegible]

...უკლასო სოციალისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდისათვის—ასეთია ის ამოცანა, რომელიც დგას ჩვენს წინაშე.

კლასიკური მემკვიდრეობის კრიტიკული შესწავლა და შეთვისება საგრძნობლად შეუწყობს ხელს სოციალისტური ლიტერატურის მშენებლობასაც. ცხადია, მემკვიდრეობა არ შეიძლება იყოს მთავარი სოციალისტურ ლიტერატურაში (და საერთოდ კულტურაში). ჩვენი ლიტერატურა გამსჭვალულია სულ სხვა მისწრაფებებით. ვიდრე წარსული ეპოქების ლიტერატურა, იგი სულ სხვა გარემოცვაში იზრდება, ვითარდება და იპყრობს მაღალ მწვერვალებს. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა, კლასიკური მემკვიდრეობა მაინც საბჭოთა ლიტერატურულ მშენებლობის აუცილებელი ფაქტორია.

ფაშიზმი კოცონზე სწვავს კაცობრიობის სახელოვან, საამაყო შემოქმედთა წიგნებს და საშუალო საუკუნოების ეკლესიების ბარბაროსულ წესებს ამეფებს კულტურისადმი დამოკიდებულებაში.

საბჭოთა ქვეყნის მშრომელები კი ღირსეულად აფასებენ კულტურულ მემკვიდრეობას ისინი უდიდეს სიყვარულს და პატივისცემას ამჟღავნებენ წარსულის ლიტერატურისადმი, იმათდამი, ვისაც ასე შეუბრალებლად სწვავს და ანადგურებს ფაშიზმი. საბჭოთა ქვეყნის მუშები, კოლმეურნეები, მშრომელი ინტელიგენცია იყენებს ძველ კულტურას, ითვისებს მისგან საუკეთესოს და ღირებულს.

დღეს ჩვენთვის კლასიკოსების ლიტერატურული მემკვიდრეობის საკითხი დგას პრაქტიკულ პლანში, მათი მშრომელი მასების მიერ რეალურ-კრიტიკულ ათვისების ხაზით: მარქსისტულ-ლენინურ ლიტერატურათმცოდნეობის და კრიტიკის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ხელი შეუწყოს საბჭოთა მკითხველის მიერ კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის ათვისების საქმეს. ამისათვის აუცილებელია, რომ კრიტიკოსმა უპირველეს ყოვლისა იცოდეს, თუ რა არის ღირებული წარსული ეპოქების ლიტერატურაში და მეორედ—უნდა შეძლოს კონკრეტული მემკვიდრეობისაგან ამ ღირებულების გამოყოფა და მისი მიახლოება საბჭოთა მკითხველთან. ცხადია, ამა თუ იმ მწე-

[illegible]

...ჯანსაღი, სასიცოცხლო, პროგრესიული, ყველაფერი ის, რაც შეიძლება გამოყენებულ იქნას უკლასო სოციალისტური კულტურის მშენებლობისათვის.

ასეთნაირად გაგებული კლასიკოსი იქნება ყველა დროს გაგებული უაღრესად ობიექტურად, ვინაიდან ჩვენი ინტერესები,—ეს არის ისტორიის ინტერესები. სოციალისტური ადამიანის პოზიციებიდან ჭეშმარიტება სრულად მოჩანს.

საბჭოთა ქვეყანაში ყოველგვარი პირობებია შექმნილი კლასიკური მემკვიდრეობის ღრმა შესწავლისა და მეცნიერული ათვისებისათვის. სულ მცირე ხნის მანძილზე მნიშვნელოვანი მუშაობა იქნა ჩატარებული ძველი ლიტერატურის და ხელოვნების ძეგლთა კრიტიკული დამუშავებისათვის. საკმარისია დავასახელოთ თუ რა დიდი სიყვარულითა და მზრუნველობით იცემა ჩვენში ძველი ლიტერატურის წარმომადგენლები, რომელთაგანაც მანამდე ბევრს სრულებით არ ღირსებია გამოცემა, ანდა, გამოცემული იყო სრულიად უხეიროდ. სწორედ უკანასკნელ წლებში იქნა გამოცემული შ. რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსანი", დ. გურამიშვილის „დავითიანი", ბესიკისა და თეიმურაზ პირველის თხზულებანი, ფეშანგის „შაჰნავაზიანი", ნ. ბარათაშვილის თხზულებანი", გრ. ორბელიანის „ლექსები", ი. ჭავჭავაძის XI ტ., ა. წერეთლის, გ. წერეთლის, ე. ნინოშვილის, ი. ევდოშვილის თხზულებანი და სხვ. ამას უნდა დავუმატოთ რუსეთისა და უცხოეთის ლიტერატურის უდიდესი ნიმუშების თარგმანები (ბოკაჩიო, დანტე, პუშკინი, სტენდალი, ბალზაკი, ჰიუგო, დიკენსი, ლ. ტოლსტოი, „ნიბელუნგები" და სხვ). რასაკვირველია, აქ ყველას ვერ ჩამოვთვლით და ვერ ვილაპარაკებთ მასობრივ გამოცემებზე, რომელიც ძველი დროისთვის წარმოუდგენელი ტირაჟებით ვრცელდება მკითხველ მასებში.

მაგრამ ასე ხდება არა მარტო საბჭოთა საქართველოში. ასეთივე დიდი მუშაობა მიმდინარეობს კლასიკოსების გამოცემის, მისი პოპულარიზაციის და ფართე მკითხველი მასებისათვის მიწოდების საქმეში რუსეთში, უკრაინაში,

სომხეთში: აზერბეიჯანში და საერთოდ მთელ საბჭოთა კავშირის მრავალრიცხოვან ხალხთა ენაზე.

კლასიკურ მემკვიდრეობის ძეგლების გამოცემა პარტიასა და მთავრობას არ მიაჩნია უბრალო საქმედ. საბჭოთა პერიოდში გამოცემული კლასიკური მემკვიდრეობის ძეგლების შედარება წინადრეინდელ გამოცემებთან პირდაპირ შეუძლებელია, იმდენად მაღლა დგას ჩვენი გამოცემანი. ტექსტოლოგიური და კომენტატორული მუშაობა, რომლის ტრადიციაც საქართველოში თითქმის არ არსებობდა, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში უკვე მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზეა შემდგარი. ყველა ზემოთ დასახელებული გამოცემანი შესრულებულია ხელთნაწერთა გულდასმითი შესწავლის საფუძველზე, დართული აქვს კომენტარიები და კრიტიკული წერილები, რომლებიც მკითხველს საშუალებას აძლევს მთელი სისრულით შეისწავლოს და აითვისოს წარსული ეპოქების ამა თუ იმ დიდი წარმომადგენლის შემოქმედება. მთელი რიგი საკვლევაძიებო-მეცნიერული დაწესებულებანი (შ. რუსთაველის სახელობის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტი და სხვ.) სპეციალურად ამ საქმეს ემსახურება.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1934 წ. 20 აგვისტოს დადგენილება 1937 წ. შ. რუსთაველის 750 წლისთავის იუბილეს ჩატარებისათვის, კიდევ უფრო მეტად ლაპარაკობს პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებულ მზრუნველობისა და ყურადღების შესახებ კლასიკური მემკვიდრეობისადმი.

ლიტერატურული მემკვიდრეობის სალი, სწორი შეფასებისა და ათვისების საკითხი არ წარმოადგენს „უბრალო", „თავისთავად" საკითხს. იგი კლასობრივ ბრძოლის მნიშვნელოვანი მომენტია. ამიტომ იყო, რომ უკანასკნელ წლების მანძილზე ლიტერატურული მემკვიდრეობის ამათუიმ [illegible]ილის გაგება და მისთვის სათანადო [illegible]ნა იწვევდა აზრთა მძაფრ სხვადასხვაობას. ამ საკითხში შემოტევას აწარმოებდნენ, როგორც მემარჯვენენი, გამსჭვალულნი ფედერალისტურ-მენშევიკური შეხედულებებით, ისევე „მემარცხენე" ვულგარიზატორები.

როგორც მემარჯვენე, ისე „მემარცხენე" შეხედულებათა ავტორებს ძალზე ყალბი დამოკიდებულება ჰქონდათ ლიტერატურულ მემკვიდრეობისადმი.

ბოლშევიკურმა პარტიამ დაუნდობლად ამხილა და გაანადგურა როგორც ერთი, ისე მეორე შეხედულების მატარებელნი.

მემარჯვენე ფრთის წარმომადგენლები იქამდე მივიდნენ, რომ მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურის თითქმის ყველა წარმომადგენელს განურჩევლად შეხედულებების, მიმართულებების სხვადასხვაობისა აცხადებდენ „სოციალისტებად", „რევოლუციონერებად" (თითქოს ძალით თავზე მოხვეული იდეები, რომ არ აღენიშნათ ამით დამცირდებოდა მწერალი). ისინი მწერალს არ იხილავდნენ, როგორც გარკვეულ კლასობრივ მოვლენას, რომელსაც ამოძრავებდა გარკვეული სოციალური ძალები. ისინი უყურადღებოდ სტოვებდნენ მწერლის განვითარებაში შესწავლის აუცილებლობას, უგულებელყოფდენ მწერლის მეთოდისა და მსოფლმხედველობის ურთიერთობის საკითხებს.

არანაკლებ, ვიდრე მემარჯვენენი, ლიტერატურული მემკვიდრეობის საკითხს ამახინჯებდნენ „მემარცხენე" ვულგარიზატორები. საკმაოდ ცნობილია მკითხველთათვის პ. ქიქოძის ჯგუფის კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული „საქმიანობა" ამ მხრით, რაც გამოიხატებოდა წარსულის ხელოვნებით უარყოფაში. მაგრამ კლასიკოსებისადმი ასეთ უხეშ დამოკიდებულებას არა მარტო ქიქოძე და მისი უბადრუკი ჯგუფი ამჟღავნებდა. სამწუხაროდ, არიან სხვებიც.

„მემარცხენე" ვულგარიზატორები მწერალს იხილავდნენ მხოლოდ და მხოლოდ როგორც გაშიშვლებულ პოლიტიკურ მოვლენას. მათთვის არ არსებობდა ნაწარმოების მხატვრული მხარე, მწერლის შემოქმედების საზოგადოებრივ ისტორიული ხასიათი, არ არსებობდა მწერლის შემოქმედებითი განვითარების გზა. ასეთი „განხილვის" შედეგად, ცხადია, კლასიკოსს უკვე ყოველგვარი ღირსება და მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა თანამედროვეობისათვის.

სამართლიანად აღნიშნა საქ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობაზე ამხ. ლ. ბერიამ: „ზოგიერთი კომუნისტი კრიტიკოსი თავის „მომემარცხენო" ნახტომებში და ჯგუფურ ბრძოლაში მიდის კლასიკური მემკვიდრეობის უარყოფამდე". როგორც დადებითი მოვლენა ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ „მემარცხენე" შეხედულება კლასიკურ მემკვიდრეობაზე, რომელსაც ატარებდა ზოგიერთი ვულგარიზატორი და რაც გამოიხატებოდა წარსულის ხელოვნებით გაბიაბრუების ცდაში, ძირითადად მხილებულია. თუმცა ცალკეულ ვულგარიზატორულ გამოსვლებს უკანასკნელ ხანებშიც ჰქონდა ადგილი კრიტიკაში.

ამ ორმხრივი დამახინჯების, როგორც მემარჯვენე—ფედერალისტურ-მენშევიკურ, ისე „მემარცხენე" ვულგარიზატორთა წინააღმდეგ თანამიმდევარი, მტკიცე ბრძოლა მომავალშიაც რჩება ჩვენს გადაუდებელ ამოცანად, რომლის ირგვლივ უნდა გავამახვილოთ საბჭოთა საზოგადოებრივობის ყურადღება.

დიდი მტკიცება არ უნდა იმას, რომ კ. მარქსს, ფრ. ენგელსს, ვ. ლენინს და ი. სტალინს სულ სხვაგვარი დამოკიდებულება აქვთ კლასიკური მემკვიდრეობისადმი. მარქსმა, ენგელსმა ლენინმა დაგვიტოვა მთელი რიგი მაგალითებისა იმისათვის, თუ როგორ უნდა ავითვისოთ ნამდვილად კლასიკური მემკვიდრეობა. ასეთსავე საუკეთესო მაგალითებს გვაძლევს დღეს სტალინი, რომელმაც მწერალს უწოდა „სულის ინჟინერი". მათ მაგალითებზე უნდა ვისწავლოთ კლასიკური მემკვიდრეობისადმი ნამდვილი მარქსისტულ-ლენინური დამოკიდებულება.

კლასიკური მემკვიდრეობა საბჭოთა ქვეყნის მშრომელთა საკუთრებას წარმოადგენს. იგი ჩვენ უნდა ავითვისოთ კრიტიკულად და გამოვიყენოთ სოციალისტური ქვეყნის შენების საქმისათვის. ჩვენ წინააღმდეგი ვართ კლასიკური მემკვიდრეობისადმი ეპიგონური დამოკიდებულებისა, მაგრამ ამავე დროს სასტიკად უნდა შევებრძოლოთ იმათ, ვინც უარყოფს და უგულობელყოფს ამ მემკვიდრეობას.

# ახალი მზე

### რაუდენ გვეტაძე

ხუთმეტი წლისას წკირა გაქვს ხმაში,
ჯერ სიყვარული არ წაგიგია.
ქალწულს ვარდები ნოხათ გიგია,
გნახე და ქება გითხარ მაშინვე.

როცა ტყვიები ცვიოდენ, მაშინ
მახვილზე გული არ დაგიგია,
ოცნების კოშკი კვლავ აგიგია,
მე უკვე ვერცხლი მიბრწყინავს თმაში.

ჩემი ბავშობა წავიდა ოხრად,
მაგრამ მახარებს ახლა შენს მსურველს
ახალი მზე და მისი სურნელი.

ჩემს ლექსში სევდა დღეს აღარ ოხრავს,
ხუთმეტი წლისას ჯიმღერი ტკბილად
და მინდა ვიყო მეც შენი კბილა.



პავლე საყვარელიძე



შალვა დადიანი



პეტრე სამსონიძე

# თეიმურაზ პირველი

### სიმონ ჩიქოვანი

1.

შემოდგომაა და უსურვაზი
აშვენებს ტყეს და ნაშთების თაღებს.
სადღაც წარსულში
თეიმურაზი
ზის, უთვალთვალებს დანგრეულ კახეთს.
შებერებულა მგოსანი თითქო,
აოხრებია მტრისგან ხმელეთი.
სპარსულ დროიდან
გადმოსვლას ითხოვს
და იმედივით სჩანს იმერეთი.
კოშკის ყურეში დამჯდარა მეფე,
ძაძებს მოუცავს გრემის კარები.
ესმის გარდაცვლილ ნავაზის ყეფა
და მდუმარებენ შემოგარენი.
გააღებს ფანჯრებს. ჭადრიდან გვრიტი
გადმოფრინდება
ჟამთასვლის აქეთ,
ბერი მგოსანიც ლექსის ჭოგრიტით
განსჭვრეტს და ხედავს წრევანდელ
კახეთს.
შემოდგომაა, იტყვის საწყალი—
ყურძენი ბლომად, კომშიც რამდენი.
კახეთის ცაზე კიდევ ცოცხალი
მიჰქრის მიმინო და შევარდენი.
იადონიც ყეფს, სტვენაც შაშვისა,
დაფართქალებენ ქალებიც ქართას.
და ფარშავანგის ფრთებად გაშლილა
დაჯახებული ჭადრები ქართან.
ცაც ნარინჯია—თურინჯიანი,
მწვანე და თეთრი ფუნჯები ქვეყნის
აიშლებიან და ხანჯლიანი
მზე ფერადების ჟრიამულს შეჰყრის.
თან ყვითელს, წითელს,
ქარვას და ხაშხაშს
გააქვს ჟრჟოლა და იწვის საფირი.
და თვალებს უმღვრევს გადმომდგარ
ვაჟკაცს
ჭრელი ფოთლები და ცის ნაპირი.
ხედავს მეფე და ბუნებას ცინცხალს
ესვრის შირაზში დაჭედილ შაირს:
შენ, შემოდგომავ, ხოტბანი გითხარ
და ამიჭრელებ თვალებს და ჰაერს.
უთქმელი დამრჩა ბევრი ნაწყვეტი,
ყრმობის წასვლისას ჩაკვდა სიამე.
და მგლოვიარე დედის ცაცხვები
მიახლოვებენ ბნელს და ყიამეთს.
დედა ქეთევან და სიჭაბუკე
გიძღვენ ერთგულმა კახეთის წალკოტს,
შემდეგ სპარსულად ხმა დავიქუხე
და ხმის სამშობლომ წამება მარგო.
სხვა წინაპარი, ვეფხის აშიკი
მე უარვყავი, გავხდი ფუტკარი.
იადონის ხმა, ღვინის ჭაშნიკი
შევაზავე და ტრფიალს ვუთხარი.
მაგრამ ჩემ სისხლით ყორნები დათვრენ,
და არწივივით მომტეხეს მკლავი.
მაშინ ლექსისთვის ცხოვრება დავთმე,
დავთმე კახეთის ბუძგა ვარსკვლავი.
ტანჯვა მხუთავი მაწვა ზევიდან.
მგლეჯდა ფუძეს და კახურ ბუდეებს.
ტანჯვამ შაირი დამანთხევინა
და შემაერთა საუკუნეებს.
ეხლა რა გიყო, როგორ მოგთოკო,
რომელ სტრიქონში ჩავტიო სხივი?
ქარიც გამორბის და, როგორც გოგო
ტანატეხილი, ვენახში კივის.
ქარი კეთილი ქართლის ბედისა,
ყველგან ვრცელდება როგორც ანდაზა.
ვხედავ, კახეთსაც შვება ეღირსა
და ველებზეა მზე ფიანდაზად.
ნეტავ მანდ ვიყო, ბუდე ვაკეთო
და შევიერთო მგოსნის ცდუნება.
როგორ შეგამკო, ჩემო კახეთო,
და მაჯამებში ჩავსვა ბუნება.
მსურს ნადირობა ირემზე მაშინ
თუ ალავერდი ისევ ის არი.
სად ბედაური ფაფარგაშლილი
გამქროლებია როგორც ისარი.
ვხედავ, ბუნება ჩვენი თაობის
ამოუვსიათ ფესვებს ბროლიანს.
სადაც მინდორნი მე ბურთაობით
წამილია და გამისროლია.
გავვარდე კიდევ, გავსცილდე ლოდებს
და კვლავ ვუსურვო აწეულ თასებს:
კალმახებივით შაირნი ხტოდენ
და თვალებივით ჟამებში ჩასხდნენ.
ამბობს მგოსანი და მზე დახრილი
სხივებს გადმოშლის კოშკის ჯარაზე,
კახეთის ცქერით მეფე დაღლილი
დარდებს დააწყენს ცივ ფანჯარაზე.

2.

კოშკთან მდგომ ჭადარს შორდება
გვრიტი,
ყელზე ბარათით მოფრინავს ანცი,
ბერი მგოსანიც ლექსის ჭოგრიტით
თვალს გააყოლებს ფრინველის მანძილს.
მოხუც მკლავებით ეყრდნობა ფიცარს,
ლექსიდან კახეთს დასცქერის ობლად.
როგორც ბავშვებთან მსუქანი ბიძა
დღე შემოდგომის იცინის სოფლად.
უცინის სოფლად გულღია თებშებს,
ააჟანჟღილებს მთებს და ალაზანს.
ამკობს ფერებით თეთრ აზარფეშებს
და ფიქრებივით ფოთლებს დარაზმავს.
არწევს ტყეების წითელ ძოწეულს,
თამბაქოს სუნს და მაჭარის ნალექს.
ნაკვერცხლებივით ანთებს ბროწეულს,
ვაშლთა ლაშქარი დაამსხვრევს ბაღებს.
კაცი ჩამდგარა ვენახში, მაგრამ
უცხო ნერგია კაცი გარეგან.
მოდის ჯოგები მთებიდან დაბლა
და წინამძღოლი ზარებს დარეკავს,
და ამბობს მეფე: მეფეთა ქოშაგს,
ვერ ვხედავ, ალბათ დადგა ავდარი.
ნუთუ დაშვენდა ტახტს შემოდგომა
და შემოდგომას მოყვა ზამთარი?
არსად არა სჩანს ქოხები ისლის,
აივანზეა მოდგმა ლარიბის.
ჩრდილოეთიდან სამშობლო ისმის
და კახეთიდან შვების ზარები.
თვით განდგომილა თითქოს სოფლი[დან]
თეთრ-ალავერდის ნაშთი ნათელი,
გაფრინდა გვრიტი და გადმოფრინ[და]
და არ ჩამოყვა ფრთაც შარშანდელი,
აზარფეშაში სჯობნის წინანდელს,
ღვინის ჭაშნიკი და ხელოვნება.
ღვიძავს ალაზანს, ღვიძავს წინანდალ[ს]
და სხვაგვარია ქართვლის ცხოვრება.
ქვემოთ სიამე შაირებს ჰბადებს,
შრომაც შრიალით ეტრფის მოწეულ[ს]
მზე დასცემს ფოთლებს ციმციმა ბა[ღ]
სამკაულივით დადგამს ბროწეულს.
ოი, ქვეყანავ, შენ გამოიცვალე,
სხვა საუკუნე მოსულა სრულად.
აქ მეჩვიდმეტე უცქერს მოეცეს
და უხუცესი გაოცებულა.
ამბობს მეფე და შორით შეამჩნევს,
წყალთან ჭიხვინებს ცხენი იორღა.
ტყიდან გამორბის ვაჟას ირემი
და მოკაზმული დგანან იორთან
მთელი ქართლოსის მოშაირენი.
ესმის თეიმურაზს, სიტყვები ჰკადრეს,
წინ ეჯახება გლეხის შაირი.
შემდეგ იქექებს თვით ალექსანდრე
და ტყეც ჟღარუნობს როგორც დაი[რა].
მეფეს ხომ მეფედ არვინ იგონებს,
მხოლოდ შაირი უმკობს სამარეს.
დრო აშრიალებს გრემის სტრიქონე[ბს]
და ფარხმალივით მოდგმას აბარებს,
ბრაზდება მეფე. მოდი არჩილო,
მომეხმარე და გამსაჯე ბარემ.
შენ უნდა ტახტით გადამარჩინო
და ბანი უთხრა ტაძრების ზარებს.
ვხედავ, რომ ტახტი მოუსრავს იღბ[ალს]
და არ ვახსოვარ ფერდობს შეფენილ[ს]
საუკუნეთა მანძილის მიღმა
ლექსი სცოცხლობს და არა მეფენი.
მოხუცს შაირი ეცემა ძვლებზე,
ლექსი ჭოგრიტი ხელთ გავარდება,
გადიშხუილებს ჭოგრიტი წლებზე,
ჩამოვარდება გლეხის ვარდებთან.
აიღებს გლეხი უძველეს შაირს,
მტვერს მოაშორებს და შიგ ჩახედავს.
ვერ გამოიცნობს კახეთის ჰაერს
და ვერც ბილიკზე მომავალ მხედარს.
მაგრამ იფიქრებს, თხზავდენ ამფერად
ოდესღაც მტანჯველ ცხოვრების ლექსებს,
დაისვამს ხელზე და გასაწრთნელად,
როგორც მიმინოს, მიუალერსებს.
ხედავს მეფე და ბრაზდება თითქო:
ჩემი შაირი მე თვით მაფუჭებს.
დახურავს ფანჯრებს და მეფე თვითონ
მუშტებს დაარტყამს როგორც ჩაქუჩებს.
დაუშვებს ფარდებს, დახურავს კოშკსაც
საუკუნენი როგორც ფარები
შემოეხვევა გარეთ და დროშას
დაბლა დახრიან შემოგარენი.
ჩაიკარგება ნამყოში მეფე
და კახელები ვენახებს კრეფენ.

# დეპეშები

კაცობრიობის პრეისტორიის ბნელი მოცულ გზებზე არა ერთხელ შეხვედრია ერთი მეორეს ქართველი და უკრაინელი ერი და თვითეული ეს შეხვედრა თითქოს იყო სიმბოლო იმ ჩაგვრისა და წამებისა, რომელიც ამ ორ ხალხს არგუნა წყეულმა წარსულმა.

განა ტრაგიკული სახე დიდი დავით გურამიშვილისა, რომელიც ჰქმნიდა [მა]რტოობაში და რომელსაც არ ჰყავდა არც ერთი მკითხველი, არც ერთი გამგები თავის სიმღერისა და სიტყვებისა, განა ეს სახე არ არის ამავე დროს სიმბოლო მთელი მაშინდელი ჩაგრული საქართველოსი, რომლის უძლიერესი [ხმ]ებიც კი ვერ პოულობდა გამოძახილს მთელ მსოფლიოში.

განა სახე შესანიშნავი უკრაინელი [პო]ეტის პავლე გრაბოვსკისა, რომელმაც ციმბირში შეხვდა გადასახლებულსავე ქართველს და რომელმაც [პი]რველად უკრაინულ ენაზე სთარგმნა [რუს]თაველის მძლავრი სტროფები, განა სახე პოეტ გრაბოვსკისა არ არის სიმბოლო, რომ ძველად მხოლოდ [ხა]ლხთა საპყრობილეში შეეძლო ერთმანეთს შეხვედროდა ორი ერი და იქ [ეძე]ბათ დაახლოებისა და ურთიერთგაგების გზები.

და განა ძლიერი გვრინვა იმ მოძრაობისა, რომლის ძლევამოსილი ზრდის [ისტორია] ასახულია წიგნში მოკრძალებული სათაურით „ამიერ-კავკასიის [ბოლ]შევიკური ორგანიზაციების ისტო[რიის] საკითხისათვის", — განა ეს [გრი]ნვა არ აღვიძებდა მრისხანე ჰქა-



ქუხილს უკრაინის თვალუწვდენ ველების უნაპირო სივრცეებში.

და განა მართებული არ არის, როცა განთავისუფლებული უკრაინის ხალხი დაღუპულ მებრძოლ გმირების შორსისა და ბოჟენკოს სახელებთან ერთად იგონებს სახელს კეცხოველისას, რომელიც იბრძოდა უკრაინის განთავისუფლებისათვის.

დასასრულ, განა ახალი კაცობრიობის შემქმნელი მზიური გონება და სული დიადი, რომელიც აღიზარდა და გამოიბრძმედა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ბრძოლებში, განა ეს გონება და დიადი სული არ ანათებს ახლა გზას უკრაინის ხალხის მილიონებისათვისაც უმშვენიერეს და უბედნიერეს მომავლისაკენ.

ლენინისა და სტალინის სახელებით არის განათებული ეს ახალი გზა, გზა თავისუფალი მეგობრობისა, სრული ურთიერთგაგებისა, ძმური შემჭიდროებისა, გზა, რომლითაც მიემართება ჩვენი კავშირის ყველა ხალხი, და მათ შორის საქართველოსა და უკრაინის ხალხიც. ახლა აღგვილია საპყრობილეები. ხალხთა დანგრეულ საპატიმროდან გამოვიდნენ ძველად ჩაგრული მასები დიადი მოძმე რუსი ხალხისა, უკრაინელებისა, ქართველებისა, ბელორუსებისა, სომხებისა.

ხალხთა ძმობის დიადი პათოსი მოგვიწოდებს ჩვენ კიდევ უფრო სრული ურთიერთგაგებისაკენ, ჩვენი კულტურების კიდევ უფრო სრული შესწავლისა და შეცნობისაკენ. ჩვენც ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია. ჩვენ უნდა გავაკეთოთ უფრო მეტი და უკეთ.

რუსი, ქართველი, უკრაინელი, სომეხი მუშაკები ჩვენთვის საერთო კულტურისა, სოციალიზმის კულტურისა, განთავისუფლებული საქართველოს თუთხმეტი წლისთავის სასიხარულო დღეს, აღფრთოვანებით ვიძლევით ურყევ დაპირებას — განვამტკიცოთ ჩვენი სამშობლო, განვამტკიცოთ ჩვენი მეგობრობა, ჩვენი შემოქმედება, განვამტკიცოთ ჩვენი სიხარული. ამას ჩვენ ვეფიცებით ჩვენს დიდ ბელადს, ჩვენს მასწავლებელს და მეგობარს. ამას ჩვენ ვეფიცებით მას, ჩვენი საყვარელი, მშვენიერი, განთავისუფლებული საქართველოს თუთხმეტი წლისთავის დღეებში, რომლებიც სასიხარულო და სადღესასწაულო დღეებია მთელი ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირისათვის.

ბაჟანი



ჩემს მაგიდაზე ძევს მოპატიჟების ბარათი, რომელსაც ხელს აწერენ ამხანაგები—ბერია, მახარაძე, მგალობლიშვილი. მე ვამაყობ იმით, რომ დავიმსახურე ესოდენი პატივი ჩემთვის ესოდენ ძვირფას საქართველოსი... იმედი მაქვს მუშაობით გავამართლო თქვენი ჩემდამი ნდობა და ის ძმური სტუმართმოყვარეობა, რომლითაც ვიყავი მე მოცული ტფილისში ჩემი ყოფნის დროს.

[ა]ვადმყოფობა საშუალებას არ მაძლევს პირადად დავესწრო და გავიხარო საბჭოთა საქართველოს თუთხმეტი წლისთავის დღესასწაულით, მაგრამ ამ დიად დღეებში ვმუშაობ რა ჟურნალ СССР на стройке-ს სპეციალურ ნომერზე, მე თავს ვგრძნობ ამ დიდი ისტორიული იუბილეს განუყრელ მონაწილედ.

გაუმარჯოს და დღე ყვაოდეს ქვეყანა, რომელმაც კაცობრიობას მისცა სტალინის გენია.

აფინოგენოვი

მთელი ჩვენი არსებით ვესალმები რა მზიურ საქართველოს და გმირ ქართველ ხალხს, რომელმაც წარმოშვა და აღზარდა შესანიშნავი მებრძოლები ბოლშევიზმის დიადი საქმისათვის. გამობრძმედილი ბოლშევიკების, რკინის კომანდარმების სამშობლო, დიდებულ პოეტების სამშობლო ძვირფასია ყოველი ჩვენგანისათვის. მისი სიჭაბუკე ჩვენი სიჭაბუკეა. მისი ბედნიერება საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ბედნიერებაა.

საიანოვი

# ჩემი სათქმელი

### პ. საყვარელიძე

ჩემი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის წელთა სათვალავს რომ შევუდგე, ოცდაათი ოცდახუთმეტი წლის დასახელება დამჭირდება. შეიძლება ეს ვინმემ დამსახურების წელთა სიმრავლის მაძიებლობაში ჩამომართვას. მით უმეტეს, რომ ჩემი ნაწერების პირველი წიგნი ამ რამდენიმე წლის წინათ დაიბეჭდა— ეს იყო 1930 წელს.

მე მწერლობაც ერთნაირ ხელობად მიმაჩნია. სანამ ოსტატობას დაიჩემებდე, დიდი და რთული გზა უნდა მოიტოვო უკან. გზა შეგირდობის, თანდათანი დახელოვნების. დიდ ოსტატობას არც ახლა ვჩემობ, მაგრამ შეგირდობას რომ ბევრი დრო მოვანდომე—ეს კი ცხადია.

ჩვენსა, მახსოვს, ჩემი ბავშობის დროს ეგნატე ნინოშვილის „კაცია მუნჯაძე“ ჩამივარდა ხელში. მამა-ჩემს ერთი სკივრი ჰქონდა, რომელსაც მუდამ ბოქლომი ედვა. ერთხელ ამ ბოქლომის გასაღებს წავადექი თავზე და სკივრი გავაღე. იქ, სხვათა შორის, რამდენიმე წიგნი დამხვდა. იყო რაღაც „ქალ ვაჟიანი“, „არჩილიანი“, მგონი სიზმრის ახსნის წიგნიც... არცერთი არ მომეწონა, ვერც ვერაფერი გავუგე, მაგრამ დიდი სიხარულითა და აღტაცებით წავიკითხე ეგნატეს კაცია მუნჯაძის უბედურების აღწერა. დღისით მუშაობის გამო მოქანცულმა კაციამ თავი რომ მიდვა რკინის ლიანდაგზე და მიიძინა... გამოიარა მატარებელმა და კაციას თავი ტანს მოაშორა.

ეს სურათი დღესაც უკან მსდევს და კაციას რკინის ბორბლებით გასრესილი სხეული თვალწინ მიდგას.

ამ წიგნმა, ამ პატარა მოთხრობამ ბევრი რამ შეატრიალა ჩემ ცხოვრებაში. გაჭირვება, უბედურება მეც ბევრი მინახავს, მაგრამ ამ გარემოებას არ დაუფიქრებივარ, სახლშიაც ხომ იმას მეუბნებოდნენ:—„სიმდიდრე და სილარიბე— ორთავე ღვთის გაჩენილია. ასე ყოფილა, ასე იქნებაო“.

„— არა,—ვამბობდი მე ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ—ასე იყო, ასე არის დღეს, მაგრამ ასე არ იქნება, არ უნდა იქნეს!“

ამ დაჩაგრული ხალხის, ამ გაჭირვების სიმძიმით ქედმოხრილ ადამიანების ბედის გამოსწორება, ჩემი აზრით, შეეძლო ასეთ წიგნებს, როგორიც იყო ეგნატეს „კაცია მუნჯაძე“. შევნატროდი ეგნატეს ნიჭს, უნარს მისას, რომ მან ასე ცოცხლად გამოსახა ქაღალდზე გლეხკაცის დუხჭირი ცხოვრება.

ამ დღიდან მოკიდებული ჩემი არსების განუყრელ თვისებად გადაიქცა— რაც კი რამე ხდება ჩემს გარშემო იმ მხრივ შევხედო და შევითვისო, რომ მისი წიგნად თქმა შეიძლებოდეს.

მაგრამ წიგნად თქმა არც ისე ადვილი გამოდგა.

ჩემი მოწაფეობის დროს ხელნაწერ ჟურნალს ვცემდით, „სხივი“ ერქვა მას სახელად და პირველი ჩემი ცდა იქ „დაიბეჭდა“—ეს „დაბეჭდვა“, რასაკვირველია, დაწერა იყო—ჩემი მოთხრობა „სიმონას უბედურობა“. ეს 1900 წლის ამბავია.

მეც არ მომეწონა, რაც მინდოდა, იმისი თქმა ვერ მოვახერხე, მე რომ ჩირაღდანის დანთებას ვაპირებდი, უბრალო ჭრაქის სინათლეც კი არ გამოჩნდა. ამის შემდეგ მე სხვა ტალღებმა წამიყოლიეს...

ოთხი-ხუთი წლის არალეგალური რევოლუციური მუშაობა, ექვსი წლის ციხე და კატორღა და საუკუნო გადასახლება ციმბირში—ეს ყოველივე ერთიმეორეს გამოეკიდა.

არ ყოფილა დღე, საათი ისეთი ამ ხნის განმავლობაშიაც ჩემი ბავშობის ნატვრის საგანს არ დავბრუნებოდი.

ბევრი იყო მასალა, დიდი და მდიდარი დაკვირვების ასპარეზი იყო ჩემ წინ გადაშლილი. ბევრჯერაც ვცადე, ვცადე სხვადასხვანაირად, მაგრამ ვერ შევძელი. ქაღალდზე ჩემ თხრობას არც სისხლი ჰქონდა არც ხორცი.

ბოლოს ცოტათი თუ ბევრად მოვერიე ამ სიძნელეს და დავიწყე.

ეს იყო „დაფანტული ფურცლები“, ის 1930 წელს გამოქვეყნდა. მასუკან წელიწადი არ გამიცდენია: უკვე დაიბეჭდა და გამოვიდა ჩემი ნაწერები: „ეკლიან გზაზე“, „ქვა და რკინა“, „უკანასკნელი გადასარბენი“, „ჩატეხილი ხიდი“. იმედი მაქვს, რომ ამ რამდენიმე დღის შემდეგ გამოვა ჩემი ახალი წიგნი „გზები და ბილიკები“. საგაისოდ გამოვა ჩემი „შემართული იალქანი“.

მკითხველების მადლიერი ვარ, რომ თავიანთ შეფასების ხმას არ მამადლიან, მწერენ, მეუბნებიან თავიანთ შთაბეჭდილებებს. სამი დიდი დასტა მაქვს შეკრული და შენახული. აქ მკითხველების წერილებს ვინახავ, ვუფრთხილდები, როგორც თვალის ჩინს. მჯერა, რომ მკითხველის დაფასება—საუკეთესო დაფასებაა ავტორისათვის.

როგორია ჩემი შემდეგ მუშაობის გეზი?

თუ ჯანი შემყვა, უსაქმოდ არ დავრჩები, მწერლობის გარეშე სხვა საქმეს ხელს არ მოვკიდებ, მაგრამ სახელდობ დღეს იმის თქმა, თუ საგაისოდ რას დავწერ—არ შემიძლია.

ეს იყო ჩემი სათქმელი.



ალ. აბაშელი



რაჟდენ გვეტაძე



ალიო მაშაშვილი



გიორგი კაჭახიძე



ბორის ჩხეიძე

# სოციალისტური შემოქმედების ფერხულში

### ალ. აბაშელი

როცა ოქტომბრის რევოლუციამ დაიქუხა, საქართველოს მაშინდელი მესვეურები ამ მოვლენას პირჯვრის გამოსახვით შეეგებნენ: ღმერთო, ააცილე ჩვენს ქვეყანას ეს განსაცდელიო. ეს უარყოფითი დამოკიდებულება ოქტომბრის რევოლუციისადმი ადრევე იყო შემზადებული და განმტკიცებული იმ პოლიტიკური კონცეპციით, რომელიც გამოიმუშავა და სათანადოდ ჩამოაყალიბა საქართველოში იმ დროს გაბატონებულმა პარტიამ.

რევოლუციის ეს ლიბერალურ-ბურჟუაზიული სქემა მშვენივრად არის დახასიათებული სტალინის მიერ 1907 წ. დაწერილ წერილში, რომელიც მოჰყავს ამხ. ლ. ბერიას თავის შესანიშნავ მოხსენებაში:

„მენშევიკების აზრით, რახან ჩვენი რევოლუცია ბურჟუაზიულია, ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ ბურჟუაზიას შეუძლია იყოს რევოლუციის ბელადი. ბურჟუაზია იყო საფრანგეთის დიდი რევოლუციის ბელადი, იგი იყო ევროპის სხვა სახელმწიფოთა რევოლუციების ბელადი. იგივე უნდა იყოს ჩვენი რუსეთის რევოლუციის ბელადიც. პროლეტარიატი რევოლუციის მთავარი მებრძოლია, მაგრამ იგი ბურჟუაზიას უნდა მიჰყვებოდეს, მას წინ სწევდეს... ბურჟუაზია პროლეტარიატისათვის უფრო საიმედო მოკავშირეა, ვიდრე გლეხობა...“ ამიტომ, არა „გლეხობასთან ერთად მთავრობის და ლიბერალური ბურჟუაზიის წინააღმდეგ, პოლეტარიატის მეთაურობით, არამედ მთელ ოპოზიციასთან ერთად მთავრობის წინააღმდეგ ლიბერალური ბურჟუაზიის მეთაურობით“.

ამ სქემით რევოლუციის ნამდვილ ავანგარდს, პროლეტარიატს, ენიჭებოდა ბურჟუაზიული ბელადის მეჯინიბის დამამცირებელი როლი: მას უნდა გამოეყვანა ცეცხლმოდებულ თავლიდან ძალაუფლების რაში და ზედ ლიბერალების „ბელადი“ დაესვა. თვითონ პროლეტარიატი ხელცარიელი რჩებოდა, უკეთ რომ ვსთქვათ, მას ხელში თითქოს უტოვებდნენ მათრახს: თუ „ბელადის“ ცხენი ოჩნობას დაიწყებდა, პროლეტარიატს მათრახი უნდა შემოეკრა მისთვის და ამგვარად „წინ წაეწია“ ის.

გარდა იმისა, რომ ეს იყო წარმოუდგენელი შეუფასებლობა პროლეტარიატის ავანგარდული როლისა რევოლუციაში, ის ამჟღავნებდა ამავე დროს შეუწყნარებელ პოლიტიკურ სიბეცეს, ვინაიდან ყველასათვის ცხადი უნდა ყოფილიყო, რომ ვინც ცხენზე ზის, მათრახიც მას უჭირავს ხელში.

რევოლუცია, კომუნისტური პარტიის მეთაურობით, თავის გზით მიდიოდა და როცა ოქტომბერმა დაიგრიალა, სოციალისტური რევოლუციის ბასმა სამუდამოდ ჩაახშო ბურჟუაზიული დემოკრატიის გაბზარული ტენორი.

ჩვენ კი ამდროს საქართველოში თავს ისე ვგრძნობდით, როგორც ნავსადგურში [illegible]ავშეფარებული მგზავრი: ის არ გაჰყვა გემს ქარის შიშით, და შიშნაკრავი ამბობს: მადლობა ღმერთს, ცოცხალი გადავრჩიო. მაშინ არავის სჯეროდა (ჩვენს წრეში), რომ ოქტომბრის ქარიშხალი კავკასიონშიაც ამოვარდება. ორი კვირის ვადას აძლევდნენ ბოლშევიკების გამარჯვებას, [illegible] ბევრი— ორი-სამი თვე თუ იბოგინებდა იგი.

[illegible] იყო მაშინ ჩვენ მიერ დასმული დიაგნოზი.

[illegible]ა მე რომ ვკითხულობ სტალინის მაშინდელ წერილებს, სადაც ყველასათვის გასაგები ენით მოცემულია რევოლუციის მომქმედ ძალებისა და მიზნების ნათელი და ამომწურავი ანალიზი, რაც შემდეგ გასაოცარის სიზუსტით დაადასტურა ისტორიამ, მიკვირს, რატომ ვერ ვხედავდით ჩვენ იმ დროს რევოლუციის ამ ფართო გზას. სამწუხაროდ ეს გზა ჩვენთვის მხოლოდ მაშინ გამოჩნდა, როცა „დემოკრატიული ურემი“ გადაბრუნდა.

დრომოჭმული ბურჟუაზიული დემოკრატიის უნიათობა შესცვალა რევოლუციონური პროლეტარიატის დიქტატურამ. ოქტომბრის რევოლუციის კარიბჭეს მოასკდა გაცოფებული რეაქცია, კაპიტალისტური სახელმწიფოების მიერ ზურგგამაგრებული, მაგრამ ამ კარებთან ჰპოვა მან სამუდამო სამარე. პროლეტარიატის დიქტატურამ გამოიჩინა განსაცვიფრებელი სიმძლავრე და მის ფოლადის მკერდს შეელეწა კონტრრევოლუციის ცოფიანი ტალღები.

მახსოვს, როცა საქართველოში მეორე ინტერნაციონალის დელეგაცია იმყოფებოდა კაუცკის მეთაურობით, მაკდონალდი ლაპარაკობდა ინგლისის მუშათა პარტიის მომავალ გამარჯვებაზე. დიდ იმედებს ვამყარებდით მაშინ ჩვენ ამ პერსპექტივაზე: ხუმრობა ხომ არ იყო, დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება გადავიდოდა მუშათა პარტიის ხელში და სოციალიზმიც სწორედ მაშინ განხორციელდებოდა.

მაგრამ სინამდვილემ ამ მოლოდინს უპასუხა შეუბრალებელი სიმახინჯით.

რამზეი მაკდონალდის ხელისუფლება კონსერვატორებზე არანაკლები გულმოდგინებით იცავდა კაპიტალისტური რეჟიმის სტატუსკვოს და ბრიტანეთის იმპერიალისტურ ტრადიციებს!

ყველგან, სადაც მეორე ინტერნაციონალის ბანაკს ხელი მიუწვდა სახელმწიფოებრივ ძალაუფლებისაკენ, საქმე ღალატით და მარცხით დამთავრდა.

ჭეშმარიტად: არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი.

მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის ძლევამოსილი დროშა ანათებს სოციალიზმის გზას მთელს მსოფლიოში. მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურას შესწევს ძალღონე ალაგმოს ბურჟუაზია და გაფანტოს წვრილბურჟუაზიული „დემოკრატიის“ ბურუსი.

საქართველოს ძვირად დაუჯდა ბურუსის გარღვევა, მაგრამ 15 წლის განმავლობაში ოქტომბრის რევოლუციის ცხოველმყოფელმა სხივებმა მას წარსულის წყლული მოუშუშეს და ახლა ის დგას საბჭოთა კავშირში სოციალიზმის მშენებლების მოწინავე რიგებში.

იმ მრავალ მიღწევათა შორის, რომლებითაც დაიტვირთა საბჭოთა საქართველოს არსებობის დროით მცირე, მაგრამ შინაარსით ბარაქიანი მანძილი, აღსანიშნავია ქართული ლიტერატურის აღორძინება. ოქტომბრის რევოლუციამ დიდი იდეების ახალი ძალა ჩაჰბერა ჩვენს მწერლობას და მტკიცედ დაუკავშირა იგი ჩვენს ისტორიაში უმაგალითო ამშენებლობას.

ის, რაც წარსულში კაცობრიობის საუკეთესო ნაწილს გზას უნათებდა, როგორც შორეული მიზანი, ოქტომბრის რევოლუციამ წინ გაუშალა თანადროულობას ბრწყინვალე სინამდვილედ. მწერლობას მიეცა შეუზღუდველი შემოქმედების უნაკლოდ გამომჟღავნების სრული საშუალება. ამავე დროს მის წინაშე წამოიჭრა კაცობრიობის გარდაქმნის ურთულესი პრობლემები.

ძველი მწერლობა ძველი სოფლის დაქუცმაცებულ მეურნეობას ჰგავდა, სადაც ყოველი მეურნე თავის ვიწრო შემოღობილ ეზოში იყო მომწყვდეული. რევოლუციამ საბოლოოდ გააქრო მწერლობაში მეწვრილმანური მსოფლმხედველობა და მხატვრულ შემოქმედების ფართო, ღობეშემონგრეულ ყამირზე დიდი საზოგადოებრივი იდეების ტრაქტორები და კომბაინები დაატრიალა.

დღეს ჩვენი მწერლობის გარემო სავსეა ჯანსაღი ჰაერით და სინათლით. იგი განიცდის თანადროულობის უშუალო სუნთქვას, ისტორიის ჩარხის ტრიალისაგან ამდგარი ქარის ამაღლებელ გავლენას.

საბჭოთა კავშირი ხომ სოციალისტური ფორმაციის ბრწყინვალე კრისტალია, რომლის ირგვლივ თავს იყრიან მთელი მსოფლიოს მოწინავე ძალები. იდეურ სიბნელით მოცულ დღევანდელ კაპიტალისტურ ევროპას უპირისპირდება სოციალისტური მშენებლობით განათებული ქვეყანა, ომის სისხლიან აჩრდილს—ახალი ადამიანის გმირული მისწრაფება მშვიდობიანობისაკენ, მაღალ კულტურისაკენ. განუზომელია საბჭოთა მწერლობის როლი ამ კონტრასტის ასახვაში. მან უნდა დაანახოს კაცობრიობას ახალი ადამიანის რთული და მიმზიდველი სახე. ეს არ არის ადვილი საქმე. ჩვენი დღეების მწერალს სჭირდება დიდი უნარი და ენერგია რომ არ ჩამორჩეს, კვალდაკვალ მისდიოს საოცარი სისწრაფით გაქანებულ მშენებლობას და ამ გაუგონარი შემოქმედების ავარვარებულ ატმოსფეროში საკუთარი შუქით გამოჩნდეს. ამით აიხსნება ჩვენი მწერლობისადმი პარტიისა და ხელისუფლების განსაკუთრებული ყურადღება.

საქართველოს საბჭოთა მწერლობა ჩაბმულია ჩვენი კავშირის ხალხთა შემოქმედების საერთო ფერხულში. საქართველო უკვე აღარ არის ლიტერატურული პროვინცია, ეს ცხადყო იმ საგულისხმო გამოძახილმა, რომელიც ჰპოვა მთელს კავშირში ქართულმა მწერლობამ, განსაკუთრებით ქართულმა პოეზიამ. უკანასკნელი წლების განმავლობაში ქართული საბჭოთა მწერლობა შესამჩნევად გაიზარდა და ის ეგებება საბჭოთა საქართველოს 15 წლისთავს მრავალი მიღწევებით და გაშლილი პერსპექტივებით

# ხუთმეტი ათჯერ უნდა გამრავლდეს

### მიხეილ ჯავახიშვილი

მეტისმეტად ძნელია მცირე წერილში ყოველმხრივ ავწერო ის უზარმაზარი ცვლილება, რომელიც ამ 15 წელიწადში მოხდა. ამ თემას ერთი ტომიც ძლივს დაიტევს.

საქართველოს ეკონომიკა ძირფესვიანად გადაკეთდა. უწინდელი რუსეთის მეტად ჩამორჩენილი აგრარული კუთხე სანიმუშო ინდუსტრიალურ-აგრარულ რესპუბლიკად იქცა. ჩვენს სასოფლო მეურნეობას სიმინდი, თამბაქო, აბრეშუმი, მატყლი, ღვინო და ხილი ედო საფუძვლად, ახლა კი ამ დარგებს ვეება ფართობი დაემატა ციტრუსების, ჩაისა და მსგავსი ტექნიკური კულტურის მცენარეულობისა.

ჩვენი მაშინდელი მრეწველობა სახსენებელიც არ არის. რასაც ფასი ჰქონდა (მარგანეცა, სპილენძი), ის უცხოელთა ხელში იყო, ხოლო რამდენიმე ქარხანა, ისიც უმეტესად უცხოელებისა, სახელოსნოს ჰგავდა და სულს ჰლაფავდა. ახლა კი 15 წელიწადმა ნამდვილი მრეწველობა გაგვიჩინა. ამავე დროს სულ მოისპო კერძო საკუთრება მიწისა და დამყარდა კოლექტიური ფორმა მისი მფლობელობა-დამუშავებისა.

გაქრა წერა-კითხვის უცოდინარობა და გაიბა ურთულესი ქსელი ყველა დარგისა და საფეხურის სკოლებისა. რომანოვებმა ჩვენთვის ერთი უმაღლესი სკოლაც კი არ გაიმეტეს და ქართული მეცნიერება თითქმის ჩაახჩვეს, ახლა კი ხუთმეტიოდე უმაღლესი სასწავლებელი და რამდენიმე ათეული სამეცნიერო დაწესებულება მოგვეპოვება, სადაც მრავავალი ათასი სტალინელი ახალგაზრდა იჭედება.

მეცნიერებას არც ხელოვნება ჩამორჩა. მხატვრებს, კომპოზიტორებს, არტისტებს, ხუროთმოძღვრებსა და მოქანდაკეთ მაშინ თითებით ვითვლიდით, ახლა კი ათობით და ასობით ვითვლით. მშრომელი ხალხის ნიჭმა ათასი წლობით გამხმარი ნიადაგი ამოხეთქა და ყოველი დარგი ჩვენი ცხოვრებისა აყვავებულ ბაღად აქცია.

უწინდელ თეატრებს სული ძლივს ედგათ. ჩვენი დედაქალაქის თეატრიც კი ქველმოქმედების წყალობით არსებობდა. დღიდან მისი არსებობისა თითქმის 70 წელიწადი გავიდა და ამოდენა ხანში ვერც ერთმა თეატრმა მატერიალური ბაზა ვერ მოიპოვა. დასი მუდამ მშიერი იყო. მწარე ღიმილით ვიგონებ იმ დროს, როცა მეც კარიკარ დავდიოდი და სამადლოდ სააბონენტო ბილეთებს ვყიდდი. მართალია, იმ თეატრში რამდენიმე უნიჭიერესი არტისტი გაიზარდა, მაგრამ იგი მაინც უდღეურ ყვავილს ჰგავდა და ოქტომბრის მოსვლამდის მუდმივ ჭკნობას განიცდიდა. რეპერტუარი მობერებული იყო, უმეტეს წილად თარგმნილი, ფარსით და ვოდევილით ძლეული. ახალი დადგმაც მეტად იშვიათ მოვლენას შეადგენდა.

ახლა რამდენიმე სახელმწიფო თეატრი გვაქვს და მარტო მარჯანიშვილის და რუსთაველის თეატრებში ერთხელ შესვლაც კი საკმარისია, რომ უწინდელის მნახველმა ახლანდელი თეატრი სულ ვეღარ იცნოს. მე არ მახსოვს, რომ უწინდელი ქართული თეატრი რუსის საზოგადოებას ენახოს, ახლანდელებმა კი საბჭოთა კავშირის მრავალი ქალაქი მოიარეს და დიდი გამოძახილი ჰპოვეს. არც ის მახსოვს, რომ უცხოეთის პრესაში ჩვენს თეატრზე რაიმე დაწერილიყოს, ახლა კი მრავალმა ჟურნალ გაზეთმა ქება უძღვნა და მათი სახელი მსოფლიო ასპარეზზე გაიტანა. ისიც გასახსენებელია, რომ რუსთაველის თეატრმა უზბეკებს, დაღესტნელებს და სხვებსაც ეროვნული არტისტების კადრები გაუწრთვნა. გარდა ამისა, რამდენიმე უწინდელ კომპოზიტორს ათიოდე ახალგაზრდა კომპოზიტორი მიემატა და ერთ უწინდელ ორიგინალურ ოპერას ათიოდე ახალი დაერთო. რუმინეთის მოსახლეობა 18 მილიონს უდრის და თვითონ რუმინელები ფრიად მუსიკალური ხალხია, მიუხედავად ამისა პირველი რუმინული ოპერა მხოლოდ 7-8 წლის წინათ დაიდგა.

უფლისციხის, ვარძიისა და მსგავსი მონუმენტალური ძეგლების ამშენებელ ხალხს რომანოვებმა ხუროთმოძღვრებაც გამოულიეს. ოქტომბრის წინა ხანებში ზოგი ძეგლის გეგმის გადაღება დაგვჭირდა და ქართველი ხუროთმოძღვარი ვერ ვიპოვეთ. ოქტომბერმა 15 წელიწადში ეს დანაკლისიც შეგვივსო.



სტალინი საბჭ. საქართველოს მშენებლობაზე ბარელიეფი სახ ი. ნიკოლაძისა

ერთი მოქანდაკე და ხუთიოდე მხა[ტ]ვარი გვყავდა. ოქტომბერმა მათი რიცხვ[ი] ერთიათად გაგვიმრავლა და რამდენიმ[ე] ისეთი ნიჭიერი ხელოვანი გაგვიზარდა, რომელნიც ქართულ საბჭოთა ხელოვნებაში მთელ ეპოქას შექმნიან.

კულტურის საზომად ენაც გამოდ[გება]. ისედაც უმდიდრესი ქართული [illegible] ამ 15 წელიწადში უფრო მეტად [illegible]დიდრდა. მეცნიერების აღორძინება[მ] უთვალავ ახალი ცნებისა და საგნის ჩენამ მრავალი ათასი ახალი სიტყვა გვიჩინა, სამწერლო ლექსიკა გაგვიმ[დიდრა] და აგვიფერადა. ერთ დროს ს[illegible]ოდ ამღვრეული ქართული შესამჩ[ნევად] იწმინდება და კლასიკური ეპოქის ნათლეს, გამჭვირვალებას და მოქნ[ილო]ბას ახალი ხერხით ითვისებს.

წიგნიც კულტურის და მწერ[ლობის] მაჩვენებელია. ჩემზე უფრო ზ[illegible] სტატისტიკა ილაპარაკებს, მე კი ვიტყვი, რაც უწინ მინახავს და ახლა ვხედავ. გოგებაშვილის ხუ[illegible] სახელმძღვანელო რამდენიმე ათას [illegible] იბეჭდებოდა, ახლა კი მრავალი ა[illegible] სახელმძღვანელო მრავალ მილიო[illegible]ლად იბეჭდება. უწინ მხატვრულ[illegible] ორიოდე ათასს ბეჭდავდნენ და ხუ[illegible] წელიწადში ძლივს ანაღდებდნენ, [illegible]კო ზოგი წიგნი 20—25 ათასი იბ[illegible]

სასაცილო ფაქტია, სატირალ[illegible] არ იყოს: გენიოსმა ბარათაშვი[illegible] ვის ნაწარმოები დაბეჭდილი ვე[illegible] ახლა კი მისი ლექსები საბჭოთა [illegible] ში რამდენიმე ენაზე იბეჭდება. [illegible] ბერმა ქართულ წიგნს საზღვრებ[illegible] ლვია და უფართოეს ასპარეზზე [illegible] რამდენიმე წელიწადში მრავალ[illegible] ველი ავტორი-კლასიკოსიც და [illegible] დელიც—რუსულს, უკრაინულ[illegible][illegible]ლს, სომხურს, თურქულსა და [illegible] ენებზედაც დაიბეჭდა. რამდენიმე [illegible]ლ ქართულ მოთხრობას ცნობილმა [illegible]ნგულმა ჟურნალმაც დაუთმო ალაგი, [illegible] ერთი რომანი ჩეხურ ენაზე გა[მო]ვიდა წიგნად. უწინ ქართველი მწე[რ]ალი კარს აკაკუნებდა და არ უღებ[დ]ნენ, ახლა კი იგი ფართედ გაგვიღეს.

ლიტერატურულს დაახლოვებას პი[რ]ოვნული დაახლოვება მოჰყვა. ბრიგა[დ]ების დაგზავნამ უდიდესი ნაყოფი გა[მო]იღო. მწერალთა დაახლოვებამ და [ერ]თმანეთის შემოქმედების გაცნობამ შე[ს]ამჩნევი გავლენა მოახდინა მათ შემოქ[მ]ედებაზედაც. ამას წინათ ერთი გამო[ჩ]ენილი რუსი კრიტიკოსი სამართლიანად [ს]წერდა, რომ ქართულმა მწერლობამ [რ]უსულ მწერლობაზე გავლენა იქონიაო. [თ]ავისთავადაც ცხადია, რომ რუსულმა მწერლობამ ქართულზე მრავალჯერ უფრო მეტი გავლენა მოახდინა. კულტურული აღებ-მიცემა ორივე მხარეს არგებს და ამ მოვლენას უთუოდ უნდა მივესალმოთ.

15 წლის წინათ კალამი არც ერთ მწერალს არ აცხოვრებდა, ახლა კი ეს პროფესია მრავალ მწერალს აცხოვრებს.

ოციოდე წლის წინათ ერთმანეთს ვედავებოდით, რომანი გვაქვს თუ არა გვაქვსო. „ვისრამიანი“ და „ვეფხის ტყაოსანი“ უდავო რომანებია. მაგრამ სადავო, რა ვუწოდოთ ყაზბეგისა და ჭავჭავაძის პროზას („ელგუჯა“, „ოთარაანთ ქვრივი“ და სხ.), რომანი, თუ მოთხრობა (რუსული „პოვესტ“). დავა ოქტომბერმა გადასჭრა: ოციოდე უდავო რომანის დაწერა შეგვაძლებინა.

მომავალ წელს ჩვენი სიამაყე რუსთაველს დიდი ზეიმით უნდა გავიხსენოთ. [მ]ზადდება ძეგლი, „ვეფხის ტყაოსნის“-ის აკადემიური და სახალხო გამოცემანი, კინოსურათი და სხ. ამ უდიდეს კულტურულ-პოლიტიკურ აქტისთვის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ვერავინ მოიცალა“. ამგვარადვე გავიხსენეთ ამას წინათ ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი და სხ., ხოლო ზოგ მწერალსა და ხელოვანს მოღვაწეობა სიცოცხლეშივე დავუფასეთ და სათანადო პატივი გადვუხადეთ.

მწერლობაში სხვა მხრივაც უდიდესი ცვლილება მოხდა. გაქრა შხამიანი დეკადანსი, პირქუში მისტიკა, კულტი ზეკაცური ინდივიდუალიზმის და შორეული ბუმბერაზებისა. გაჩნდა ახალნაირი თემა, სტილიც და მეტყველების ხერხიც.

ახლა გმირს თვითონ დღევანდელობა გვთავაზობს. იგი ათასობით მოიპოვება კოლმეურნეობაში, ქარხანაში, მაღაროში, ყინულეთში, ჰაერში, წყალზედაც და წყალქვეშაც.

გართულდა და გადახალისდა ტექნიკა ლექსის და პროზისა, სისტემა სახისა, ლექსიკა, რიტმი, რითმა და ენის სინტაქსისმაც კი იერი შეიცვალა. კლასიკოსებისაგან ბევრი რამ დაგვრჩა სასახსოვრო, ხებელი, მაგრამ ილია, ვაჟა და აკაკი ცოცხალი რომ ყოფილიყვნენ, იმათაც შეეძლოთ საბჭოთა მწერლისგან ზოგი რამე ესწავლათ.

უწინდელი გამალხობელი სტილი კაჟივით გამაგრდა. ახლანდელი ლირიკაც კი გამკვრივდა და ლითონივით აჟღერდა.

ოქტომბერმა მაჯის ცემაც შეგვიცვალა. უწინ ავტორი თითქო ურმით მიიზლაზნებოდა, ახლა კი ავტომობილით მიჰქრის და იქიდან გვესაუბრება. ჩვენს სულს ურმის მაგიერ მოტორი შეუდგეს. დინამიურობა გაგვიძლიერეს და მწერლობამ ამის გამოც ძლიერ ბევრი მოიგო.

არც ერთი თემა აკრძალული არ არის. თემა ისე ჰყრია ყველგან, როგორც ქვა რიყეზე. ჰყრია და ოსტატს ელოდება. უმთავრესი კი მაინც ის არის, რანაირი თვალით დაინახავს მას მწერალი. ოქტომბერმა თვალი გამოგვიცვალა და საგანიც და ამბავიც ახალნაირად დაგვანახვა. უწინ „არსენა მარაბდელს“ არ დავწერდი, ან სულ სხვანაირად დავწერდი. ალბათ ასევე მოიქცეოდნენ უფროსი თაობის სახელმოხვეჭილი ოსტატები: შ. დადიანი („ურდუმი“), ნ. ლორთქიფანიძე („ბილიკებიდან ლინდაგამდე“), ლეო ქიაჩელი („აკი აბბა“), ი. გრიშაშვილი, კ. ჭიჭინაძე, გ. ქიქოძე, აბაშელი, ჭუმბაძე და ზოგი სხვაც.

ცალკეულ მწერალს შეუძლიან თუნდ ფარნაოზის დრო გვაჩვენოს, ხოლო საერთოდ მწერლობის უმთავრესი ამოცანა ის ახალი ადამიანია, ის დღევანდელობაა, ის ახალნაირი მეტყველებაა, რომელიც თითქმის დავიუფლეთ და რომელსაც კიდევ დიდძალ ენერგიას შევალევთ.

ოქტომბერმა უამრავჯერ გაგვიმრავლა მკითხველი და ამავე დროს არაჩვეულებრივ გაგვიზარდა. მუშებისა და გლეხებისაგან იმგვარი შენიშვნები მოგვისმენია, რომელსაც გამოცდილი მწერალიც ანგარიშს უწევს და იზიარებს.

განსაკუთრებული მადლიერი ოქტომბრისა პირადად მე უნდა ვიყო. მწერლობა 1903 წ. დავიწყე, 1908 წ. შევწყვიტე და მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დავუბრუნდი მას და იგი ერთადერთ ხელობად გავიხადე. უკანასკნელ 12 წელიწადში ოცჯერ მეტი დავწერე, ვიდრე პირველ 5 წელიწადში. ჩემი თხზულებანი 7 ენაზე გადაითარგმნა და 300 ათას ცალზე მეტი გავრცელდა (ქართულად თითქმის 100 ათასი). ახლა 1905 წ. რევოლუციის თემაზე ახალ რომანს ვწერ („ქალის ტვირთი“), რომელიც „მნათობში“ იბეჭდება.

15 წელიწადში ჩვენმა პატარა სამშობლომ იმდენად წაიწია წინ, რომ ნაყოფის გასაზომად საჭიროა ხუთმეტი ათჯერ გავამრავლოთ. სხვა დროს ამ მანძილს 150 წელიწადშიაც ვერ გავივლიდით.

ამ ხანში ქართულმა მწერლობამაც განუზომელი გზა განვლო, რომელსაც სავსებით და ახლანდელზე უფრო უკეთ მომავალი შეაფასებს. წინ კიდევ გძელი და უძნელესი მანძილი გვიდევს, ამიტომ ჩვენ არავითარი უფლება არა გვაქვს ნაბიჯი შევანელოთ და თვითკმაყოფილებას მივცეთ თავი. ცხოვრება არ გვიცდის. მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი, გენიალური სტალინი, და ჩვენი უშუალო ხელმძღვანელი ლავრენტი ბერია და მთელი პარტია მედგრად მიიწევენ წინ და მტკიცედ მოითხოვენ ყველასგან და მწერლისაგანაც, რომ ნაბიჯს ვუმატოთ და ჩვენს ბრწყინვალე მომავალს სიხარულით და პირნათლად დავუხვდეთ.

მსოფლიო ფაშიზმი დღითიდღე კადნიერდება და მისი შემუსვრისათვის გარდა ფიზიკური იარაღისა საჭიროა მორალური იარაღიც.

მხატვრული ლიტერატურაც ერთ-ერთი მორალური იარაღთაგანია.

# წელი მეხუთმეტე

კონსტანტინე გამსახურდია

## 1.

ოქტომბრის რევოლუციამ უდიდესი ცვლილება შეიტანა მსოფლიოს რუკაში. ამ რევოლუციაში საქართველოს საუკეთესო შვილებმა ბრძოლით, ბორკილით და სისხლით დაიდვეს წილი და წილწართმეულმა საქართველომ ისევ გაახსენა ისტორიას თავისი ოდესღაც ჩამქრალი სახელი.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა თავის არსებობის მეხუთმეტე წელს დღესასწაულობს.

ქართული მწერლობის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი თითქმის უკლებლივ რევოლუციის მხარეზე დადგა და ქართველი ხალხის შრომა და ბრძოლა გაიზიარა.

დღეს საქართველოს და ქართულ კულტურას დიდზე დიდი დიაპაზონი მოეპოვება უცილოდ.

ამ ხუთმეტი წლის მანძილზე უდიდესი მნიშვნელობის ღონისძიებანი იტვირთა ჩვენმა ხელისუფლებამ. მრავალი მათგანი დიდის წარმატებით დაგვირგვინდა და მრავალსაც ამჟამად ეყრება საფუძველი.

მარტოოდენ კოლხეთის ჭაობების ამოშრობის სიძნელენი რომ გავითვალისწინოთ, ესეც ეყოფოდა საზრუნავად მთელს საუკუნეს: ქართველი მშრომელი ხალხის აგრარულ ფონდს მრავალი ათეული ათასი ჰექტარი მოემატა. ხვალ თუ ზეგ არხებით გაანაყოფიერებენ შირაქს, სამგორს და სამცხე-საათაბაგოს უნაყოფო ტრამალებსა და ეწერებს.

ჩვენი მდინარეების ელექტროფიკაცია, ჩვენი მთების წიაღში შემონახული განძებისათვის პირის ჩენა, ჩვენში მძიმე ინდუსტრიის შექმნა, ჩვენი შინამრეწველობის გაძლიერება,—ეს ყოველივე ისეთი კოლოსალური საქმეებია, რომლისათვის ოცნებაც არ ეყოფოდა გასული საუკუნის ინტელიგენციას.

საქართველო უპირატესად სოფლური მეურნეობის ქვეყანა იყო. თანაც ისიც უნდა ითქვას, ეს მეურნეობა მოღწეული იყო მეოცე საუკუნის ზღურბლამდის, როგორც გროტესკი. რომაელების დროიდან ამ მეურნეობის სისტემა არ შეცვლილა.

და თუ ილია ჭავჭავაძე, ერთი სამეურნეო სკოლის დაარსებით გულმოცემული, წინამძღვარიანთ კარში წარმოთქმულ სიტყვაში მოუწოდებდა გლეხობას ჩვენი სამეურნეო ტექნიკის მექანიზირებისაკენ, დღეს მთელი ჩვენი მეურნეობა სავსებით ახალ საფუძველზეა გადასული.

საბჭოთა საქართველოს პერიოდში ხდება ტფილისი დიდ ქალაქად. ჩვენი პატარა დაბები ქალაქებად იქცევიან დღითი დღე. ტფილისის დიდ ქალაქად ქცევას და დაბების გაქალაქებას ჩვენი კულტურის არტერიების გაზრდა და გაძლიერება თან მოჰყვა. კოლმეურნეობის სისტემაზე გადასვლამ ქართველი ერთპიროვნული გლეხის უნიათო მეურნეობას ბოლო მოუღო. ეს დიადი ცვლილებები უეჭველად თავს იჩენენ ქართული კულტურის სვლაში. საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური განმტკიცება უეჭველად აღმოფხვრის ენობრივ, ტომობრივ და ეთნიურ პარტიკულარიზმს, რომელმაც დაქსაქსა ქართული ენის შემოქმედებითი ენერგია.

ჩვენ თვალწინ იზრდება ქართული თეატრი და ქართული პოლიტიკური პრესსა. დღეს საქართველოს უმცირეს დაბაშიაც გამოდის წიგნი და გაზეთი.

თუ ჯერ კიდევ ახლო წარსულში მოხალისე ლექტორების მიერ წამოწყებული სახალხო უნივერსიტეტები, მოგზაური პოეტები და მსახიობები ეწეოდნენ ქართული კულტურის ტრანსლაციას, დღეს სახელმწიფო თეატრებსა

## 2.

და უნივერსიტეტს გარდა მრავალი ინსტიტუტი, უმაღლესი სკოლა და მუშფაკი ამზადებს ახალსა და ახალ კადრებს მშრომელი ინტელიგენციისას.

თუ ძველად ძალით გაყვანილ რეკრუტს დამტვრეული რუსულისა და დედის გინების „კულტურა" შემოჰქონდა სოფელში, დღეს მთელი წითელი არმია სკოლაა თავათ, საიდანაც სულიერად და ფიზიკურად გაჯანსაღებული, გათვითცნობიერებული ახალგაზრდობა ისევე უბრუნდება სოფელს.

ამ დიად საქმეების ეტლს თვალს რომ გადავავლებ, სიხარული იღვიძებს ჩემს გულშიც. ეს ხუთმეტი წელი, ჩემთვის, როგორც მწერლისთვის უაღრესად დამძაფრებულ ემოციებთან და განუწყვეტელ შრომასთან იყო დაკავშირებული.

1914-19 წლებში მე ისეთი უკიდურესი ესტეტიურ-ჰეტონისტური იდეებით ვიყავი გატაცებული, საბჭოთა საქართველოს ფარგლების გარეშე რომ დავრჩენილიყავ, ჩემთვის უთუოდ მიუწვდენელი იქნებოდა დიად შემოქმედებასთან წილნაყარობა, სადაც უმძაფრესი განცდებისა და უდიდესი შრომის კიდეგან სულ ყოველივე ამაოა და მცდარი ოცნება.

ამ სინამდვილემ შემასწავლა და გამაცნო შემოქმედის უდიდესი მასალა— ადამიანი და მისი სულიერი ცხოვრების უცნაური სამყარო. ან სად ექნება მწერალს უფრო ნაყოფიერი და მძაფრი ემოციების ასპარეზი, ვიდრე იმ ქვეყნებში, სადაც რევოლუციამ სასტიკად ააფორიაქა პოეტ-კაცის ფანტაზია და მრავალი ათასი წლის ტრადიციებით შეთოკილი სინამდვილე ბურბუშელასავით დასწვა და დაფერფლა. ოქტომბრის რევოლუციამ ახადა ადამიანს - ნივთების მონის საფარველი და ახალი და ახალი სინათლის კალეიდოსკოპში სავსებით ახალი სახეები გადაშალა ჩვენ თვალწინ. დაუცხრომელმა შრომამ და თვითქეჯნამ გაამძაფრა ჩემი შემოქმედებითი ენერგია და გამზარდა მე როგორც შემომქმედი.

ამ ამბებს პირველად შევეხე ჩემს უკანასკნელ რომან ეპოპეაში „მთვარის მოტაცება".

მე ავიღე ერთი წელი საბჭოთა საქართველოს ყოფაში. 1931—32 და შევეცადე მეჩვენებინა მკითხველისათვის ათასეული წლების ტრადიციების რღვევა რევოლუციის გრიგალგადავლილ ქვეყანაში. ეკლესიის, ოჯახის ზნეთა და ჩვეულებათა გადასვლა. მიმავალთა გულისტკივილი და მომავალთა სასო. დასავლეთიდან გადმოწვდენილი ზედგავლენანი, ჩვენი დღევანდელი სოფელი და ქალაქი. აქ არ დამიკლია ბნელ საუკუნეებში გადახედვა, საქართველოს ჭაღარა წარსულისაკენ წამიერი უკან მიხედვა, ჩვენი საოცარი ბუნების აპოფეოზი, ჩვენი ზღვანის, ჩვენი ჭაობების, ჩვენი მთების სიდიადე და შვენება, ჩვენი ფოლკლორის და ჩვენი ხალხის სილამაზე და სიკისკასე.

ამავე რომანში ვცადე ახალი ადამიანის მხატვრული განსახიერება.

მე თვალში მაკლდა ერთი გარემოება, ქართული პროზა უპირატესად სოფელს ეხებოდა. შესაძლოა, ეს იმიტომაც, რომ ჩვენ აქამდის ნაციონალური ქალაქი არა გვქონდა. ამიტომაც უკანასკნელ რომანში თითქმის ერთი მესამედი რომანის სივრცისა ქალაქს მოვანდომე. ახალი ტფილისი გამოვყავი ჩემი გმირების ასპარეზიდან.

ამ ჩემს უკანასკნელ შრომაში, უკვე ასაკსრულს მომიხდა ჩვენი საუკუნის „ახალგაზრდა" კაცის ტრაგედიის მხატვრულად ჩვენება. ეს თემა მარად ახალია და მარად ძველი. მე ვაჩვენე მკითხველს უცხო კულტურათა ბნელ ლაბირინტებიდან წამოსული ახალგაზრდა კაცი, კაპიტალისტურ ქვეყნებზე გულაყრილი საბჭოთა საქართველოში ბრუნდება (იგულისხმება ჩემი რომანის გმირი თარაშ ემხვარი). რაკი მისი სულიერი განვითარებისა და აღზრდის პირველადი ასპარეზი ჩვენი სინამდვილისათვის უცხო იყო, იგი იტანჯება. გონების თვალით ეს კაცი ხედავს: დღეს მსოფლიოში ორად ორი გზაა: გზა რევოლუციისა — ლენინ-სტალინისა და გზა მსოფლიო რეაქციისა, ფაშიზმისა, მაგრამ პრაქტიკულად ვერც ერთს დაადგება. საშინელი სულიერი წამების, გაორების და ქენჯნის გადამტანელი საქართველოს ყველაზე მიყრუებულ პროვინციას სვანეთს მიაშურებს, მაგრამ აქვე რწმუნდება, რომ „ლილუმეშ გრიალ გრიალს" ჰიუხებშიაც მიუღწევია, იგი ვერსად თავის ადგილს ვერ პოულობს და იღუპება.

თუ ლიტერატურა გოეტესებური [illegible]დაგოგიური პროვინციაა, ამ შრომაში ყოველი გულდინჯი მკითხველი უთუოდ ამოიცნობს ერთგვარ გაფრთხილებას ახალი თაობის მიმართ.

მწერლობა ხომ არა მარტო იდეალური ადამიანების, არამედ დეფექტიური ხასიათების მაჩვენებელიც არის და ხელოვანი სხვას რაღას აკეთებს, თუ ამ თაობების ნაოცნებარში ერთთა შეცდომა სხვათა მიმართ გზის მიმცემ სამანად დასახოს.

## 3.

მე ამ შრომაში დასახული მქონდა ქართული თხრობა ჩვენი მატიანის, ჩვენი ხალხური შემოქმედების უჭკნობ ნიმუშების სურნელებით გამეცოცხლებინა. აქვე შევეცადე პრაქტიკულად შემერყია ქართული ენის გადაგვარების სხვადასხვა პერიოდში უმართებულოდ განმკვიდრებული სინტაქსიური და ეთიმოლოგიური იდიოტიზმები, ბარბარიზმები.

თუ დღეს მთელი ქართველი მშრომელი ხალხი ხუთმეტი წლის ნამუშევრის გამო პატაკს აძლევს ჩვენი ხელისუფლების უზენაესს ორგანოებს, მეც უნდა მომეტოვის, რომ აქ ჩემი მუშაობის [illegible] გარიშის გამო სიტყვა გამიგრძელდა. გარდა ხსენებული რომანისა, უკანასკნელ წლებში გამოვაქვეყნე „გოეტე[illegible]რების" რომანი.

ესეც მცირე, მაგრამ საჭირო [illegible] იყო ქართული კულტურის ინ[illegible]ნალიზაციისათვის.

ჩემს დანარჩენ შრომებში [illegible] უმთავრესი აზრი მამოძრ[illegible] ბუკიდანვე დავკვირებივარ [illegible] აღმოსავლეთის პოეზია [illegible] და სიდიდის მიუხედავად უფ[illegible] დაქსაქსულობითაა სნეული. რამდენადაც ქართული მწერლობა ისტორიულად აღმოსავლეთის ლიტერატურათა ეტლს მიყვებოდა, ახალ საუკუნოში საჭირო იყო ქართული მეტყველებისათვის და[illegible]სავლეთური ფორმასრულობის, სიმკვეთრის ცეცხლი და ფოლადი მიგვენიჭებინა. ეს კი კლასსიური ფორმების შექმნასა და გადმონერგვას მოითხოვდა ჩვენი საუკუნის ოსტატებისაგან.

თუ ჩემი ნოველებითა და რომანებით ამ საუკუნემდის ჩვენში არ არსებული, თანადროული რომანისა და ნოველის ჟანრების დაფუძნებაში წილი დავიდევი, დანტეს და გოეტეს ქმნილებათა გადმოქართულებით მე ვცდილობდი მიახლოვებული ადეკვატები შემექნა ქართულში. ამ საქმეებს არც ერთი და არც ათი ადამიანის უხანგრძლივესი სიცოცხლე ეყოფა, მაგრამ დრო კიდევ წინაა შრომის, ბრძოლისა და სიხარულის მომნიჭებელი.

# დეპეშები

მხურვალედ მოვესალმები გმირ ქართველ ხალხს მისი სოციალური და ეროვნული განთავისუფლების თუთხმეტი წლისთავზე.

სულით და გულით ვუსურვებ თქვენს მზიურ ქვეყანას—უკვდავი რუსთაველის სამშობლოს—საამურ შრომას, ბედნიერ შეძლებულ ცხოვრებას.

ბოლშევიკების პარტიის და მთელი მსოფლიოს ყველა მშრომელის ბრძენი ბელადის სტალინის ხელმძღვანელობით მტკიცდება და ჰყვავის საბჭოთა კავშირის თავისუფალ ხალხთა განუწყვეტელი მეგობრობა. განვამტკიცოთ ამხანაგებო, ჩვენი დიადი სამშობლოს თავდაცვა, სისხლით დავიცვათ იგი მტრის მოსალოდნელი თავდასხმისაგან.

ლენინ-სტალინის ცხოველმყოფილი დროშით ჩვენ ვიმარჯვებდით და კიდევ გავიმარჯვებთ.

ბელორუსიის სახალხო პოეტი იანკა კუპალა

ჩვენს ძმა პოეტებთან გალაქტიონ ტაბიძესთან, პაოლო იაშვილთან, ტიციან ტაბიძესთან, სანდრო ეულთან და ყველა თქვენთან ერთად მთელი გულით ულოცავთ ქართველ ხალხს საქართველოს განთავისუფლების თუთხმეტი წლის თავს.

შოთა რუსთაველის დიდებული სამშობლო თუთხმეტი წლის მანძილზე გადაიქცა ამიერ-კავკასიის მარგალიტად.

ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორი იყო და არის მშრომელთა სწორუპოვარი წინამძღოლი კომუნისტური პარტია, ჩვენი ძვირფასი ხელმძღვანელი ამხანაგი ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ბ ე რ ი ა.

დეე, ყველა პოეტის ქნარმა დღეს ხოტბა შეასხას თავისუფალს, მშვენიერს სოციალისტურ საქართველოს.

ალაზანი



პერეც მარკიში



ბუბული ბუხნიკაშვილი



ელიზბარ პოლუმორდვინოვი

# მწერლის გზა

პანტელეიმონ ჩხიკვაძე

ცხრაას სამი წლის მაისში გავახილე პირველად თვალები. რევოლუციურ ბრძოლათა ამთაგორების წლები იწყებოდა. გურიაში თამამად აღეროდენ მარსელიოზას. ბათუმიდან ჩამოსულებს პირველად გაფიცვების ამბავს ჰკითხავდენ: პირადული — აღარავის აინტერესებდა.

დედის ნანა და მშობლიური ალერსი ერთხელაც არ მსმენია ჩემს ცხოვრებაში. ჩონგურზე დამღერებული გურული ნანინა, „სპარსულ ნანასაც" გააწბილებს და ამიტომ უფრო მწყდება გული! სამაგიეროდ მარსელიოზას მქუხარე ხმა ჩვენ ჯვარტეფიან ფაცხამდეც აღწევდა. კიდევ მეტი: ენა რომ ამოვიდგი, ჩემი პირველი [illegible]ასიმღერო ენის გასატეხი იყო: — იქნება — რა იქნება? (ორჯერ) ძირს ხემწიფე, წაღლა მუშა უსათუოდ იქნება.

[illegible] ნასაკირალის ბრძოლები და არც ალიხანოვ-ავარსკისა და კრილოვის დამსჯელი რაზმების თარეში გურიაში არ მახსოვს, მხოლოდ თუ რა მწვავე დაღი დაამჩნია გურულებს კრილოვის ჯალათურმა თავაშვებამ, იქიდანაც ჩანს, რომ მისი სახელის ხსენებით ატირებულ ბავშვებს აჩუმებდენ მშობლები. „კაზაკობიას" (ცეცხლწაკიდებას) მახსოვს ხუთი წლის შემდეგაც ვთამაშობდით. თამაშობა ძალიან მიტაცებდა... ფირალის როლს თამაშობაში ყოველთვის მე ვასრულებდი... გულწრფელად მჯეროდა, რომ დაჩაგრულთა მოსარჩლე ვიყავი. ყაზახების ნამდვილი მოსისხარი. ხშირად მთელ დღე დავალამებდი ტოლამხანა[illegible]თან. შინ მაინცდამაინც არ მიმიხ[illegible] ვერავის ალერსსა და მოფერებას მოველოდი, არც მშობლიურ გულშემატკივრობას და ამიტომ არ მიმეჩქარებოდა შინისაკენ.

ოჯახში, ბაბუაჩემის გარდა, ყველა პანტელეიმონს მეძახდა. „მამილო", „დედიკო", „შვილო" და სხვა მოსაალერსებელი სიტყვები ჩემთვის არავის ემეტებოდა... და როცა ძიძა ან მეზობლის ქალი მომმართავდა ამ სიტყვებით, მე ძალაუნებურად დაჩაგრულის როლში ვგრძნობდი თავს და ბრაზით ვინთებოდი.

ბაბუა სხვებს არ ჰგავდა. ის იყო ჩემი უახლოესი მეგობარი, მშობელი და გულშემატკივარი. საჩუქრებითაც ხშირად მაჯილდოებდა. მე უზომოდ მიყვარდა ბაბუა. მუდამ იმის შიში ვიყავი: რა მეშველება, ბაბუა რომ მომიკვდეს მეთქი!

მე დღესაც უზომო ბედნიერებად მიმაჩნია, რომ ოთხმოცდაათი წლის ბაბუა ცოცხალი მყავს. დღესაც რომ ყოჩაღად არის და ყოველ უცხო კაცს რიხით უამბობს: „ოთხი ხემწიფე გამოვიცვალე, უამრავი ნამესტნიკი და გუბერნატორი... ბატონყმობამ ჩემს ზურგზე გადეიარა. ორმოცი წლის ვაჟკაცი თავდაუხსნელი ვიყავი... ვებრძოლე ამ ცხოვრებას და სიბერეში იმასაც კი მოვესწარი, რომ ჩემი შვილიშვილი ტფილის-ქალაქს მწერალი კაცია და მის წიგნებს სკოლებში ბალღებს ასწავლიან"-ო.

დღესაც რომ თავი მოხწონს უშინდელ ლატაკსა და გუშინწინდელ ყმას, რომ მისი შვილიშვილი ქართველი მწერალია.

ბაბუაჩემი თავიდანვე ტკბილმოუბარი გლეხი იყო. სულდათქმული მუ[illegible]აიფი იცოდა. ამბების სხარტი მო[illegible]ლა... ზღაპრებისაც. ბავშობა და ყმაწვილე მის გვერდით გავატარე. [illegible]მირად მესმოდა მისგან „ახალთაობა", „ტერრორისტი", „მეფის ჩამოგდება" და სხვა ჩემთვის მაშინ კიდევ უცხო სახელები. ხშირად მოჰყვებოდა დევგელებისა და ფირალების თავგადასავალს. ახსენებდა: შევარდნაძეს, [illegible]ლიშვილს, სისონა დარჩიას და სხვებს.

ბაბუას გარდა, მთელი სოფელი [illegible]ეორებდა ამ სახელებს. რევოლუციონერთა თავგადასავალს გიტარაზე [illegible]ეროდნენ... ხოტბას ასხამდენ გაბედნილებსა და გაციმბირებულებს.

[illegible]თი-თორმეტი წლისას, რამდენჯერმე [illegible]ნდა გაგონილი დამსწრეთაგან კობა [illegible]ლაშვილის ჩოხატაურსა და ხიდისთავში გამართულ დებატებზე გამოსვ[illegible]. გრ. ლორთქიფანიძისა და ნოე [illegible]იშვილის წინააღმდეგ, კობას „ღვთის [illegible]ხვას" ეძახოდნენ მოწინააღმდეგენი... [illegible]ი იყო შემთხვევა კობას ჩამოსვლის გამო, მენშევიკები მიტინგს ან [illegible]ებებს გადადებდნენ და ორატორს [illegible]იალურად „გამოიწერდნენ" ცენ[illegible].

[illegible] ერთხელ მსმენია გურიაში მომუ[illegible] ბოლშევიკების ამხ. ამხ. ბუდუ [illegible]ანის, გერმანე მგალობლიშვილის, [illegible]რამიძის და სხვათა სახელები. [illegible]აში უპარტიო გლეხს იშვიათად [illegible]ღით და ყველა თავისებურად [illegible]ა ან აძაგებდა ამა თუ იმ რევოლუციონურ მოღვაწეს.

ჩამოყალიბდა ჩემი რომანი „[illegible]ჯები" ჯერ კიდევ ბავშობის პე[illegible]ში... მისი გმირების უმრავლე[illegible] ნამდვილი ცოცხალი ადამიანე[illegible] რომელნიც ზოგნი მე თვითონ [illegible]ს, მისაუბრია მათთან, ზოგთა [illegible] მესამე პირის საშუალებით მო[illegible]... ვის ეგონა თუ ყანის მუ[illegible], ან ზამთრის ღამეში დროს მო[illegible] ნაამბობი ამბები ამათუ იმ [illegible] გაცოცხლდებოდა და მახების [illegible]ებად იქცეოდა... ვის ეგონა [illegible]ის თავს (ბუკისციხის თემში [illegible]ა) გაზრდილი ბიჭი, ქართველი [illegible] გახდებოდა როდისმე. მე [illegible] არ მჯერა... და რომ საბჭოთა [illegible]ფლება არ დამყარებულიყო [illegible]ელოში, ჩემი მეზობლები მარ[illegible]მოხნდებოდნენ თავიანთ დაე-



ამხ. სტალინი ახალგაზრდობაში ქანდაკება ს. კაკაბაძის

* * *

1915 წ. დავთამთავრე ორკლასიანი. ამიკრეს გუდანაბადი და ქალაქს გამომისტუმრეს „ფულის საშოვნელად". რესტორანში მომაწყვეს ჭურჭლის მრეცხავად. ჯოჯოხეთური პირობები. უძილობისაგან კინაღამ ჭკუაზე შევცდი. ზნეობრივადაც ვიტანჯებოდი. ოფიცრების თარეშსა და მათ გარყვნილ ცხოვრებას საზღვარი არ ჰქონდა... რამდენჯერმე გავხდი მოწამე, თუ როგორ „ულმერთოდ" სცემა „სალდათს" ახალგამომცხვარმა პრაპორჩიკმა სამხედრო სალამის შეგვიანებისათვის...

მეზიზღებოდა თავგასული ოფიცრები. თითქო შურისძიებისათვის ვემზადებოდი...

რესტორანში, ბებერი მზარეული გაზეთებს ეტანებოდა. მეც მაძალებდა — იკითხეო. „ხაზეინებს" ბრაზი მოსდიოდათ, მაგრამ მზარეულს ვერაფერს უბედავდენ. მზარეულთან (გულუა იყო მისი გვარი) ორი უცნობი მოდიოდა. მასლაათობდენ. რევოლუციას ხშირად ახსენებდენ, ნიკოლაი ნიკოლაევიჩს, რასპუტინს, დედოფალს...

მართლაც, სექტემბერში ნიკოლოზ ნიკოლოზისძე „ნამესტნიკად" ესტუმრა კავკასიას. ომი მარცხით დამთავრდა. რასპუტინი რევოლუციამდე მოჰკლეს. მზარეული არ ცდებოდა...

სამი წლის შემდეგ კვლავ შევხვდი ამ მზარეულს, ახლა სასტუმრო „ინტერნაციონალში"—ერევნის მოედანზე... მაშინ მეც უკვე საკმაოდ ვერკვეოდი ზოგიერთ საკითხებში. გულუა უკმაყოფილო იყო მენშევიკების პოლიტიკით. ალექსანდრეს ბაღში მიტინგის დახვრეტას ვერ ინელებდა.

უცხოელების ჯარების ტფილისში დგომას ვერ შერიგებოდა... კიდევ უფრო აუტანელი ხდებოდა 1/4 გირ. მჭადით არსებობა. მე ჩქარა გავიქეცი ტფილისიდან. გურიაში, აჯანყებულ ბოლშევიკებს სწორედ ისევე გაუსწორდნენ, როგორც ალექსანდრეს ბაღში გამართულ ბოლშევიკურ მიტინგს.

რაჭა-ლეჩხუმში გურიიდან გაუგზავნეს გვარდიის რაზმი აჯანყებულთა შესაშუსრავად,ბანძაში ორი ჩემი ნაცნობი ბოლშევიკი მოჰკლეს აჯანყების დროს... ჩემი პოლიტიკური სიმპატიები ბოლშევიკებისაკენ იხრებოდა.

ჩოხატაურის გიმნაზიაში ყოფნისას ცნობილმა მწერალმა ია ეკალაძემ (ქართულის მასწავლებელი იყო) მეექვსე კლასის მოწაფეებს ასეთი თემა მოგვცა დასაწერად: „ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეკუდნეს"-ო. დავწერეთ. ველოდებით ნიშნებს... სამი დღის შემდეგ დაგვირიგეს რვეულები, ჩავხედე: „შრომისთვის ხუთი. მსოფლმხედვ. „ედინიცა". მე დიდ პატივს ვცემდი ეკალაძეს, როგორც მწერალს, მაგრამ გათავდა! დაწუნებულმა მსოფლმხედველობამ კიდევ უფრო მძლავრად გაიდგა ფესვები ჩემს გონებაში... ამ დროს ჩოხატაურის გიმნაზიაში დიდი გავლენა ჰქონდა მებრძოლ კომკავშირლებს. ამხ. ამხ. ამბროსი ქორამიშვილს, გრ. ულენტს, კ. ჭკუასელს და სხ. ჩვენ მეგობრები ვიყავით სკოლაში... ამბროსის და ამხ. ულენტის ზემოქმედებით გადავწყვიტე კომკავშირის რიგებში შესვლა... გამოვიწერე გაზ. „კომუნისტი" და აკადემიური საგნების ნაცვლად, პოლიტიკური ლიტერატურის კითხვას დავეწაფე... ახალგაზრდა მარქსისტები ყურებს გვიჭედავდენ საქართველოს de Juré-დ ცნობის გამო, ჩვენ სულ სხვა რამეს ველოდებოდით.

* * *

გასაბჭოების დღიდანვე უამრავ სამუშაოებს მოვეკიდე: ვსწავლობდი, კომკავშირის რაიონის ინსტრუქტორი ვიყავი, რევკომის მდივანი და თემის კომუჯრედის მდივანიც. კრებები, ყრილობები, კონფერენციები. არასოდეს არ დამავიწყდება ის ენტუზიაზმი და ახალგაზრდული აღტაცება, რაც მაშინ კომკავშირლებს გვახასიათებდა. სად იყო სატრანსპორტო საშუალებანი. ჩვენ ფეხით მივტოპავდით ტალახსა და ტლაპოს 30 კილომეტრის მანძილზე. ოზურგეთში დაღლილ-დაქანცულებს გაზეთგადაფარებულ მაგიდებზე გვეძინა... დელეგატები ვიყავით. სამაზრო კომიტეტში წევრებადაც აგვირჩიეს... ღამის გასათევი კი... ასეთი „წვრილმანებისთვის" მაშინ ვის სცალოდა... საყვედური არავისგან არ გამიგონია...

1922 წლიდან ტფილისში გადმოვედი... სად არ მიმუშავნია: მტვირთავად, დარაჯად, ადგილკომის მდივნად, თავმჯდომარედ. დატვირთვა-გადმოტვირთვის უბნის რწმუნებულად, სახელმწიფო-საფინანსო კონტროლიორად. ეს რკინის გზაზე. ქალაქის აღმასკომში რევიზორის თანამდებობას ვასრულებდი. ეს კია, რომ მაგიდასთან მჯდომს ვერასოდეს ვერ მიპოვნიდით. ვერც ჩამორჩენილთა რიცხვში მნახავდით.

1924 წელს, აგვისტოს ავანტიურის დროს გურიაში მოვხვდი. დამაპატიმრეს... სხვებთან ერთად მეც ეკლესიაში შემაგდეს. ფილტვების ანთება დამემართა. სოფლის ფერშალმა დაადასტურა რომ ტემპერატურა 40°-მდე აღწევდა, მაგრამ ვერავითარმა თავდებობამ ვერ გასჭრა ნება მოეცათ ბინაზე გადასვლის. სამი დღის შემდეგ დამრთეს ნება და თურმე იმ ღამეს თვითონ აპირებდენ გაპარვას მენშევიკები.

მას შემდეგ ჰლექიანი გავხდი. სადღაც გაქრა ის მოჭარბებული ენერგია ფეხით 70 კილომეტრს რომ გავივლიდი დღეში... მაგრამ ნებისყოფა ურყევი დამრჩა მძიმე ავათმყოფობის პირობებშიაც.

1929 წელს დავბეჭდე პირველი მოთხრობა. 1930 წელს გამოვეცი პირველი წიგნი და დღეს საბჭოთა ხელისუფლების თუთხმეტი წლის თავზე ავტორი ვარ სამი რომანის, ოცდა ათამდე მოთხრობის და ათიოდე ნარკვევის...

მე უდიდეს სიამაყედ მიმაჩნია, რომ ულარიბეს გლეხის შვილმა საკუთარ ძალღონით გავიკაფე გზა. ფიზიკური შრომა სწავლა-განათლების მისაღებ შრომას დავუკავშირე... მივიღე უმაღლესი განათლება და ქართველ მწერალთა რიგებში ერთერთი ადგილი დავიჭირე.

ეს შეიძლება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მომხდარიყო. ეს შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით აყვავებულ საბჭოთა ქვეყანაში, რომელსაც წინ უძღვის ჩვენი დიადი ეპოქის უბრძნესი ადამიანი—დიდი სტალინი...

მე უდიდეს სიამაყედ მიმაჩნია დავწერო წიგნი მსოფლიოს მშრომელების უსაყვარლეს ადამიანზე და საბჭოების მეოცე წლისთავის ზეიმს ჩემის მხრით საჩუქრად მივუძღვნა:

„ერთი სიმღერა ბელადის ცხოვრებიდან".

# ორდენოსანი ქართველები

გიორგი კალანდაძე

აი ნამდვილი ბედი ქართველის,
დღეს აქ ნამდვილი ქართველებია.
ქვეყანას,ძველად ფეხქვეშ გათელილს,
რა კარგი დილა გათენებია!

წინათ თუ მშრომელს ცრემლი სდიოდა,
ახლა გაისმის სიმღერა ხალხთა,
ის, ვინც ქოხიდან ვერ გადიოდა
დღეს სტრატოსფეროს მეუფე გახდა.

ციფრების ენით ლექსში რა ითქმის?
ქვეყნის მიღწევებს აქ ვინ დაითვლის!

წინ სასახელო წინსვლის ლელოსა
არწივს მივყვებით ჩვენ მძლავრ
ფრთებიანს,
ორდენოსანი ქართველებია,
ორდენოსანი საქართველოა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფშაური ბალადა

ალ. გომიაშვილი.

1

— პირდაპირ რომელ ჩამოხვალ,
ჭრელს რომელ მაჭქსოვ წინდას?
ჩამოხვალ მთაზე და ოხრავ
როგორც არაგვი წმინდა.
აქ რო ვიფიქრო, ჩვენ შუა
რამდენი მთა და გორა —
ადგება რისხვად და შურად
შავი გრიგალის ქროლვა,
მაშინ სადა ხარ?.. ელვა ხარ,
თუ ია-ვარდის კონა?
გულით ვინატრი შენს ნახვას,
ტყეში ფოთლებზე ვგორავ!
შენი ღალატი მწყემსებმა
მითხრეს, მიამბეს, ძილავ.
მე, გული ბოღმით მევსება,
შენ კი შატილში გძინავს.

2

ასე აენთო ოცნება,
ჩემი ოცნება ოხერი —
ამ ხმასვე იმეორებდა
ტიალი მთის ორწოხები.
მთის ადათისთვის ბერდია
თუ მივლმართავდი დანასა,
რისთვის გამზარდა დედილამ,
რისთვის მეტყოდა ნანასა?
რისთვის ჩამაცვეს პერანგი,
ჯაჭვის პერანგი ფშაურად,
რისთვის დავლახენ ვერაგი
შატილი და არშაულა?
არა თუ მხოლოდ გმირულად
ხევში ტალღები მიდიან —
კლდე შეხვდა გველისპირულად
გველისმჭამელი მინდია.
იგი ქაჯეთის გმირია,
თუ მთების ომში ძლეული,
უყვარს ქუჩი და გვირილა
და მათი ენა გრძნეული...
გრძნეულის ხმა გაბზარულა
და ხევში მღერის მგზავრივით:
„ხევსურეთის მთას გზა უნდა,
ხევსურს ნავთი და მარილი“.

3

ვაჟამ თქვა მაღალ მთებიდან:
„ველარას მიშველს თმიანი,
ტყუილად აშფოთდებიან
ჩემნი წაწალნი იანი“
და მეც, ლამაზი რად მინდა,
რად მინდა ცრემლის დუღილი.
ია რად მინდა და მთიდან
ვაჟა-ფშაველას ქუხილი.
ცხრა შევარდენის ხევიდან
შევარდენივით ამდგარი —
აჭრილი ჭიუხებია
ქაჯეთის ციხის მაგვარი!

4

მაგრამ, სადაც „მუზარადი
დაიხურეს ჟამიერად“,
სადაც კლდეა და მარადის
ამირანის ხმალი ელავს,
ვით ქაჯეთის ციხის კარებს
ბილიკები მისდევს ცისკენ,
ისე ზათქი აკანკალებს
კავკასიის მთის ბილიკებს.
და ქაჯეთის ციხედ ქცეულს,
ჩამოქცეულს მთების კიდეს, —
მთების კიდეს ჩამოქცეულს
არწივები დაეკიდენ.
ახლა მთებმა დაიხურეს
მუზარადი, და ჟამიერ
ისევ ცეცხლი გაახურებს
ცხრა შევარდენ კომკავშირელს.

5

გზას სერიან ახლაც ტიალი
დაბლა იშლება ქვიშანი,
იშლება ღალატიანი
ქაჯეთის ციხის ნიშანი.
ციხის ნიშანი არა სჩანს,
არა სჩანს ციხის ფერდია;
მთებში მგრეველად ჩამჯდარა
კომკავშირელის ბერდია.
ცხრა შევარდენი შეება
შარას, ქვიშანი დახურეს.
და გააქვს ცაში მშვენება,
ციხის მშვენება ლალუმებს.

6

დაეცა ციხე... ზვიადი
გამოჩნდა ფშავლის მხარენი —
ათი ათასი ზრიალით,
ათი ათასი ღვარებით.
გამოჩნდა ნაპრალებიდან
დაჭრილი მთების ზურგები,
გამოჩნდა ირმის რქებივით
კლდეები ნაჩუქურთმევი!..
რა უჩვეულო ჩქამია,
რა ცხენთა რემა ულევი!
მთებიდან მოიჩქარიან
ფშავლები და ხევსურები.
რომ ნახონ (რკინის ორბივით
გზაშივე ოხერ-ტიალად!)
პირველი ავტომობილის
მთაში გრიალის მიტანა.
და მეც, თუ ვხედავ: მთა-გორებს
გაშლილებს იალაღებად —
გზების გაღება მაგონებს,
ქაჯეთის ციხის აღებას!..

7

— ხევსურს მარილი მიართვით,
საუკეთესო ნაჭერი!
დაუსხით შირაქიანი,
ხევსურს შირაქის მაჭარი!
„დაუსხით ნავთი!“ ხრიალებს,
ხევი ხრიალებს ახოში.
— დაუსხით ადამიანებს
„შირაქი“ ბარისახოში.
დაუსხით ნავთი! მდინარე
მთების სიღრმეში მიღელავს.
და კლდეებს აზრიალებს
ცხრა შევარდენის სიმღერა:

8

— პირდაპირ რომელ ჩამოხვალ,
ჭრელს რომელ მაჭქსოვ წინდას?
წაგიდა ცრემლი და ოხვრა,
ნისლივით გადიწმინდა,
ხევსურს ფრანგული რად უნდა,
რად უნდა ცრემლი კიდევ? —
ხევსურები და ალუდა
რად უნდა წაიკიდნენ,
როდესაც უნაგრიანი
ბილიკებს აკანკალებს
და გააქვს მთაში გრიალი
„ქაჯეთის ციხის კარებს“.
გააქვს გრიალი დარიალს
დალეწილს მყინვარებად. —
მყინვარებიდან ამირან
შეხვდა ბელადის ნებას.
დაეცა ციხე... კიდევაც
მთაში მზე შემოსულა —
და დროშად დაეკიდება
დიდი სტალინის სურათს...



კოლაუ ნადირაძე



ალექსანდრე გომიაშვილი



ეკატერინე გაბაშვილი



ნიკო ლორთქიფანიძე

# წერილი უცხოეთში

ეკ. გაბაშვილი

ძვირფასო მეგობარო თამარ!

მწერ, შენმა წერილმა ჩვენი ქვეყნის და მეტადრე ჩვენი ტურფა, საყვარელი დედა-ქალაქის გამშვენიერებაზე, იმის კულტურულ აღმატებაზე, ისე აღმაფრთოვანა და ჩემი სიხარული ისეთი დიდი და მხურვალე გახადა, რომ მაშინვე გავიქეც სხვა ჩემ მეგობრებთან და მათაც გაუზიარეთ.

მე ძლიერ მიკვირს, რომ ჩვენი აწმყო ბედნიერება ასე უცნობია თქვენთვის! განა მანდ, უცხოეთში, არ კითხულობ გაზეთებს ქართულს, რუსულს, რომელიც დაწვრილებით მოგვითხრობენ იმ აღმშენებლობას, რომელიც თავისის სიდიადით უფრო ზღაპარს ჰგავს, ვიდრე სინამდვილეს, მაგრამ ნამდვილი კია და ის უკვე დაეუფლა ჩვენ ცხოვრებას, უკვე ისე შევიფერეთ, თითქო წინდაწინვე ვიცოდით, რომ ასე უნდა ყოფილიყო.

ამ ორმოცი, ორმოცდაათი წლის წინათ ოცნებაშიაც თუ გაიელვებდა ხოლმე რაიმე მსგავსი. ისიც მკრთალად და ბუნდოვანად. რომ მაგონდება ჩემი საბრალო მოთხრობათა შინაარსი, ჩემი გმირები, რომელნიც სადმე კუნჭულში მასწავლებლობდნენ და თან ჩურჩულით, დადაბლებულის ხმით ეუბნებოდნენ ხალხს ლიტონი სიტყვით: „ისწავლეთ, სწავლაა მხოლოდ სინათლე, სწავლა, საჭირო, რომ გახდე ადამიანი“.

მეტადრე ჩემი გმირი ქალები: თამარ, ნინო, დარია და სხვანი, მაშინდელნი ჩემი იდეალებით აღჭურვილი დედაკაცები, რა სასაცილონი არიან დღეს, როდესაც ხედავთ ქართველთა ქალობას, სრულიად დავაჟკაცებულს, ორივე ხელით რომ ანიავებს საერთო ნალეწს და დარკვეულ პურად ახვავებს. ექიმები, მეურნენი, ვექილნი, მწერალნი, მხატვარნი და რაც უფრო გასაკვირველია, ხუროთმოძღვარნი დედანნი ჩვენნი აშენებენ საერთო ასაშენებელს, სასახლეებს [...]ერებისას, ხელოვნებისას, შვების[...]ა ლხენისას, სადაც მუშაკნი დაღლილნი ისვენებენ და შემდეგ გალოღებულნი საქმეს ცეცხლივით მოეკიდებიან და ერთი ათად გააძლიერებენ.

მაგრამ ყველაზე გასაკვირველი საერთო, მასიური გამოფხიზლებაა. სკოლები, რომელნიც ყოველ ნაბიჯზე იხსნებიან, არამთუ ქალაქებში, დაშორებულ მთის კუთხეებშიაც კი, სავსენი არიან. პირამდე სავსენი არიან და ჩვენ გლეხის ქალები დღეს გაფაციცებით ბალღებს სწავლისკენ მიერეკებიან. ამათ უკვე კარგათ იციან, რომ მათი შვილები სწავლის ყოველ საფეხურზე მაღლა და მაღლა მიიწევენ, მიიწევენ თუ არა, უკვე დარაზმულნი უმაღლესის სპეციალობით საქმეს ეწევიან.

ქართული უნივერსიტეტი, ერთი მოწინავე უნივერსიტეტთაგანია და მისი სამეცნიერო ინსტიტუტები ათობით ითვლებიან. ხუთი ათასი სტუდენტი ქალი და ვაჟი მეცადინეობს წარჩინებით და შემდეგ აყვავებს, ამკობს, ამდიდრებს დასახელებს თავის სამშობლოს.

მერე იცი რა გზით და როგორ იძენს ეს ახალგაზრდობა ცოდნას. რა მზრუნველობას, რა ხელმძღვანელობას ღებულობს იგი ხელისუფლებისაგან? მოავლე სახელმწიფოდან სტიპენდიას იღებს. უნივერსიტეტის ქალაქი, რომელიც დაუჯერებელი სიჩქარით აშენდა, სტუდენტთა ბინებით არის დაკავებული და უდიდესი შენობანი უნივერსიტეტ ქალაქისა სტუდენტთა საჭიროებას ემსახურება. მათი კლუბები, ბიბლიოთეკები, სასადილოები, სამკურნალოები და ათასი სხვა კულტურული დაწესებულებანი განათებულია ელექტრონის ბრწყინვალე შუქით...

უნივერსიტეტს აქვს საკუთარი მდიდარი სტამბა, რომელიც შეუყენებლივ ბეჭდავს ძველის ძველ კლასიკოსებს, ქართული ისტორიის და ლიტერატურის აღმოჩენილ დოკუმენტებს, ახალ ახალ სამეცნიერო გამოკვლევებს. სახელმწიფო გამომცემლობა „სახელგამი“ უფრო ფართოდ ავრცელებს ბეჭდვითი სიტყვას, ქართული ლიტერატურის შედევრებს, რომელნიც ითარგმნებიან ყველა იმ ხალხის ენებზე, რომელნიც კი შედიან ჩვენს დიდ კავშირში. ჩვენი კლასიკოსები — ილია, აკაკი, ვაჟა, ლომოური და სხვ. მრავალნი, მათ შორის მეც კი, მეც კი არა ვარ დავიწყებული.

ქართული თეატრი დედა-ქალაქისა ბრწყინავს, ბარტყებს ისხავს ქართლში, კახეთში, სამეგრელოში, აჭარაში... კინოთეატრი... მაგრამ რაღა გავაგრძელო! ვით შესძლებს ჩემი სუსტი კალამი ყველაფრის ჩამოთვლას, რაც 15 წლის, მხოლოდ 15 წლის განმავლობაში შევიძინეთ... უეჭველია, ყველაფერი მოაღწევს თქვენამდე უფრო ვრცლად, უფრო მცოდნეთა ხელოვნებით განათებული...

მართლა! კი არ გეგონოს, რომ ყველა ჩამოთვლილი ბედნიერება მარტო ქართველთ ხვედრია.

არა, არა! არც შენ იფიქრებ და ნურც მე მაკადრებ მაგვარ ბოდვას...

ყველა ნათქვამი და უთქმელი წარმატება საერთო არის, გაუყოფელი იმ ქვეყნებს შორის, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ ერთად შეაკავშირა და ხელმძღვანელად, ბელადად მისცა ფოლადი კაცი, უნაზესი სულის კვეთების, ბრძენი ადამიანი.

გული კვნესის, რომ შენ მოსილი გონებით, სწავლით და ენერგიით სავსე მუშაობისათვის აქ არა ხარ და მანდ, კრიზისით შეპყრობილ ქვეყანაში, ზედმეტ ელემენტად ითვლები, და ნუ თუ, ნუ თუ გადმოფრენა შეუძლებელია? მაგრამ შეუძლებელი რა არის ძლიერი კაცისთვის. ვინ იცის... იქნებ მოვესწრო კიდევ თქვენ ნახვას, ძვირფასო მეგობარო!

# ტფილისის დილა

კოლაუ ნადირაძე

1

იქ, სადაც ხიდთან თუჯის გრიფონებს
თვალებს უმძიმებს მარადი ძილი,
პირველად ვგრძნობდი მე ამსტრიქონებს
დამათრობელი ზაფხულის დილით.

ზაფხულის დილა მიწიდან ცამდე
იდგა გაშლილი დაცვარულ ვარდათ,
და მთელ ბუნებას გულის კარამდე
გაეხსნა თავის ცისფერი ფარდა.

და როგორც ფარდა ლაჟვარდი ჩუმი
აშრიალებდა სიოვების ფარჩას,
დღეს თითქოს მტკვარიც მიეცა დუმილს,
მზე — ბროწეული ზეცაში გახლჩა.

ღია თუ დარჩა კარები ცისა,
ველარ მოასწრეს ჩარაზვა მისი —
თორემ ამ წარღვნას თაფლის და რძისა
რათ აღარ უჩანს დასაბამისი?!

თორემ ამ ხეებს, ბალახებს, ბუჩქებს
რომ აუდგიათ მეტყველი ენა,
სუნთქვის წყურვილი ასე რათ უჩქებს
და ეჩქარებათ თითქოს გაფრენა?

თითქოს ქალაქის მძიმე სხეულიც
ცაში გაფრენის ნატრული ხდება
და ერთის წამით ორთქლათ ქცეული
ის მზეს და ჰაერს შეუერთდება.

2

ხიდის მახლობლათ, სადაც გრიფონებს
აქვთ გასაფრენათ გაშლილი ფრთები,
შენთან შეხვედრას ისევ ვიგონებ
და შენზე ფიქრით ისევ ვინთები.

დღესაც არ ვიცი შენი სახელი,
მაგრამ ძვირფასო, მე ისევ მავსებს
ღიმილი დილის გამომსახველი
და დილა შენი ღიმილის მსგავსი.

სადა ხარ ნეტავ? ეგების აქვე
ამ ქარხანაში აბრეშუმს ქსოვდე,
უცქერდე როგორ გამორბის მაქო
და გმირულ შრომის ღელვასაც
გრძნობდე.

ან თუ კოლხეთის მზეში ვაალულს
გატკბობს მტრედების ღუღუნი ძილში —
როს ფორთოხლების კრეფით დაღალულს
მიგეძინება მუხების ჩრდილში.

სად ხარ ძვირფასო!? ეს აღტაცება,
ამ დილის ფეთქა, ეს მზე და სითბო,
ამ ცის დიდება თავზარდამცემი
ეგებ შენც სადმე სიცოცხლეს გიტკბობს.

ან და — ვინ იცის! ეგების ახლა
შენ ჩრდილოეთის გიტაცებს გზები
და არ გაშინებს ყინვა და დაღლა
და არც ქარბუქის მზარავი ხმები.

და თუ დედა ხარ, თუ თბილ კალთაზე
გიწევს მშრომელი ვაჟკაცის შვილი —
გააღე კარი ამ ლექსის ხმაზე,
რადგან შენა ხარ თვით სილამაზე
და თვით სიცოცხლეც არის ადვილი!

რადგან დღეს ხარობს სამშობლო ჩვენი,
ჩვენი ქვეყანა და ჩვენი მიწა,
რადგან ეს გული სავსეა რწმენით
და ცეცხლად ქცეულ ზეაღმაფრენით
ამ დიდ სასწაულს პოეტი იცავს!

15.I—36 წ.
ტფილისი

# მოქალაქე

ნიკო ლორთქიფანიძე

1.

ქუთაისში დამლევ — თებერვლის ნისლით ჩამობურულ ციდან წვრილი წვეთები სცემდა ბულვარის გასწვრივ ოღრო-ჩოღრო ქვაფენილზე მიმავალ შინნაქსოვ ლაზლის შალით თავმოხვეულ, დაბალ ტანის ქალსა და საზაფხულო რუხ ხალათში ჩაცმულ მაღალს ახალგაზრდა ბიჭს.

ორივე დაესველებია წვიმას, მაგრამ ქალი თუ ცდილობდა ჩქარის ნაბიჯით ეარნა, ვაჟი, თითქოს ქვებში დაგუბულ ტლაპოებს გახეულ წაღებს არიდებსო, თავდახრილი, ზანტად, დაფიქრებით მიდიოდა და თან დანამულ ქუდის არშიას წამდაუწუმ ისწორებდა.

— გამეიარე, პარმენ! რაეა დასაკლავი ხარივით ძლივს აბიჯებ ფეხს?!..

— მეიცა ერთი, დეიდა, რა გვინდა...

— შენ არ მეუბნებოდი, კავშირი თუ მოინდომებს, ყველაფერი გაკეთდებაო...

— კი მარა, ის კი არ მითქვამს, მათხოვრად ვიაროთ-თქო...

— კაი ახლა, ნუ დამიწყებ ნაზობას. ვსინჯოთ, იქნებ რამე გამოვიდეს...

ასე ჯიჯღინით დეიდამ და დისწულმა ჩაუარეს ბულვარს, აუხვიეს ნახევრად დანგრეულ სობოროს, სადაც სალომემ საჩქაროთ პირჯვარი გადაიწერა, და კავშირების სახლში შევიდნენ.

ორივემ წყალი ჩამოიფერთხა, და ქალმა გამვლელ-გამომვლელთ დაუწყო კითხვა, სად არის „რაბიცი“, სანამ ახალგაზრდა კაცი კარებზე ზედწარწერებს კითხულობდა.

— აქ ყოფილა, დეიდა...

ორივე შევიდა ბნელ პატარა ოთახში. იქ მარტოდ მჯდომმა კაცმა გაკვირვებით თავი ასწია და შეეკითხა:

— რა გნებავთ?

— ჩვენ გვითხრეს, რაბიციო — დაიწყო ქალმა...

— რაბისი — გაუსწორა დამხთურმა კიდევ უფრო გაკვირვებით, რადგან ვერ წარმოედგინა, თუ რა საქმე უნდა ჰქონებოდათ მოსულთ რაბისთან.

— დიახ, დიახ „რაბისი“, აი ჩემს დისწულს ძალიან უნდა ისწავლოს... აი ხატვა.. კიდევ სასაფლაოზე რომ „პამიატნიკებს“ აკეთებენ...

— ძეგლებს?

— დიახ, ჰო ძეგლებს... აკეთებს კიდეც.

— ერთი სიტყვით უნდა მოქანდაკედ გახდეს — დაეხმარა მოხუცი... — მაგრამ ჩვენ რა შეგვიძლია? — და პარმენს შეხედა. მოხუცის ყურადღება მიიპყრო ყმაწვილის ხელში მყოფმა პატარა ქანდაკებამ. — მაჩვენეთ ეს რაღაა? — და როცა მაგიდაზე დაუდგეს ორი მარმარილოს ქანდაკება, მოხუცმა დაკვირვებით დაუწყო ცქერა.

მოხუცი თვითონაც არ იყო ხელოვნების ამ დარგის მცოდნე და ამიტომ თავის თავს არ ენდობოდა, მაგრამ მაინც რამდენიმე კითხვა მისცა.

— სად სწავლობდით?

— სამოქალაქო სკოლა დავამთავრე...

— განა იქ გასწავლიდენ ქანდაქებას?

— არა, ერთ ხანს ძერწვის გაკვეთილებს თავისუფალ საათებში გვაძლევდა მასწავლებელი ქალი, მაგრამ ის რომ ავად გახდა, ძერწვის გაკვეთილები შეწყდა.

— აბა როგორ გააკეთეთ მაინც?

— ჩვენს ახლოს სასაფლაოს ქვების მთლელია ერთი, და მას უყურებდი...

— საკვირველია!.. და ასე პატარა რომ გაგიკეთებია — ეს ხომ უფრო ძნელი უნდა იყოს — ამას განსაკუთრებული, მეტად ნაზი იარაღები უნდა სჭირდებოდეს.

— დიდი მარმარილო ვერც ვიშოვე და თან დიდ ქვას კარგი იარაღები დასჭირდებოდა... ივანე ბერძენი თავის იარაღებს შინ არ მანდობდა.

— აბა რითი გააკეთე თქვენ?

— ჯაყვითა და მაგრატლის ნატეხით...

მოხუცმა იჭვის თვალით შეხედა. სალომეს მისი შეხედვა არ გამოეპარა:

— კი, ბატონო, კი ერთი გატეხილი მაგრატელი მქონდა და იმითი უჩხიკინებდა, მაგიერად ამას ერთი თვე მოუნდა... ჩაერია მუსაიფში სალომე.

— ყველაფერი კარგი, მაგრამ რაბისმა რა მოგიხერხოს, რით დაგეხმაროთ? ამისთვის ჩვენ არც თანხები გვაქვს და არც წესდებაში გვიწერია რამე...

— თქვენ თუ მოინდომებთ რამეს კი გვიშველით — თავისებურად შეაქო სალომემ.

შექების მიუღებლადაც მოხუცს უნდოდა რაიმე გამოსავალი გამოეგონა, მაგრამ საბჭოთა წყობილება ახლად მყარდებოდა.

— წავიდეთ ერთი აღმასკომში... რამე შესაძლებელია, გიორგი უარს ა[რ] გვეტყვის.. — სთქვა მოხუცმა ქაღალდე[ბის] მილაგება დაუწყო.. უეცრად მიუბრუნდა და პარმენს და უთხრა — გაიქეცი სახლ[ში] და შენი იარაღები აღმასკომში მო[ი]ტანე; სანამ ჩვენ მივჩოჩდებოდეთ, [შენ] მიგვასწრებ კიდეც... ხომ იცი სა[დ] აღმასკომი?

— კი, ბატონო! — და რაღაც ი[...] მიცემული პარმენი გაექანა.

მოხუცი და სალომე ქუჩაზე გამ[ოვი]დენ. გადაეღო, მაგრამ მაინც ქო[...] გაშალა.

აღმასკომში თავმჯდომარის კაბინ[ეტი] სავსე იყო: ინჟინერი და ექიმი, მას[წავ]ლებელი და სამხედრო პირები, პარ[ტი]ულები და ვაჭრები — ყველას საქმე კიდევ პირადათ აღმასკომის თავმჯ[დო]მარეს უნდა გადაეწყვიტა. უძი[...] თავმჯდომარე და სახე გაბერ[...] მაინც ყველას უსმენდა და ზო[გს] ალალ-ბედზე, უფრო გრძნობაზე, ვე[ლ] ცოდნაზე დამყარებული წყვეტდ[ა მე]ტად რთულ კითხვებს.

რაბისის პასუხისმგებელმა მდივ[ანმა] მიაღწია თავმჯდომარის მაგიდას, [მაგ]რამ მის წინ ჯერ კიდევ ბევრი კა[ცი] რიგში. ბედათ თავმჯდომარემ შო[რი]და შორიდან შეეკითხა:

— რა უქენი, კაცო, არტისტებ[ის სა]ღები უშოვე ხომ?.. თვარა ზეგ სმო[...] წარმოდგენაა...

მოხუცმა ამ მიმართვით ისარგ[ებლ]ა, მაგიდასთან მივიდა და ხმა-დაბლა-პარაკი დაუწყო, შემდეგ ჯიბიდან-დაკებები ამოიღო და წინ [და]დო. თავმჯდომარემ სინათლეზე შეატრ[ია]-შე მოატრიალა ქანდაკებები, დაკვირვებით ჩააცქერდა, მაგრამ ეტყობოდა ამის არა გაეგებოდა რა და დარაჯს[ა უბრძანა], „ჩვენ ინჟენერს დამიძახეო“.

ინჟენერი, სპეციალობით გზაშენებელი, აქ ასრულებდა ხუროთმოძღვრის მოვალეობას, და, რაც ქვეხე-

თოდა, ყველაფერს მას ჰკითხავდნენ.

— ამ იარაღითაა გაკეთებული, არ დაგვავიწყდეს! — მოძღვრავდა თითქოს მოხუცი თავმჯდომარესა და ინჟენერს. ინჟენერის ექსპერტიზაც მერყევი გამოდგა:

— თუ ამ ბავშვმა ამ იარაღებით გააკეთა, მართლა რომ დახმარების ღირსია...

— აბა, რა გითხრა — მიმართა თავმჯდომარემ მოხუცს — შენ თხოვნა დააწერინე მაგას... ამ ორ სამ დღეში პლენუმის სხდომა იქნება, და რამეს მოვახერხებთ.

მოხუცი შორს აღარ წასულა, იქვე ბლოკნოტს მოხია ფურცელი, თხოვნა დასწერა, პარმენს ხელი მოაწერინა და თავმჯდომარეს გადასცა.

— თქვენი იმედი გვაქ, ბატონო, თვარა ბიჭი იღუპება, — მოასწრო სალომემ მაინც ჩაერთო თავისი სიტყვა, თუმცა პარმენმა ჯლიქვი ჰკრა, გაჩუმდი სირცხვილიაო...

— კი, ამხანაგო, კი, როგორმე დავეხმარებით — მიუგო თავმჯდომარემ და მიუბრუნდა ჯარის წარმომადგენელს, რომელიც მოთმინებას ჰკარგავდა.

— მაშ გამოვა რამე? — ეკითხებოდა კიბეზე მოხუცს სალომე.

— უსათუოდ... გიორგის ტყუილად არ უყვარს ლაპარაკი — აიმედებდა მოხუცი.

აღმასკომის კარებთან სალომე და პარმენი მოხუცს გამოეთხოვენ.

მოხუცმა შურით გააყოლა თვალი დაიმედებულ დეიდა-დისწულს — მას მოაგონდა, რომ ოდესღაც მასაც ჰქონდა ოცნება ყოფილიყო პაგანინი ან ბეთჰოვენი, მაგრამ არვინ გამოჩნდა ხელი შეეწყო და ნიჭი ყოველდღიურმა ჭირვარამმა შესჭამა, მისწრაფება წლებმა გასრისა და დარჩა მხოლოდ აწ უკვე შეთეთრებული, გრძელი, ბოლოებში ოდნავ დაკლაკნილი, შეთხელებული თმა, მეოცნებე ფართო თვალები და ჩვილი გული.

სალომემ და პარმენმა ვერ მოასწრეს თავისი იჭვი და იმედი ერთმანეთისათვის გაეზიარებიათ, რომ გზაზე მათ შეეფეთა მეზობელი ქალი:

— ჩემი ნატო არ გინახავთ?

— არა... რა მოხდა? — შეეკითხა სალომე.

— ჩემი სიკვდილი და თვალის დაფსება... დილას ლოგინში არ დამხვდა და აქამდის არსად არის.. წერილი დაუტოვებია, მივდივარ, ნუ მეძებთო — და ქალი ისევ გაექანა.

— რიფსიმე, ბეჩა, რიფსიმე, სად მიდიხარ, მაინც არ იტყვი?..

— ჯანდაბაში, ჯოჯოხეთში, რა ვიცი სად მივდივარ... მითხრეს, აღმასკომს მიმართეო, და იქ — და გაფოფრილი ქალი მიიმალა.

— ჰო, და მასე უნდა მაგას!.. — ჩაილაპარაკა პარმენმა.

— რა იყო, ბიჭო, შენ მაინც არ იტყვი?

— რა და, ნატოს გათხოვება უნდოდათ თურმე... ე, ის ბანჯგვლიანი ხარაზი რომ არის იმაზე; ნატომაც აიღო და გაიქცა...

— იმე, იმე!

— კაი ქნა სწორედ!

— ტყე-ტყე სიარული თუ კაი იყოს, მაგას არავინ მიცემდა. ნუ გეშინია კაი ქალი სახლიდან ქუჩაში არ გამოვარდება, მარა შენ საიდან იცი ეს ამბავი? რომელი მესაიდუმლე გამოუჩნდი შენ ნატოს?

პარმენმა არაფერი უპასუხა.

სალომემ კიდევ გაუმეორა კითხვა, მაგრამ, როცა მეორეჯერაც პასუხი ვერ მიიღო, გაჯავრებულმა ნაბიჯს უმატა.

— შეხედე, დეიდა, შეხედე რა მშვენიერია?

— რა ბიჭო? — სალომემ აღმაცერად გადახედა დისწულს.

— მოზვერი, დეიდა, გინახავს ასეთი ლამაზი ოთხფეხი?

— კაი ახლა, დამანებე თავი! — მაგრამ თვალი მაინც გააყოლა ქუჩაზე ამაყად მიმავალ იშვიათი სილამაზის სანოგრო მოზვერს, რომელიც სამეურნეო სკოლაში მიჰყავდათ.

ჯაჭვის ხიდიდან სალომე და პარმენი მთაზე ზეაღმავალ დაკლაკნილ ბილიკს გაჰყვენ, ცნობილ ცაცხვების ჩრდილს გასცდენ და ერთ ერთ მოსახვევთან, ქუჩის პირიდან ერთსართულიან, ეზოდან კი ორსართულიან პატარა სახლის პატარა ეზოში შევიდნენ.

ქვედა სართულს — პალატს მიდგმული ჰქონდა, შეიძლება ეხლაც იყოს... აი აქ გაჭირდება შესაფერი სიტყვის მონახვა... სახლი, ბინა, ოთახი, ქოხი, ფაცხა. ხულა... მე ავწერ და სახელი მკითხველმა დაარქვას: ერთი კედელი მეორე სახლის პალატის კედელია; ორკედელს მოსახვევიდან ჩამოჭრილ ფერდობზე მიყრდნობილი ფიცრები შეადგენს, ხოლო მეოთხე საკუთრივ ამ შენობის კედლად განზრახული გაუთლელი ფიცრებია; ამ კედელშია ცალფა კარი, რომლის ზედანაწილში ჩადგმულია შუშა და ვითომ ასრულებს ფანჯრის მოვალეობას.

სახურავათ ყველაფერია ნახმარი: თუნუქი, ყავარი, კრამიტი, ჭურის ნამტვრევები და ხავს-მოკიდებული სარები...

იატაკი აქა-იქ ამომტვრეული აგურიაა; ჭერი — ერთმანეთზე თავისუფლად მიწყობილი ფიცრია.

ფართობი ორი სულისთვის არ იყო მცირე, სანამ წვიმა არ ჩამოატანდა და სალომე არ მოფენდა იქაურობას ტაშტებით, ქოთნებით, კოკითა და ტაფებით; სასწრაფოდ გადადგმულ-გადმოდგმული სკამ-ლოგინ-მაგიდა, ჩამოვარდნილ წვეთების ნაირ-ნაირი ხმა კი წამოაძახებიებდა სალომეს:

— დალახვროს ეშმაკმა ასეთი ბინა!

მაგრამ დაუზარებლივ მივარდებოდა მეზობელს, პარმენს ან თვით ავდოდა სახურავზე რომ მიეწ-მოეწია სახურავის მრავალფერი მასალა; მერმე კი შეუდგებოდა ოთხივე კედელზე და ჭერზე გაზეთების გაკვრას, და ამიტომაც იყო, რომ დეიდა-დისწულს მუდამ თავს დასცქეროდენ ძველისა და ახალი დროის თვალსაჩინო სულ სხვადასხვა პირები: გლადსტონი და ბისმარკი, აკაკი და ილია, ბეთჰოვენი და პუშკინი.

და ვერ შორდებოდა ბევრ ნაამაგებ კერიას, სადაც ჩამარხული იყო პარმენის ტირილი, სიცილი, სიამოვნების წამები და ავადმყოფობის ღამეები...

ბავში კი, პარმენი, ვერ დაშორდებოდა ამ საუცხოვო გადასახედს; მწვანეში მიმალულ ქუთაისის სახლებს, მოსირმულ მთებს შორიდან რომ სჩანდენ, დაკლაკნილ რიონს ბოლოს რომ ტბებად ედებოდა დაფენილ ჭალას... მაგრამ რაც მთავარი იყო, ამ ეზოს თითქმის მუდამ ეფრქვეოდა ღობეში ჩატანებული ატმის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კალიაევის აღმართი

**ი. გრიშაშვილი**

ისე იცვლება ტფილისის ზოგიერთი ქუჩის იერი, რომ ხშირად ვერც კი წარმოგიდგენია, რა სახის ქუჩა უნდა ყოფილიყო ძველად!

წარმავალი ტფილისი!

ამ ციკლიდან ერთი თავი უკვე გამოვაქვეყნე სახელწოდებით „ერევნის მოედნის ისტორია“ („ლიტგაზეთი“ № 23 1934 წ.). ეხლა მინდა „კალიაევის აღმართის“ წარსულზედაც ვთქვა ორიოდე სიტყვა.

კალიაევის აღმართი ძველად არაფრით არ იყო შესანიშნავი, გარდა იმ ჩამონაჟონი წყლისა კლდის კალთებზე რომ მოწანწკარებს. ამ წყალს, რომელიც შეიცავს აზოტისა და გოგირდმჟავა კალციუმს, ტფილისის მოსახლეობა დღესაც თვალის სამკურნალოდ ხმარობს.

სწორედ იმ ადგილას, სადაც კალიაევის აღმართი თავდება, ძველად მრისხანეთ ამართული იყო ოთხკუთხიანი ციხის კოშკები ქონგურებიანი გალავნით შემოვლებული. დღეს ამ ისნის ნანგრევებზე ქართული სახლის აივნებია გადმოკიდული, რომლის ბოლო უბანში („სურამის ციხე“ რომ მოვიშველიოთ) „სუფკარაპეტის ეკლესიის აღმოსავლეთის მხრით, ავლაბარში, ზედ გორაზე ერთ ოთახიან იაქათალის სახლში“ ბინადრობდა დანიელ ჭონქაძის მკითხავი ვარდუა.

ავლაბრის ისტორია მჭიდროდ დაკავშირებულია საქართველოს იტორიასთან.

ავლაბარი, ანუ ძველებურად ისანი, მდებარეობს მტკვრის მარცხენა მაღალ კიდეზე. ზოგნი ამტკიცებენ, რომ „ავლაბარი ნიშნავს ავლას ბარზე: ე. ი. მინდორზე, რადგანაც მტკვრის კიდიდან რომ ავლაბარში ახვიდეთ, კარგა დიდი აღმართი უნდა აიაროთ“.

„დიდი აღმართი“, რომლითაც ადიოდნენ ავლაბარში ძველად, სულ სამი იყო: სირაჩხანის, მეტეხის და სუფკარაპეტის.

ციციანთ აღმართი კი, იმ სახით, რა სახითაც საბჭოთა ხელისუფლებამდე მოაღწია, გაკეთდა 1865 წელს.

ამის შესახებ „დროებაში“ ვკითხულობთ:

„ამჟამად კეთდება ავლაბრის გზა, რომელსაც ციციანოვის აღმართს ეძახიან. რიყიდამ ადის ყაზარმის წინა ქუჩამდის. სიგანე იმოდენა ექნება, რომ ურემსა და ფაეტონს გაევლება და არც აღმართი იქნება ძნელი. ეს გზა ორიოდე თვის შემდეგ მზად იქნება“ („დროება“. 1886 წ. № 123).

ხოლო 1885 წლამდე აქ იყო პატარა ბილიკი. ეს ბილიკი ისეთი ვიწრო ყოფილა, რომ გაზეთების სიტყვით, ორი კაცი ერთმანეთს გვერდს ვერ აუქცევდა. ერთხელ „საკახო გზიდან“ (ასე ეძახდნენ კახეთის ქუჩას) გაგიჟებული კამეჩი გამოქცეულა და ვინც ამ ბილიკზე დახვედრია, ყველა გაუწყვეტია.

ამბობენ, თითქოს ეს ბილიკი ვინმე მოხელე ციციშვილის გაჭრილი ყოფილიყოს და ამიტომ დაერქვა ციციანოვის აღმართი. ზოგი კი „ახალ გზას“ ეძახდა. მაგრამ მე მგონია, ამ აღმართს ეწოდა გადაგვარებულ პავლე ციციანოვის სახელი, რომელიც ცარიზმის განსამტკიცებლად ნატრობდა „მტრების სისხლში თავის ჩექმების გაბანას“.

მორჩა! დღეს ფართო და ლაღი მაგისტრალი აერთებს ავლაბარს და ნავთლუღს ქალაქის ცენტრთან. აღარ არის ავლაბრის „დარიალის ვიწრო ხეობა“ — როგორც ამას დაცინვით უწოდებდნენ ტრამვაის მუშაკები (და მერე რამდენი უბედური შემთხვევა გვახსოვს თვით უკანასკნელ დრომდე)!

გარდა ამისა ყოველ გამვლელს ეშინოდა კლდის თიხოვანი ფიქალის მორღვევისა და ყინულის ლოლუების ჩამომტვრევისა ..

დღეს ასე როდია: გაფართოებამდე ამ ქუჩის სიგანე 7 მეტრი იყო, ამჟამად მთელი აღმართის სიგანე 24 მეტრია. დაქანებაც ერთი სამადაა შემცირებული.

ადიხარ ამ მშვენიერ აღმართზე და გადასროლილი თვალი ესობა გაღმა მხარეს: რიყეს, ნარიყალას, ხარფუხს.

ხარფუხი!

ეს ორი ძმა რატომ არ არიან ერთად? რატომ არის, რომ ერთი კოხტად გამოიყურება, მეორე კი დარცხვენილია? ხარფუხს შედარებით ნაკლები ყურადღება ექცევა. მერე რა უბანს! 1905 წელს „პატარა შვეიცარიად“ წოდებულს და არსენ ჯორჯიაშვილის სამშობლოს...

ავლაბარი გაღმაა, ხარფუხი გამოღმა. ორივენი ერთი დედის შვილები არიან. ერთად ღვიძებენ, ერთად ესალმებიან ერთმანეთს, მაგრამ ერთი პირდაბანილია, მეორე პირდაუბანელი. მე მინდა, რომ ეს ორი ისტორიული უბანი ერთად ჩადიოდნენ ბარათაშვილის მტკვარზე პირის დასაბანად.

# არსენა

(სცენა არსენას ბანაკში)

**სანდრო შანშიაშვილი**

**დ ი შ ო:**

(აღფრთოვანებული) მაშ რაღას ვუცდით!
დაგვიანება აღარ ივარგებს!
უნდა შევმუსროთ ის ვეშაპი და მოვისვენოთ.

**ა რ ს ე ნ ა:**

არა! მოიცათ!
საჭირო არის ვადა დავნიშნოთ.
ვადად მცხეთობა!
ჯარში საქმეზე მიტროხონი გაგზავნილი მყავს.
ბროლია შაქროც მწყემსებთან არის.
იქიდან მოვა დამხმარე ძალა...
ვიცი, მცხეთობას ვეშაპი მოდის...
ის აღარ უნდა დაბრუნდეს უკან!
ამ დროისათვის ტფილისის ირგვლივ
ჩვენი ჯარები შემოვიკრიბოთ,
არმაზის მთაზე ცეცხლი ავანთოთ
და მისი ალი ნიშანი იყოს,
რომ იერიშით ტფილისზე მივალთ!
(ბანაკში დიდი აღფრთოვანებაა არსენას გეგმით)

**მ ა თ ი ა:**

გეგმა კარგია!

**პ ი რ ვ ე ლ ი:**

მცხეთასთან ვეშაპს მე მივაძაღლებ!

**მ ე ო რ ე:**

სამგორის აქეთ მთებში ვიქნებით!

**მ ე ს ა მ ე:**

დაგელოდებით კოჯორის მთაზე!

**მ ე ო თ ხ ე:**

არმაზის მთაზე ცეცხლს მე ავანთებ!

**მ ე ხ უ თ ე:**

მცხეთასთან ცეცხლი იყოს ნიშანი...

**ყ ვ ე ლ ა ნ ი:**

იყოს! იყოს!

**დ ი შ ო:**

არა! არა-მეთქი! არ გამოდგება!
(ყველანი სახტად დარჩნენ)
მე გეუბნებით:
დაყოვნება არ შეიძლება!

**ფ ა რ ს ა დ ა ნ:**

რაო, რა სთქვი?

**ა რ ს ე ნ ა:**

დიშო! რას ამბობ!

**დ ი შ ო:**

მეც მომითმინეთ!
შენ, ჩემო არსენ, ყოველ საქმეს აჭიანურებ!
და, აი, ჭედავ, ტყეში გასულს რა ემართება!

(სრულიად შემთხვევით უცქერდა ფარსადანს)

ერთი ყაჩაღობს და მეორე გამცემად ხდება.
შენ რომ ემზადო, განა მტერი გულხელს დაიკრეფს?
სად შეუძლიან, რომ ამდენი გლეხმა ითმინოს?
სად შეუძლიან, ტყეში გასძლოს ნადირთა შორის,
სადაც ყოველ წუთს საფრთხეშია და ელანდება.
კურდღლის ფაჩუნი მტრის ნაბიჯად და იერიშად!
შეჩვეული ხარ შენ ცხოვრებას ცხვარში, ძროხაში.
ჩვენი გლეხი კი მეგუთნეა, ოჯახის კაცი...
მიწა გვეძახის! მინდორ-ველი დასახნავია!
ჩვენ თუ ამ ტყეში არ გაგვწყვიტეს, სულ ერთი არის,
მწარე შიმშილი, უპურობა სახლში გაგვწყვიტავს!
ჩვენ მტერს არ უნდა ვაცალოთ-ღა, რომ გონს მოვიდეს!
უნდა მიუხტეთ, მოვრჩეთ საქმეს, სახლკარს მივხედოთ.
ამიტომ სანამ თონე ცხელია, უნდა დავაკრათ.
მე წავალ მტერზე იერიშით, ან თავს შევაკლავ,
ან დავბრუნდები ჩემს ცოლშვილში გამარჯვებული.
დაყოვნება კი აღარას გზით არ შეიძლება.
(რაზმელებში შთაბეჭდილება მოახდინა).

**რ ა ზ მ ე ლ ე ბ ი:**

დიშო მართალია!
დიშო, გაგვიძეხ! ან სიკვდილი, ან გამარჯვება!

**ა რ ს ე ნ ა:**

დიშო გონს მოდი!

**დ ი შ ო:**

სამასი კაცი კოჯორთან მიცდის!
ხუთასი ალგეთს!
დაყოვნება არ შეიძლება!

**ა რ ს ე ნ:**

საქმეს წავაგებთ!

**დ ი შ ო:**

არსენ: შენ რად ხარ დარწმუნებული,
მუდამ სიმართლე შენს მხარეს იყოს?
შენ რად გგონია, მამოქმედებდეს ჟინიანობა?
ან რად გგონია, ჩემი აზრი სწორედ არ სჭრიდეს!

**ა რ ს ე ნ ა:**

დიშო მღალატობ?

**დ ი შ ო:**

მე არც გღალატობ, არცა ვტეხ ჩემს ფიცს.

**ა რ ს ე ნ ა:**

დიშო, შენ ამბობ ალგეთს ხალხი გყავს,
და კოჯორთანაც გელოდებიან.
სხვებიც ხომ მოვლენ...
დაქსაქსული ძალით ვერას გავხდებით...
მაგრამ როდესაც ყოველ კუთხიდან შემოვიკრებავთ...

**დ ი შ ო:**

სანამ შენ ხალხსა შემოიკრებავ,
იმდრომდე მტერიც ფეხზე დადგება,
იმდრომდე ლაშქარს თბილისში მოჰყრის
და მაგ ჩახმახით შენ ზარბაზნებს გაუმკლავდები?
სანამ შენ ხალხსა შემოიკრებავ,

**ა რ ს ე ნ ა:**

დიშო! გაფიცებ მეგობრობას, ჩვენს წმინდა ძმობას!
გაფიცებ ყრმობის მოგონებებს და ერთად აღზრდას.
დიშო ნუ მღუპავ!

**დ ი შ ო:**

მეც გაფიცებ!

**ა რ ს ე ნ ა:**

(გამწარებული)
დამადგი ფეხი და ჩემს გვამზე გადაირბინე!
დიშო, ძმაო!

**დ ი შ ო:**

არა! არსენ!
თუ მე ამჟამად ვცდები, დაე გაგვასამართლონ!
დაე ჩვენ ორნი გაგვასამართლონ!
ჩვენ ამათ ვკითხოთ!
ვკითხოთ, ვინც უნდა სისხლი დაღვაროს,
ვინც ჩვენთან ერთად ტყვიას გულს უშვერს.
ძმებო! რას იტყვით?
გადავდოთ ბრძოლა, თუ დღესვე დავკრათ.

**რ ა ზ მ ე ლ ე ბ ი:**

დღესვე! დღესვე!

**მეორე ჯგუფი:**

ჩვენ არ გაგიშვებთ!

**პირველი ჯგუფი:**

გადადება არ შეიძლება!

**მეორე ჯგუფი:**

ნებას არ მოგცემთ!

**პირველი ჯგუფი:**

წამოდით ჩვენთან, თუ გული გერჩით.

**თურქი რაზმელი:**

ბილმირამ? არ გესმით?
ვინ ყოჩაღ ყონაღ?
თუ ჩონ არსენა არ დაიჯერო
მე იმას ყელი ხანჯლით გამოვჭერ...
კარგი არ წავიდა. კარგი აქ დარჩა
ნეისტირსან? იავაშ, გეუბნები.
(რაზმელებში არევ-დარევაა).

**ფ ა რ ს ა დ ა ნ:**

თუ ვაჟკაცი ხარ, სთქვი და მორჩი!
წადი, მეც მოგდევ!

**დ ი შ ო:**

აბა ბიჭებო! ვინ მოდის ჩემთან!
(გადის. რაზმი შუა გაიყო. ნახევარზე მეტი დიშოს გაჰყვა).

**ა რ ს ე ნ ა:**

გონს ვერ მოვსულვარ!
ლამის ბრაზისგან თავი ვანარცხო...
გულში გამიყარეს შანთი და ისარი!..
მარჯვენა მომაჭრეს... მკლავი დამიდუნეს...
უფსკრულს დაუღია ხახა საზარი
და ვიღაც დამცინის...
ვიღაცა ხეიმობს!
თქვენც ხომ დიშოსთან წასვლა გინდოდათ?
რად არ გაჰყევით? წადით! წადით!
აქ მიტომ დარჩით,
რომ გაჰიწიოთ უარესი მუხანათობა?
რომ ვერაგულად, მოპარვით მომკლათ?
აჰათ, ეს გული! დაკლიჯეთ! დაფლითეთ!
დიშომ მომკლა თქვენზე ადრე...
დიშომ მომკლა!

. . . . . . . . . . . . . . . . . . . .



დემნა შენგელაია



შალვა რადიანი



გ. ქუჩიშვილი

# დეპეშები

ამ დიადი ზეიმის დღეებში მღელვარებით და სიყვარულით ვფიქრობ მშვენიერ აყვავებულ საქართველოზე, მის მრავალფეროვან ნათელ ლიტერატურაზე და მთელი გულით მივესალმები ძვირფას მეგობრებს—ამ სიხარულის ქვეყნის პოეტებსა და მწერლებს.

**სერგეი სპასკი**

ღრმა სიხარულით მივესალმები ქართველ მწერლებს და პოეტებს საბჭოთა საქართველოს თუთხმეტი წლისთავის ბედნიერი დღის გამო. თუთხმეტი წლის მუშაობამ წითელ დროშის ქვეშ ქართული მწერლობა გადააქცია საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის კულტურის კუთვნილებად.

მაგრად ვართმევ ხელს მეგობრებს და ქედს ვიხრი საქართველოს დიადი ხელოვნების წინაშე.

**კონსტანტინე ფედინი**

ვწუხვარ, რომ არ მაქვს შესაძლებლობა დავესწრო დიდი სტალინის სამშობლოს—საბჭოთა საქართველოს თხუთმეტი წლისთავის საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს.

ამ სასიხარულო დღეს ვუგზავნი ჩემს გულითად სალამს საქართველოს ბრძენ მშენებლებს.

სალამი მუშებს და კოლმეურნეებს, ყველა მშრომელს, ვინც აიყვანა საბჭოთა საქართველო არნახულ სიმაღლეზე. კერძოდ მხურვალედ მივესალმები ჩემს მოძმე თანამოკალმეებს საბჭოთა საქართველოს შესანიშნავ მწერლებს, რომელთა ძვირფას გავლენას მეც განვიცდი, ვთარგმნი რა ქართველ პოეტებს, შორიდან მაინც მე თქვენთან ვიქნები და გავიხარებ საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელის ზეიმში მონაწილეობით.

**პავლო ტიჩინა**



მარიჯანი



ს. კლდიაშვილი

ტყემლის და ბროწეულის ყვავილები, პირველად აქ, ამ ეზოში, ამოყოფდა თავს ია და აქ კედლებს, ლოჯიებს, სახურავსა და კიბეებს გადახლართოდა სურო, გლიცინია და იასამანი.

2.

დეიდა-დისწული მოუთმენლად ელოდენ აღმასკომის პლენუმის გადაწყვეტილებას. სალომე დღეს არ უშვებდა რომ, თუ თვით აღმასკომში არ შევიდოდა, კარებთან მაინც არ ჩაეარა და ვინმესთვის არ ეკითხნა, ჩვენი საქმე როგორ არისო. არც პარმენს დაუკლია ხელი კითხვისათვის, მაგრამ კვირა-კვირას მისდევდა, და გადაწყვეტილება არსად სჩანდა.

მათდა საუბედუროდ სადღაც დიდი კოოპერატივი გაცარცვეს, და აღმასკომის თავმჯდომარე იქ უნდა გაჩენილიყო, სოფლად რაღაც კომპანია იყო ჩასატარებელი, და ხელმძღვანელობა მასვე უნდა გაეწია, უეცრად ჯერ თბილისში და მერე მოსკოვში გაიწვიეს...

ვიღაც მოხელემ მთლად აურია გული სალომეს:

— გაგონილა, „გოროდის კლასი“ ძლივს გაუთავებია ბიჭს და მისი აკადემიაში გაგზავნაო,—უთხრა მან—და ან ამ შუა წელიწადში სტუდენტის მიღება, სად ნახულაო... სჯობია, ბიჭი მოემზადოს, იქნებ, სექტემბერში აქ სადმე ტეხნიკუმში მიიღონ და აკადემიას რას სჩივიო...

ეს ამბავი პარმენისთვის არ გაუმხელია სალომეს, „ბავშს“ გული არ გაუფუჭდესო, მაგრამ ამ შემთხვევის შემდეგ იშვიათად მიდიოდა აღმასკომში და ცდილობდა პარმენისათვისაც დაევიწყებინა აკადემიაზე ფიქრი.

გავიდა თვე... გავიდა ორი, და აღმასკომის ამბავი თითქმის მიივიწყა ორივემ.

მას მერმე, რაც ორი თვის მტირალი პარმენი თერთმეტი წლის სალომეს დასარწევად ხელში ანდვეს, ასეთ საგონებელში სალომე არ ჩავარდნილა. სამი წლის დაობლებულს, ხუთ წლის პარმენს, სალომემ ხელი ჩასჭიდა და აქ ამ ქოხში გადმოიყვანა, რომ თავი ეხსნა დაქვრივებულ სიძის საეჭვო ალერსიდან და პარმენი არ ჩაეტოვებია უხეში მამისა და მოსალოდნელი დედინაცვლის ხელში. გაჭირვება ათასი იყო, მაგრამ დროული, და გარსშემოევლებოდა; ახლა კი რა მოუხერხოს მოწიფულ ყმაწვილს, რომელსაც სწავლა სწყურია, გზის გაკაფვა სურს და საშუალება კი არსაიდან სჩანს. სჯობია უმაღლესი სწავლა, მაგრამ, როცა მიუღწეველია, არ სჯობია დროზე ეწიოს სამსახურს?!

— რას უჩხიკინებ, სხვა საქმე ვერაფერი იშოვე?—ეუბნებოდა სალომე და თან მძრდათ აუთავებდა გაშლილს პერანგს.

— რა იცი, დეიდა, ხელს არ გაანძრევიებ კაცს, რომ არ დასჩხავლო—შეუღრინა ყმაწვილმა ბიჭმა—როცა ამ ჩხიკინით ერთი ბათმანი ქფილი მოგიტანე, მაშინ ხომ კაი იყო...

— უი თვალები კი დამეფსო... ერთი ბათმანი ქფილისთვის გადაგაკვდი! ბიჭო, რაცხა საქმეს უნდა ეწიო, თვარა მაგი ვერ გიშველის!..

— წიგნს მოვკიდე ხელი და წიგნზეც ასე შემომიცაცხანე.

— ჰო წიგნი... ტიტველი დედაკაცების ყურება თუ გინდოდა...

— დეიდა, რა ტიტველი დედაკაცები... იქ შენი ღვთისმშობელიც ხომ იყო დახატული.

— სუ, სუ! „შენი ღვთისმშობელი“!.. ღმერთს ნუ სცოდავ .. მით უარესი, რომ ღვთისმშობელი და ვიღაც გატიტვლებული დედაკაცები ერთად მოგიყრია და იმას აშტერდები ვიჟივით... ამისთანა ეშმაკეული საქმეები ჩვენ გენერალს მოკითხე...

— აბა რა ვქნა? არც წიგნი წევიკითხო, და არც სურათებს დავხედო.

— ის არ ჯობია, შვილო, ვინცხა პუშკინოვი ყოფილა თუ ლერმონტოვსკი ის წაიკითხო... შენმა მასწავლებელმა, მითხრა, იმათგან დეისწავლის რუსულსო—და აგერ შეხვალ სასამართლოში. ჯამაგირი კარგი გექნება, ჩამორჩენა კიდევ მეტი.

— რუსული, ვილას უნდა ახლა, დეიდა, ვერ გაიგე რომ ქართულად არის ყველაფერი...

— ნუ გეშინია, შენ რუსული ყოველთვის გამოგადგება,—ოდნავ დაუკლო ხმას სალომემ.

— ვინ მომაშავებს ადგილს სასამართლოში?! შენ ისე ამბობ, თითქოს მეხვეწებოდენ შემოდი, შემოდიო, და მე კი უარზე ვიდგე. მომზადება უნდა, მასწავლებელს ფული უნდა, ჩვენც უნდა ვიცხოვროთ ხომ, და ვინ მოგვცემს ამდენ ფულს?!

— შენ ოღონდ მოემზადე, და არ ვჭამ, არ ვსვამ და მაგ ფულსაც, რაცაც იქნება გიშოვი. ჩვენ გენერალთან წავალ, დეველრანჯები და სუდის სტოლზე კი დაგინახავ.

— ვინ გენერალია დეიდა, რას ამბობ, რა ფასი აქვს ახლა გენერალს?.. თვითონ ზის უსათუოდ და შიშით კანკალებს.

— გენერალი იქნება, თუ პოლკოვნიკი—სულ ერთია, მუხლებზე შემოვეხვევი.

— სწორედ ის არ მინდა, რომ იშიმშილო და არც ის მინდა მუხლებზე ეხვეოდე, ვინც არ უნდა იყოს. აგერ, ივანე ბერძენი მთხოვს, სასაფლაოს ქვებზე ანგელოზები და წარწერები გამიკეთეო...

— რას ამბობ, ბიჭო, საფლავის ქვების საკაკუნებლად გადაგატანე თავი!? რაცხა მოქანდაკეო ის კიდო მესმის, თუმცა არც ისაა დიდი ბედენა... თვარა ახლაც ილარავინ უკეთებს მიცვალებულს ქვებს, და აწი რა იქნება, ღმერთმა იცის...

— მერე რაცხა სხვა გამოჩნდება.

— ასე ალალ-ბედზე გინდა იცხოვრო?

ამ დროს ეზოში ვიღამაც დაიძახა:

— ეი, მასპინძელო, არ იცით, სად ცხოვრობს აქ პარმენ ფარუაძე? ერთი საათია ვეძებ იმ ოჯახ-ქორს და არ იქნა მისი ნახვა...

პარმენი ეზოში გამოვარდა.

— მე ვარ პარმენ ფარუაძე.

— გიორგი გიბარებს.

— ვინ გიორგია — ვერ გაიგო პირველად პარმენმა.

— აღმასკომის თავმჯდომარე, ამხანაგო! — მედიდურად უპასუხა შიკრიკმა, რომელსაც ასეთი კითხვით თავმოყვარეობა შელახულად მოეჩვენა.

— როდის უნდა ვნახო?

— როცა გინდა —იქაა დღეც და ღამეც.

— როდის სჯობია? — შეეკითხა ლაპარაკზე გარეთ გამოსული სალომე.

— ახლა სჯობია, უფრო ცოტა იქნება ხალხი—უპასუხა წასასვლელად გაბრუნებულმა შიკრიკმა.

ერთი წუთის შემდეგ წინ პარმენი მირბოდა და უკან სალომე მისდევდა.

სალომე თან, მგონი, ლოცვასაც კი ბუტბუტებდა.

— მოდი აქ, მოდი, ამხანაგო, შენ ცოტა შეგიჩერე პასუხი, მაგრამ მაგიერათ თბილისში მოველაპარაკე... მიდი აკადემიაში კომკავშირის მდივანთან, და ის ყველაფერს მოგიწყობს. ბინასაც მოგცემს. ხვალ ბუხგალტერთან მოხვალ მარა, სანდრო, — გადასძახა მეორე ოთახში ბუხგალტერს—გამოუწერე ახლავე და, თუ შეიძლება, კიდევაც მიეცი... გუშინ რომ დავადგინეთ სტიპენდიის შესახებ... ფარუაძე, ახლა შენ იცი... ჰო, ორი წარსული თვის სტიპენდიას ახლა მოგცემენ... გზაზე და პირველ ხანში იქაც გეყოფა... მეტი არ გვაქ... შემდეგ ყოველთვიურად ორმოცდაათ მანეთს გამოგიგზავნით. ჰო, ოცი მანეთი სამგზავრო მიეცი,—კიდევ გადასძახა ბუხგალტერს თავმჯდომარემ.

პარმენმა მადლობაც ვერ მოახერხა, ხოლო, როცა ფული დაუთვალეს, სალომემ მოინდომა მადლობისთვის თავმჯდომარესთან შესვლა, მაგრამ გვიან იყო—კარები ჩაეკეტათ, და იქედან ისმოდა რამდენიმე კაცის ცხარე კამათი.

დეიდა და დისწული თითქოს სიზმარში არიანო, ისე მიდიოდენ შინისკენ: 120 მანეთი ფული, აკადემიაში მიღება, მზა-მზარეული ბინა და ხუთთუმნიანი სტიპენდია—რომელ ერთისთვის უნდა გაეძლოთ.

პარმენს იმავე ღამეს უნდოდა წასვლა, მაგრამ სალომეს საბედისწეროთ მეორე დღის საღამომდე მატარებელი არ იყო, და ქალმა გამოიჩინა, თუ რა შეუძლია ადამიანს, როცა გულდაგულ აკეთებს და თავს არ იზოგავს.

ლეიბი, საბანი, ბალიში და მუთაქა დაარღვია, მატყლი დაწეწა, ბამბა გაპენტა, შალითები, მითელი, სარჩული და საპირეები, საცვლები, თეთრეული, ხალათები დარეცხა, ზოგი გადააბრუნა, ზოგი გამოცვალა. გაღამბა, დააგვირისტა, წინდები განემსა, შარვალი ჩაის წყლით გაწმინდა, წაღები სასწრაფოდ შეაკეთებინა, ქუდი და ნახმარი პალტო უყიდა, ყველაფერი ზოგი მსხვილი ტილოდან მუთაქისებურ ახლად შეკერილ აბგაში ჩააწყო, ზოგი ხის ზანდუკში ჩაალაგა, და, როცა პარმენი აკადემიას მიადგა, იგი არ გავდა გაჭირვებულ უარარაო მოხეტიალეს, არამედ სასწავლებლად მოსულ ხელმოკლე, მაგრამ სუფთად და ყოველივე საჭირო ნივთით უზრუნველყოფილ ახალგაზრდას.

დეიდა-დისწულის მიწერ-მოწერა მეტად იშვიათად სწარმოებდა.

ერთს უნდოდა მეორის წერილი მიეღო, მაგრამ თვით რომ მიეწერა, თით ქოს ერიდებოდა, თავი არ მოვაბეზროო, თითქოს ეშინოდა სათქმელს მაინც ვერ გამოვთქვამო; თითქოს ყოველ მათგანს იმდენათ მეტყველების იმედი არ ჰქონდა, რამდენად ხმისა და გამომეტყველების.

ამიტომ წერილები მუდამ იწყებოდა საყვედურით! „პარმენ, რა ამბავია ერთი შენი წერილი არ მაღირსე ..“ და გრძელი მოკითხვის, ათასჯერ თხოვნის, შენი ამბავი შემომითვალეო, მხოლოდ შემდეგ ორი სიტყვა ეწერა: „თუ ჩემს ამბავს იკითხავ, ქე ვარ ასე გვარიანად...“ თითქოს პარმენს არ აინტერესებდა, თუ რა გადახდა ამ დროის განმავლობაში სალომეს, თუ რას გრძნობს, რისი იმედი აქვს და სხვა.

ასე პარმენიც ჩვეულებრივ სწერდა: „დეიდა სალომე, შენი წერილი ერთი საუკუნეა არ მიმიღია... ხომ სიბერე არ შემოგეპარა, იქნებ მოგწყინდა... ცოტა კიდევ და აქეთ გადმოგიყვან... არ შემიშინდე, მე კარგათ ვარ. ევზამენები ჩავაბარე. მოსკოვს მივდივარ“... და მეტი არაფერი.

მაშინაც კი, როცა პირველად პარმენმა 50 მანეთი გამოუგზავნა, სალომე დიდხანს ფიქრობდა რა მიეწერა: ჯერ აპირებდა ფულის უკან დაბრუნებას—ახალგაზრდა კაცია, მასვე დაჭირდებაო, მე კი რად მოვიხმაროვო. ცოტა იტირა კიდეც ბედნიერებისაგან, და მადლითა და სიყვარულით გული ევსებოდა, მაგრამ წერილი მაინც არ გაუგზავნია, მხოლოდ ფული შორს, ზანდუკში შეინახა, ჩვრებში შეხვეული, როგორც ძვირფასი რამ საგანძური; შემდეგშიაც გამოუგზავნა ერთი-ორჯერ ოცი-ოცდაათი მანეთი და სალომემ დახარჯა, მაგრამ ის ხუთი თუმანი მძიმეთ იყო შენახული.

წელი წელს მისდევდა. ცხოვრება სწრაფად იცვლებოდა, მხოლოდ უცვლელად აფრქვევდა თეთრ, წითელ და ყვითელ ყვავილს ტყემალი, ბროწეული და ატამი. შეიცვალა სალომესა და პარმენის ცხოვრებაც.

სალომე კავშირშიაც ჩაეწერა. ერთხელ კავშირის კრებაზე სალომეს მეზობელმა გაზეთი „კომუნისტი“ გადასცა, და უთხრა, წაიკითხე,—შენი პარმენის ამბავიო.

ვრცელი წერილის კითხვა უკვე მობეზრებული ქონდა, როცა წააწყდა: „სწავლის დასამთავრებლად მოსკოვში გაგზავნილი პარმენ ფარუაძის ქანდაკებაც ყურადღებას იპყრობს დინჯის მოფიქრებით, ოსტატობითა და ნაზი გრძნობით.. აკლია მხოლოდ უბრალოება, რომელიც ოსტატობის სრულყოფის დამახასიათებელია“...

„მივდივარ“—გაიფიქრა სალომემ და გაზეთი მეზობელს უკანვე დაუბრუნა.

— მომილოცავს—ეს ნამდვილი გამარჯვებაა. თვითონაც მოგწერდათ უსათუოდ. ნახავთ ხომ? ალბათ თვით პარმენმა უკვე დაგპატიჟათ—მაცდურად დაუწყო გამოკითხვა მეზობელმა.

— როგორ არა! კი!—იცრუა სალომემ, რადგან ეგონა პარმენსაც და მასაც უარის ყოფა დაამცირებდა მეზობლის თვალში.

— როდის?

— მგონი ხვალ.—სთქვა და ენა მოიკვნიტა. როგორ წავა? ვისთან წავა? ტფილისი ხომ ბალახვნის ქუჩაზე არ ძევს, რომ თავსაფარი შემოიხვიოს და გასწიოს! გზა კი იცის?! მისამართი?! მაგრამ სიტყვა წამოცდა და ახლა უკან დახევა ხომ თავს მოსჭრიდა?! თანაც ეს თბილისი არც ისე შორსაა—ხალხი ყოველდღე მიდის და მოდის. პარმენს როგორ გაუხარდება. ასეთ მის დაწინაურებასაც ნახავს, თორემ ის როდის მოიცლის... და კავშირის თავმჯდომარესთან შევიდა. მანაც ურჩია, უსათუოდ წადიო, ქარხანაში წერილი მიუწერა ოთხი დღით გაანთავისუფლეთო და თან დააიმედა, თუ რომ გაგიჭირდეს ჩვენს კავშირში შედი, ბინასაც გიშოვნიან და შენც მოგაწყობენო. სალომემ პარმენისგან გამოგზავნილი ფული ამოიღო, თავის ახლად მიღებულ ჯამაგირს მიუმატა, პატარა ჩემოდანი ინათხოვრა და გზას გაუდგა.

სალომეს იმდენი თავის სამტვრევი ფიქრი და საქმე ჰქონდა—როგორ მონახავს პარმენს, როგორ მიიღებს პარმენი, რომ ვერ ვნახო, რა წყალში ჩავარდებიო,—რომ ყურადღება არ მიუქ-

# შინ

**ლეო ქიაჩელი**

თავი პირველი

ორთქლმავალი ელნათურით განათებულ ბაქანთან მატარებელი დადგა. [illegible]

[illegible]

თითქოს მხოლოდ ერთხელ დაახამხამაო, ისე მალე დახუჭა მატარებელმა ბოლოზე ცალად მიბმული თავისი წითელი თვალი. ვაგონების ჩაქროლებით შერყეულ ბურუსს ადამიანის ლანდი მოწყდა და უკაცურ ბაქანზე მოჩვენებასავით ამოძრავდა. ელნათურის სინათლეს მიაშურა. სვეტსქვეშ დადგა და მიმოიხედა.

ცალ ხელში მოგრძო ყუთი ეჭირა. წითელარმიელის ფორმიანი ფარაჯა ეცვა, მკერდზე შეხსნილი, ქუდიც ფორმის ეხურა. ბაქანზე რომ თვალი ვერავის მოკრა, მოკლედ შესძახა:

— ჰეი! — და იქაურობა უფრო დაკვირვებით შეათვალიერა. არავინ გახმაურებია. სკამების რიგს ბოლომდე ჩაუარა. ისევ დადგა. ცივმა სინესტემ ცხვირში შეუღიტინა. ნესტოები ააცმაცურა, გამობერა და ჰაერი ისე ჩაყნოსა. შმორის სუნი ეცა, ტბორეში ჩაყრილი თევზის სიმყრალეს რომ ჰგავს.

— ხოხოხოო! — წამოიძახა უცებ აგზნებით, თითქოს იმ სიმყრალეს შეეგებაო. სუნი უთუოდ არ იყო სასიამოვნო, მაგრამ წითელ არმიელის გულს ისე მოხვდა, თითქოს გაახარაო კიდევაც, ნისლით დაფარულ მშობელ არეს თვალი რომ შეავლო, ახლა ყნოსვით მაინც იცნო. იგი ბავშვობითვე ნაცნობი, თანშეზრდილი სუნი იყო მისი აკვნის დამრწევი მიწისა.

ყუთი ძირს დაუშვა. შეხსნილ ფარაჯაზე ხელი გაიკრა, გადაიწია და წელზე ქამარი შემოიხსნა. გაშალა, მათრახივით გაატლაშუნა, ყუთს დაწვდა და გარდიგარდმო შემოაკრა. სახელური გამოუნასკვა. ასწია, — ღვედს გამძლეობა გაუსინჯა. შემდეგ ორივე ხელით ქუდი შუბლზე ჩამოიფხატა, თითქოს ბინდისა და ნისლის შესატევად გაემზადაო, ყუთი ზურგზე მოიგდო და იქაურობას ერთბაშად მოწყდა, ბურუსში ჩაინთქა.

შუაგზით მიალაჯებდა. ყუთის სიმძიმისაგან ზედატანი ოდნავ წინ წაეხარა. ნისლს მაღალი მკერდით მიარღვევდა. გზის ზედაპირზე ახლად მოყრილი ღორღშერეული ხრეში ფეხქვეშ ედებოდა და ნაბიჯების მწყობრ ცვლას ურევდა. სვლას მაინც არ ანელებდა, მისი ჩექმის ლურსმნიანი ძირი ქვაზე ჩხრიალს იღებდა, თითქოს ცხენი მიჯირითობსო. უკმაყოფილებას კი გრძნობდა, რომ გზა რიგიანად მოსწორებული და დატკეპნილი არ იყო. ამის გამო ჰაერში გამდგარი შმორის სუნიც ახლა სხვანაირად ეჩვენებოდა, საძხილებელ ნაკლად ვილაცებს ჰკითხავდა გუნებაში და იმათი სახელების მოგონებას ცდილობდა. ვისაც აქ ამ საქმის მოვლა ევალებოდა. სულ წინ იცქირებოდა. ნეტავი, გათენდებოდეს და ნაცნობი ადგილები დავინახოო. ეჩვენებოდა, რომ განთიადის ჟრიამულს მასთან საყვარელ სოფლიდან მონაბერი რამ ხმაურობა მოჰქონდა და ყურებს ცქვეტდა, არ გამომეპაროსო. — და ასე წინ მიიწევდა შეუჩერებლად.

არც კი შეუმჩნევია, ბინდი ისე სწრაფად აიკრიბა. ნისლის ქულები ახლა ზოგი შორეული მთების ფერდებს შეხიზნებოდა, ზოგიც მახლობელ ტყის თავზე შებერტყილიყო.

მალე მზის ცქრიალა სხივიც წამოეწია, გაუსწრო და მის ლანდთან ერთად წინ გზის სიგრძეზე ლარივით გაერთხა. არ მოელოდა, რომ ისე სწრაფად თავს დაათენდებოდა. მაგრამ მზე რომ იყო, არ გაკვირვებია. იცოდა: განთიადის ნისლი მზიანი დღის მომასწავებელია. ხოლო მაინც ასე უცბად რად გაჰქრა ბინდი? ან მყრალი სინესტით გაჟღენთილი ნისლი ასე ფიცხად რამ გაანიავა? აღმოსავლეთისკენ რომ მოიხედა, ძალაუნებურად შედგა. მთელი ტანით შეტრიალდა და გაოცებული სახე ცის კიდურს მიაპყრო.

შორეული მთის თხემზე ვეება ხანძარი ენთო, ბურთივით შემრგვალებული, და ისეთი მოგუზგუზე ალის ბურბუშელა აეყარა, რომ ცეცხლი მთელ ზეცას შეკიდებოდა. ღველფიანი მუგუზლები წყდებოდა და დედამიწას კიდით კიდემდე გურგურით თავს ეყრებოდა.

პირველად კი არ იყო, რომ წითელარმიელი მზის ამოსვლას ხედავდა. ვინ დასთვლის, რამდენჯერ შესწრებია ცეცხლის ბურთის ასე უეცარ ამოვარდნას სამყაროს უფსკრულიდან სწორედ, აი, იმ შორეულ მთის თხემზე. საკვირველია: უკანასკნელ დანახვას იგი ყოველთვის ისევე გაუოცებია, როგორც პირველს და ასე მუდამჟამს.

მუდამ საკვირველად ეჩვენებოდა ისიც, რომ ამომავალი მზის გურგური ყურით კი არ ესმოდა, არამედ ხედვითა და იმ შინაგანი მგრძნობელობით, სხეულში რომ სადღაც მიმალულია. უთუოდ უცნაურია გურგური რომ უხმოდ იგრძნობა. მორწმუნე რომ იყოს სასწაულად იწამებდა, წინაპრებს არც გაემტყუნება, რომ მზე ღვთაებად მიაჩნდათ. რა თქმა უნდა, სასწაულს რომ გავს — ეს მოჩვენებაა და ახლა ვინ არ იცის, რაც ნამდვილად ხდება იმ ცის კიდურზე?

თვალი გაუსწორა ცეცხლის ბურთს. მაგრამ მალე ისევ დახუჭა. ვერ გაუძლო მისი სინათლის ძალას.

— მართლაც, რა ძალაა! — გაიკვირვა გულში და თვალებდახუჭული შეეცადა მზის ძალის წარმოდგენას.

სრულიად მოულოდნელი იყო მისთვის, რომ ამ დროს მარჯვენა ხელი უცებ მაღლა შემართა, თავზემოდ წრე შემოიხაზა და შემდეგ ტანის საზეიმო მიმოხვრით ცისკენ ალაპყრო, თითქოს თაყვანის საცემად მოემზადაო. იქნება, ეს შედეგი იყო მზის ძალის წარმოდგენის ამაო ცდისა. იქნება, ბუნებრივი აღტაცებისაგან მოუვიდა და მისალმების, შეგებების მაჩვენებელი იყო მისი საქციელი, — ალბათ, თუ გრძნობდა, რომ მის ახალგაზრდა გულშიც ისეთივე ცეცხლი ენთო, როგორც იმ მზეში, და მის ძარღვებშიაც სისხლი ისეთივე უხმო, მაგრამ ძლიერი გურგურით მიმოიქცეოდა, როგორც ტატანის გასწვრივ მზის ცეცხლისაგან აღენილი ალი...

ამის გარჩევაში არ შესულა. ხოლო, როცა თვალები გაახილა, ცხადად ენიშნა, რომ მისთვის მეტად შეუფერხებელ პოზაში იდგა შუაგზაზე, პირისპირ ამომავალი მზისა და ნათელგადაღვრილი გაშლილი არემარისა. სასაცილოდ მოეჩვენა და გაიფიქრა: რას იტყვიან, რომ ამხანაგებმა აქ ამ სახით დამინახონო.

და ერთი მეზობელი მოაგონდა, სახელად კოსტაია, — კაცი მეტად უცნაური, წარმართი და მზის თაყვანისმცემელი, მაგრამ მისი კარგი მეგობარი. მზის ყოველ ამოსვლაზე ამ კოსტაიას ხელები რომ სასოებით ცისკენ არ აემართა და ლოცვისნაირი საიდუმლო სიტყვების ჩიფჩიფს არ მოჰყოლოდა, არ იქნებოდა. ამ კოსტაიასაგან მას ახლა ის ანსხვავებდა, რომ მხოლოდ ცალი ხელი ჰქონდა ცისკენ აპყრობილი და ხმამაღლა არ ლოცულობდა, — მარცხენა ხელი ზურგზე მოკიდებული ყუთის საყელურისთვის რომ ჩავლებული არ ჰქონოდა, ალბათ, იმასაც მაღლა ამართავდა და კოსტაიასა და მას შორის განსხვავებაც მოიშლებოდა, რადგანაც გულში რომ მზეს დიდებას ასხამდა ჩუმად, ლოცვა თუ არ იყო, ლოცვას მაინც ჰგავდა.

შერცხვა, აშვერილ ხელს ქვემოდან დაცინვით ახედა, სხვისი ხომ არ გამობმიაო და მოწყვეტით ჩამოუშვა. ტანის უცნაური შემართულებაც გაისწორა.

— საიდან სადაო? — გაიკვირვა,

ნამდვილი პარტიული წიგნაკი ედვა დემობილიზებულ ვაჟკაცს ჯიბეში და მშობელ სოფელს უბრუნდებოდა, რომ ახალ ცხოვრებისათვის ჯერ კიდევ კომკავშირლობის დროს დაწყებული ბრძოლა და შრომა განეგრძო. ახლა გამომდგარა და...

ჩაიცინა.

— ეს ყველაფერი კოსტაიას ბრალიაო, თქვა გუნებაში. გადაწყვიტა მზისთვის ზურგი შეექცია და თავის გზას დადგომოდა. მაგრამ მზესთან ასე გაყრა დანანდა. თავი დაუქნია მეგობრულად, ერთხელ კიდევ შეხედა და შეუღიმა, ასე შეეთამაშა:

„მზეო, ამოდი, ამოდიო...“

ცისფერ თვალებში მზე უნათებდა, გაშლილ სახეზე ალის ფერი უკრთოდა, ხოლო ახლად ამოყრილი ულვაშებით დამშვენებულ ტუჩებზე ორნაირი ღიმილი შეკიდებოდა: სიცოცხლის უშუალო სიხარულისა, რომელიც სიჭაბუკის თანამგზავრია, და გონებამახვილობისა, უნდო ეჭვით რომ სინჯავს როგორც გარეშე საგნებს და მოვლენებს, ისე თავის საკუთარ თავსაც.

ისევ გაშლილი ნაბიჯით მიდიოდა. უკან დაეტოვებინა ტაროებაცლილი, მაგრამ ჯერ კიდევ მოუჭრელი სიმინდის ხმელი ღეროების ჩალნარი, რომელიც კარგა დიდ მანძილზე მის გზას მარჯვნივ და მარცხნივ მოსდევდა. ახლა ბორცვებს, ბექობებს და გორებს უახლოვდებოდა და ეს ახარებდა...

სულის მოუთქმელად აირბინა პირველსავე სერზე. თხემზე გადადგა და ხარბი თვალები ერთი მოსმით გადააწვდინა მის პირდაპირ ტყეებისა და ნარინჯოვანთა ბაღნარების მწვანე ხავერდში გახვეულს, ღოროჩოღორო ხეობაში მიმოფანტულს სოფელს.

შორიშორს გაშლილად მიმობნეულ კარმიდამოებს ყოველი მხრიდან გარს შემორტყმოდენ მუქმწვანედ მოკიაფე ჩაის ბუჩქების სწორი ხაზები, გვირისტოვანი ნაკერივით გამართულები. ზურმუხტის ქოჩორაყრილი ჩაის რიგები, ერთმანეთს მხარ და მხარ მიჯრად მიყოლილები. სერიდან სერზე თვალშეუსწრებელი სისწრაფით გადადიოდენ, თითქოს უცნაური რამ დოლი გაუმართავთო, უწყვეტი სრბოლვის შთაბეჭდილებას ჰქმნიდენ. მწყობრი მწყობს შეჯიბრებოდა და მწკრივი — მწკრივს. აქ რომ ფერდობებს შეფინებოდენ, იქ ბექობებსა და გორაკებზე გაშლით ავარდნილიყვნენ და მათივე ფერის ცის ლაჟვარდს გულზე მიხუტებოდენ. იქიდან უფსკრულს გადაჩეხილნი ისევ მაღლობებს თავს მოქცეოდენ და თავიანთ უსრულ გზას სულ მაღლა და მაღლა განაგრძობდენ, თითქოს ტყეებით შემოსილ მთებზე იერიშის მიტანა განუზრახავთო.

შურით და გაკვირვებით დასცქეროდენ ტყეები მათკენ შეუწყვეტლივ მომავალ უცხო ჩიგვნარებს, უჭკნობი სიმწვანითა და მარადიული სიცოცხლით შეიარაღებულებს. თავად კი შემოდგომის დაღვრემილობა შეპაროდათ და შენაცრებულიყვნენ.

— აჰა, არ დანებდეთ შემოდგომას, შეუტიეთო! — უძახოდა გულში ნაცნობ ტყეებს წითელარმიელი.

ენანებოდა, რომ მისი სიყრმის მესაიდუმლეთ გულმკერდი შემოდგომის ნაფეხურებით დადაღოდათ და ტანზე თალხი ფერების ჯაჭვი შემოკვროდათ. მაგრამ ის კი ახარებდა, რომ სიცოცხლის ძალა და ხალისი მათ ჯერ კიდევ არ გამოლეოდათ და პარვით მოახლოვებულ ჭკნობის ლანდებისთვის ბრძოლა გაემართათ.

ოქრომკედით მოქარგულიყვნენ, ქარვითა და საფირონით მოოჭვილიყვნენ. უკანასკნელი მარაგიდან მოტანილი ფერადების ამღერებით მზის მაცხოველებელ სხივებს შეგებებოდენ. ზოგან ლალის კოცონებიც დაენთოთ, თითქოს წითელი დროშა გაუშლიათო, შემოსეული ზრობის მოთარეშე ლაშქრის უკუსაქცევად.

საომარი სიმღერაც შემოუძახნიათ!

— აგრე, აგრე!

მართლაც, საიდან არის ეს სიმღერა, წითელარმიელს რომ გარკვეულად ესმის? სმენა თუ ატყუებს და ფერთა კიაფი ხმებად თუ ეჩვენება?

როდის იყო, რომ ტყე მღეროდა?

მაგრამ აი ნამდვილი კრიმანჭული. მკაფიოდ ისმის მისი თავშეუკავებელი, დედამიწას ერთბაშად აწყვეტილი განავარდება, ცამდის ალმავალი.

— ურიჰიჰივაოო... ურიჰიჰივაოო...

ესეც მოძახილი... აი, ბანის გუგუნიც...

საკვირველია, თითქოს ყველა ხმა ნაცნობიაო.

თვითონაც გააპირა აქედან ხმის შეწყობა. გულმა ვერ მოუთმინა...

მაგრამ თვალებმა კი დაასწრეს:

უახლოესი გორაკის ფერდზე, ქოლგასავით ფართოდ გაშლილ ჰილოფის ქუდებში შემალული, ჩაის ბუჩქებს კალანჩხებით შეიარაღებული ადამიანები დალახდეს.

აი, თურმე სიმღერაც ასე მკაფიოდ საიდან ისმოდა! როგორ ვერ დაინახა ამდენი ხანი ამხანაგები!

ნეტავი რომელი ბრიგადაა, ასე ადრე სამუშაოზე გამოსული? ან ვინ არის, ასეთ მაღალ კრიმანჭულს რომ ამბობს?

— ქალის ხმაო, — თქმა და ცნობა ერთი იყო.

და სერის გადასახედზე, სადაც იდგა წითელარმიელი, მაღლიდან ძირს დაქანებულ მოგრძო ყუთს ჰაერში გაშლილად შეფრიალებული ფარაჯის კალთა გადაეფარა...

## ლ უ რ ჯ ა ს ს ი კ ვ დ ი ლ ი

**გიორგი კაჭახიძე**

ეძოვა კარგად, კარგადაც ესვა
წყალი ღელეში, ყანების გასწვრივ...
ცხენების გვერდით, საღამოს ჩვენსას,
იგიც დააბით ტყემლებთან ბაწრით.
დაძინებამდე ლოგინში ტკბილად
დიდხანს გვესმოდა ფრუტუნი მისი.
დრო გასულიყო... გვეწვია დილა
და იდგა სოფლად ჩაცხულის ნისლი.
ფარეხში მყოფი მეწველი ფური
ელოდა მწყემსს და უმზერდა ქუჩას.
ცხენებმაც ფხიზლად აცქვიტეს ყური,
წამოდგენ, მაგრამ ვერ ადგა ლურჯა.
შეშინებული თვალებით იწვა,
დროდადრო მაღლა იწევდა კისერს.
გაჰკრა ნალი და გაკაწრა მიწა,
აიმართა და დაეცა ისევ!
ბრტყელი კბილებით ისრესდა გულ-
მკერდს,
სტანჯავდა რაღაც ბუნების რისხვა.
რა მოიქანცა, აიჩვილდი უკვე,
დაეწვა ხვედრმა და თვალებმა მისმა.
ძველი ჭრილობა გახსნოდა მუხლთან,
შუბლზე დავადე რატომღაც ხელი;
შებრალებოდა, რომ ასე წუხდა
სახელოვანი არმიის ცხენი.
რა უნდა გექნათ! ეფერეთ ბევრი,
რომ შეეწყვიტა დავრდომილს კვნესა...
ოცი დღის წინათ, დაღლილი რბენით,
ის მო ყვანეთ ფრონტიდან ჩვენსას.
ხარობდა თქვენთან — მხედრებში
ყოფნით,
ბევრჯერ ტრიალი გლეხებშიც ერგო...
იმ წელს დაინგრა ერობა სოფლის
და ხალხის დროშა ეჭირა რევკომს.
ლურჯას ენახა: დღეები ნგრევის,
კაცი ქცეული ზარბაზნის ლუკმად;
ენახა: თოვლში ჩაფლული მკვდრები
და მტრის ჯარების გაქცევა უკან.
ენახა: ბრძოლა იქითა მთებში,
მრავალი ღამის გათევა ცისქვეშ,
მტრის ორთქმავლები, გამთბარი შეშით.
როგორ გარბოდენ ქაქანით ზღვისკენ.
გადურჩა სიკვდილს და გატყდა, ალბათ,
ახლა უეცრად დაეცა იგი,
და სიბრალულით უმზერდა დაბლა
ნორჩი, მოსხმული ტყემლების რიგი.
ვის რა შეეძლო!...
ყვებოდით რიხით
რევოლუციამ რაც სთქვა და ზარდა;
ყვებოდით, როგორ გვხდებოდათ
ლიხი,
როცა ებრძოდით თეთრებს და ზამ-
თარს.
ნათქვამმა თქვენმა იმ ზაფხულს ჩემში
რაღაც გმირული ხალისი შექმნა;
ვინატრე ღონე, ვაჟკაცის ეზხი,
იარაღი და მეომრის ჩექმა.
ღამით მოვიდა პატარა წვიმა,
ტანმაღალ ხეებს დაბანა პირი;
ტოტებს წყდებოდნენ წვეთები წმინდა
და იშვენებდნენ ფოთლები ტირილს.
კვდებოდა ლურჯა... ნავახშმევს ყელი
დაეკრუნჩხა და შესწყვიტა სუნთქვა...
ცაში გაირღვა ღრუბელი სქელი
და ღამე გასჭრა ვარსკვლავთა შუქმა.
დავხედე ლურჯას, ლოდივით დუმდა
სადმე გმირულად დაღუპვის ღირსი.
ვინაღვლე იგი, რომელსაც მუდამ
მომაგონებდა ხვიხვინი მისი.
ძველი მეგობრის სიკვდილი უკვე
ცხენებმაც იგრძნეს, დაეტყოთ წყენა.
უცქირეს სოველ ეზოს და შუკებს
და ფრუტუნებდა დილამდის ყველა.
დილით წაიღეთ საბრალო ლურჯა,
გადაატარეთ მინდორი ვრცელი
და ღელის პირად დამარხეთ ყუჩად
სახელოვანი არმიის ცხენი.
გაგახსენდებათ ამბები იმ წლის,
ბაბუს ეზო და ტყემლების ჩერო!,
სად ხართ! გიგონებთ!... გონებით
ვიღწვი,
თქვენამდე სიტყვის მოწვდენას
ვჩემობ!
ხვნის დროა ახლა, იშლება კვირტი,
იცინის ცა და ქვეყანა ჩემი.
სიცოცხლე გატკბა, ვივიწყებთ სიკვ-
დილს
და გაზაფხულის მომღერლად ვრჩები.
ციდან დაცვენილ მნათობის ისრებს
ვერ უძლებს ველზე მდებარე ჭირხლი.
სოფელი დგება ფეხზე და ვისმენ
ტრაქტორის ხმას და ცხენების
ჰიხვინს.

1936 წ.
თებერვალი

ცევია არც მატარებლისათვის, თუმცა რკინისგზით პირველად მოგზაურობდა, არც მგზავრებისათვის, არც უცნობ ადგილებისა და ქალაქებისთვის და კვდარივით ეძინა.

თბილისში კარგა ხანს მოუხდა გამოფენისა და პარმენის ძებნა.

ზოგს ვერ გააგებინა, რას ეძებდა, ზოგმა გამოფენა არ იცოდა სად იყო და ზოგს ეჩქარებოდა და სასწრაფოდ გაუგებარს რასმე ეუბნებოდა, მაგრამ ბოლოს მუზეუმსაც მიაღწია და კარზე მდგომ კაცს შეეკითხა.

— პარმენ ფარუაძე აქ არის?

— ვინ პარმენ ფარუაძეა!

სალომეს ეწყინა.

— პარმენ ფარუაძე, მოქანდაკე... მისი ქანდაკებები აქ არის გამოფენილი.

— კანტორაში შებრძანდით და იქ გეტყვიან...

კანტორის კარის გაღება ვერ მოასწრო სალომემ, რომ მაგიდასთან მჯდომი პარმენი ფეხზე წამოდგა და სალომესთან მივარდა:

— დეიდა, შენ! რათ არ მომწერე, შეგხვდებოდი მაინც? — და ერთმანეთს გადაეხვიენ. სალომეს ხვევნა-კოცნა არ გაუგრძელებია, მოერიდა, ამხანაგებში პარმენი სასაცილოდ არ გავხადოვო.

— დაჯექი, დეიდა, დაღლილი იქნები, უძინარი.

— აბა რა დამღალავდა, უსაქმოდ ვიჯექი დედოფალსავით და ვიძინე, შენმა გაზდამ, მთელი ღამე.

პარმენმა სალომე თავის ამხანაგებს გააცნო და უთხრა:

— აბა აჩვენე გამოფენა... მე სასტუმროში დაურეკავ ოთახი მოუმზადონ...

— ბინისთვის ნუ სწუხარ, ჩვენთან წავიყვან, დედაჩემსაც იამება და დეიდაშენიც უკეთ მოისვენებს.

— არა, არა, ვანო! ჩვენ იმდენი გვაქვს სალაპარაკო... თანაც დეიდას უნდა ვაჩვენო მთელი თბილისი — ხშირად შეიძლება უდროო დროს დავბრუნდეთ შინ, და მოხუცებულ ქალებს უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენებთ..

— როგორც გენებოს... აჯობებდა კი.

სალომე და ახლად გაცნობილი შეჭაღარებული ვანო დარბაზში გამოვიდენ და სურათებისა და ქანდაკებების დათვალიერება დაიწყეს.

— ეს მარქსია — იაკობ ნიკოლაძის, ეს — პროფესორი მელიქიშვილის ბიუსტია, მაგრამ თქვენ პარმენის ნამუშევარი ყველაფერს გირჩევნიათ... აი აქეთ მობრძანდით... ეს არის თქვენი პარმენის გამოქანდაკებული, — და მიუთითა მაღლა ხელაწეულ ძახილით ბაგე გაპობილ ათი-თერთმეტი წლის ბიჭის მარმარილოს ქანდაკებაზე.

— ეს ბიჭი ვინაა?

— თვითონ თქვენი პარმენია ბავშვობისას ქალბატონო — ოდნავის ნ.მალევის ღიმილით უპასუხა ყმაწვილმა.

ქალმა მორიდებულის ალერსით ხელი გადაუსვა ქანდაკებას, დააკვირდა. ჩაფიქრდა, მერე იჭვიანი თვალები ყმაწვილს მიაპყრო და უთხრა:

— არა, ასე თამამი და მხიარული ვერ მეყოლებოდა პარმენი — ასეთი ცხოვრება არ გვქონდა...

უბრალო ქალისაგან ასეთ გონიერ განმარტებას არ მოელოდა ყმაწვილი და ცოტა არ იყოს უხერხული ოხუნჯობის გამოსასწორებლად დაიხარა და უთხრა:

— რა თქმა უნდა, თქვენ მართალი ხართ... მე ვიხუმრე მხოლოდ. ეს ნორჩი ლენინელია ან თუ გნებავთ პიონერი... ის, ვინც ამ თორმეტიოდე წლის განმავლობაში დაიბადა!

— პარმენ, დეიდაშენს ძლიერ აინტერესებს შენი მუშაობა... უამბე რამე... — მიმართა ვანომ მათკენ ჩქარის ნაბიჯით მომავალ პარმენს.

— რა ბევრი გითხრა დეიდა, მე შენი ქანდაკება უნდა გავაკეთო.

— უი, უი, მაგი ვისლა უნდა!

— მე ურჩევ და თქვენც ძალა დატანეთ.. მე ვიცი თქვენი რიდი და პატივისცემა აქვს პარმენს... სტალინის ქანდაკება გააკეთოს...

— არა, ვანო, არა, ამისთვის ჯერ კიდევ არა ვარ მზად... ჯერ კიდევ უნდა გავიწაფო... ეს დიდი საქმეა და დიდი პასუხისმგებლობა სდევს თან.

— ახლა რას აკეთებ, პარმენ? შეეკითხა სალომე.

— ახლა დეიდა მე უნდა გამოვკვეთო ქალი — ახალგაზრდა ქალი — ჯანსაღი, ლამაზი და გონებრივად განვითარებული, რომელსაც შეეძლება სავსებით შეითვისოს ჩვენი წყობილება და თან გაამაგროს ჩვენი საერთო სამშობლო.

— მართლა, პარმენ, რომ არ დამავიწყდეს, რიფსიმემ მითხრა, იქნებ ნატო მომინახო და შემარიგოვო...

— ნატო, აქაა, დეიდა, თუ გინდა შეგახვედრებ.

— დაგიძადლებ... ამბობენ, კარგი ქალი დარჩაო...

— დიაღაც კარგი — ექიმია, დიდიხანი არ არის, რაც ჩამოვიდა, ოღონდ არ მგონია, დედ-მამა ინახულოს, მეტად მწარე დღეები მახსოვს მათგან და მეტად გამწირეს მას შემდეგ, რაც სახლიდან გამოვიქეცით.

— ვიცი მაგრამ — მშობლებს თითქოს სხვაგვარად უნდა მოპყრობა.

— ვინც მშობელია, მაგრამ... მაგრამ ეს გამოფენა დავათვალიეროთ. თბილისი დიდია და შენ ყველაფერი უნდა გაჩვენო... ხომ დიდხანს დარჩები ჩემთან, დეიდა?

— არა, მე ზეგ უნდა წავიდე.

— აჰ, აჰ, არა! მაგრამ ეს მერე ვნახოთ...

3.

მთელი დღეები პარმენი დააჭენებდა სალომეს, უნდოდა ყველაფერი ეჩვენებინა. რაც შეიძლება მეტი ესიამოვნებინა. ქალს რა თქმა უნდა, ბევრი რამ აკვირვებდა, მაგრამ ყველაფერზე უფრო აკვირვებდა, რომ ის, სალომე, ასე დაჰქრის ეტლით, ასეთ სასტუმროში ცხოვრობს, ასე თავაზიანათ ემსახურებიან, რომ დიდი კაცები, რომელთა შესახებ გაუგონია, რომ ქვეყანას მართავენ, ჯარებს უძღვიან ასე სადად, მეგობრულად, სრულიად თანასწორად ექცევიან. ქუთაისშიაც ასე იყო უთუოდ, მაგრამ იქ ხომ არავინ ეგულებოდა ისეთი დიდი კაცი.

— შენ დეიდაჩემო, აქ უნდა დარჩე, ქუთაისმა როგორც გეტყობა ვერ მოგიხერხა გადახალისება.

— რა ვქნა. პარმენ, გონებით ყველაფერი ეს მესმის, კავშირში ტყვილად კი არ დავდივარ კრებებზე... მაგრამ გულით, ისე შიგნით... ვერ შევჩვევივარ.

— დარჩი, დეიდა, და ამ თბილისში გამოიცვლები — ეხუმრებოდა პარმენი.

— არა, პარმენ, მე სიტყვა მივეცი რომ ხუთშაბათ დილით სამუშაოზე გამოვცხადდები და უნდა წავიდე კიდეც — გადაჭრით უპასუხა სალომემ.

— რა ასეთი საქმე გაქვს მონდობილი, რომ კიდევ რამდენიმე დღით ვერ დატოვო?

— აკი გითხარი, მთელი ქარხნის სარეცხი მე მაბარია.

— მაგისგანაც მალე გაგანთავისუფლებ — აი მოვეწყობი ოღონდ.

— გმადლობ... მაგრამ მე უფრო მიამება, თუ შენ ცოლს შეირთავ... მე კი ზოგჯერ მოვალ და გინახულებ.

— აბა, დეიდა, ამ საღამოს შენს ნაცნობებს შეგიკრებ, ნატოს და გახსოვს ის მოხუცებული რაბისში რომ დაგვხვდა და ისე გულმხურვალედ მოჰკიდა ჩვენს საქმეს ხელი... მან მოიპოვა, როგორც ეტყობა, თავისი სარბიელი, ლოტბარია და ხალხურ მუსიკას და მუსიკალურ იარაღებს ჰკრებს.

— მოდი, პარმენ, ამ ვახშამს ნუ გამართავ.. ძლიერ ბევრი ჯდება უსათუოდ.

— თუ დარჩები...

— ვერა! ვერა! ჩემს მაგიერ კავშირის მდივანმაც მისცა სიტყვა, და არ მინდა უხერხულ მდგომარეობაში ჩავაყენო...

სალომეს, გარდა მიცემული სიტყვისა, აჩქარებდა დიდი ხარჯები, რომელსაც პარმენი ეწეოდა მხოლოდ მისი გულისთვის.

— წასვლაზე ფიქრს უკეთესი იქნება მიამბე შენი ამბავი... რას შვრები, როგორ ცხოვრობდი ეს ათი წელიწადი..

— მე რა მაქ ბევრი სათქმელი? ჩვენი ძველი ბინა თითქმის ძალით დამაცლევინეს — არ მინდოდა დატოვება, მაგრამ ქარხნის სამრეცხველო რო მომანდვეს, იქ გადასვლაც მაიძულეს... დავდივარ კრებებზე... ბევრი რამ მასწავლეს... აი შენი ამბავი მითხარი, პარმენ...

— ჩემი ამბავიც მოკლეა დეიდა: როცა აკადემიაში დამაბინავეს, მასწავლებელი მომიჩინეს, ამხანაგებიც შეხმარებოდენ ისე, რომ შესასვლელი ეგზამენი დავიჭირე... ჯერ მსმენელად ვიყავი და მხოლოდ ორი წლის შემდეგ ნამდვილ სტუდენტად ჩამრიცხე?ს, განმეორებითი ეგზამენის შემდეგ.

— არ გაგკვირვებია, პარმენ... შენ მუდამ მწერდი კარგად ვარო.

— რა თქმა უნდა, გაჭირვებაც იყო, მაგრამ იოლად მივდიოდით.. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც პატარ-პატარა სამუშაოებს მოვკიდეთ ხელი — ჩვენც ვიცოდით რომ ახლად დამყარებულ მთავრობას მეტი არ შეუძლია.,. ახლა დეიდა, ასე აღარ წვალობენ სტუდენტები...

— რა თქმა უნდა, ახლა ცხოვრება გაადვილდა, გაუმჯობესდა. ეტყობოდა არც ერთი არ იყო ბაასის ოსტატი.

4.

სუფრას ხუთი უსხდა. მოხუცი მუსიკოსი და პარმენი არ იყვენ ღვინის მოყვარულნი. ქალებმა კი პირველი ჭიქაც არ გაანახევრეს; ვანო მაინც ცდილობდა სუფრისათვის ქართული ელფერი შეენარჩუნებინა და სადღეგრძელოებს არ აკლებდა; როცა განმეორებით სალომეს სადღეგრძელო დალია, უთხრა:

— აქ ორი მოქანდაკეა — ერთი პარმენი და მეორე თქვენ. თქვენი მადლიერი უნდა იყოს პარმენი, თუ რამეს მიაღწევს... თქვენ გამოაქანდაკეთ ის პატიოსან, შრომის მოყვარე კაცად და მისი ნიჭი დაიხშობოდა, რომ თქვენ არ ამოდგომოდით გვერდში.

სალომემ მიატოვა მოხურული შალის ფოჩვების წიწკნა, ფიქრებიდან გამოერკვა და უპასუხა:

— გმადლობთ, გმადლობთ... ღირსი არ ვარ.

— სიამოვნებით ვსვამ სალომეს სადღეგრძელოს, მაგრამ თქვენ დაგავიწყდათ მესამე მოქანდაკე, ყველაზე უფრო დიადი და მასიური, ათასებს რომ აძლევს შესაძლებლობას თავისი ნიჭი და უნარი განავითაროს, აცდენილ გზიდან რომ სწორ გზაზედ გადმოიყვანს. ეს არის სახელმწიფოებრივი წყობილება და პარტიული ხელმძღვანელობა — დაიწყო მუსიკოსმა.

— მართალია! და ჩემთვის, როგორც პარტიულისათვის, განსაკუთრებით ის არის სასიამოვნო, რომ ასე ამბობენ და გრძნობენ უპარტიო ინტელიგენტები — დაადასტურა ნატომ.

— ტოსტი ნუ წამართვით, ამხანაგებო, მე იგივე აზრი სხვა სიტყვებით მინდოდა მეთქვა — შენიშნა ვანომ.

— მე ტოსტს არ ვაპირებ... მე მუსაიფის სახით ჩავურთე სიტყვა — უპასუხა მუსიკოსმა.






# გ უ რ ი ა ნ თ ა

დემნა შენგელაია

გურიანთის თემი ეწერი მიწებითა და სილატაკით განთქმული იყო მთელ გურიაში.

გაჯავრებული გურული თავის გასათხოვარ ციცას ასე აშინებდა:

— ჭკუით იყავი, ცავ, თვარა გურიანთაში გაგათხოვებო!

ახლა გურიანთის კოლმეურნეობა ერთი უმდიდრესი კოლმეურნეობათაგანია მთელს კავშირში და გასათხოვარ ციცებს კი არ ეშინიათ, პირიქით, ნატრობენ გურიანთაში გათხოვებას.

ბევრი ბრძოლა და შრომა გადაიხადა ამხ. ფილიპე მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ, რომ გურიანთის ეს გატეხილი სახელი აღედგინა.

გურიანთის კოლმეურნეობას 1930 წლის თებერვალს ჩაეყარა საფუძველი. ახალ კოლექტივს გროშ-ფარა არ გააჩნდა საქმის დასაწყებად და იძულებული გახდა ორასი მანეთი ესესხა ადგილობრივ „ეპო“-საგან. მეორე წელს კოლმეურნეობას სახელმწიფო დაეხმარა 100.000 მანეთის კრედიტით. წელს კი კოლექტივმა 1.025.000 მანეთის მოსავალი აიღო თავისი „მწირი“ მიწებიდან. კოლექტივში 625 კომლი შედის და ისინი ძმებივით ეხმარებიან ერთი-მეორეს ჭირსა და ლხინში. ამ ხუთი წლის განმავლობაში 112 ოთხთვალიანი ოდა აუგეს უსახლკარო მეზობლებს, შეიძინეს აუარებელი რკინის ლოგინები, სკამები, ელვა ლამპები... მათ ცაკის თავისი წევრი ჰყავთ, თავისი სტახანოველები: ერმილე მუჯირი და მიხაკო შეწირული. თავისი გამოცდილი თავმჯდომარე ლადიკო ჩხაიძე, თავისი აგრანომი სერაპიონ სურგულაძე, რომელიც ამ კოლექტივის ღარიბი გლეხი იყო და 1930 წელს შემოდგომით ტფილისში გაგზავნა კოლექტივის გამგეობამ და იქ უმაღლესი განათლება მიიღო.

ეს ჩაიდინა იმ მიწებმა, რომელიც ამშევდა სიმინდის ხალხს და ახლა აძლებს ჩაის თაობას, მაგრამ მიწასაც ხომ შეძლება უნდა? ეს შეძლება მას საბჭოთა ხელისუფლებამ მიანიჭა და ახლა თებერვლის შუა რიცხვებში, ოცი-ოცდა ხუთ გრადუსიანი სითბოებით გაბრიყვებულმა ტყემლებმა და ალუჩებმა კვირტი საყვავილედ რომ გაბერეს, უეცრად ტაროსი შეიცვალა და ერთ ღამეში წელამდე თოვლი დაჰყარა.

მე აქაურ სასახელო კოლმეურნე მელენტი ქუტიძესთან მივდივარ.

ისევ თოვს.

სახურავებზე გასული ხალხი ხრილავს ოდებს, ბერტყავს ჭოკებით სატელეფონო ქსელს.

ყველაფერი გადათეთრებულია, მიწას სძინავს, სოფელი მიყუჩებულია. ეს,— გუშინ ზღვასავით გადალურჯებული და დღეს დათოვლილი ჩაის პლანტაციები სჩანან ლამაზად დალიანდაგებულ უზარმაზარ ლეიბებივით.

მასპინძლის ჭიშკარს რომ მივადექით, 83 წლის მელენტი საჩეხეში რაღაცას საქმიანობდა. უცხო კაცის დანახვაზე ჭიშკრისაკენ, გამოემართა და სამზად სახლიდან გამოჰყვნენ თან მოხუცი ცოლი და ორი პაწაწინა შვილიშვილი.

საიდანღაც ძაღლმაც დაიყეფა, მაგრამ ამ თოვლში ალბათ წელის ათრევა შეეზარა და სიჩუმე არჩია.

საიდანღაც ძაღლმა დაიყეფა, მაგრამ ამ თოვლში, ალბათ, წელის ათრევა შეეზარა და სიჩუმე არჩია.

ცოლ-ქმარმა ცხენი ჩამომართვეს და ოდაში რომ შემიპატიჟეს, სიცივისაგან ლოყებალეებული ხუთი წლის ქერა თალიკომ ხელი ბავშვური სითამამით გამომიწოდა და ისე შემიძღვა სახლში.

მალე დიასახლისმა ბუხარში ცეცხლიც შეანთო, პატარა მრგვალ მაგიდაზე გაჩნდა არაყი, ღვინო, თხილი და თხილისავე გრძელი ჩურჩხელები. მე და ჩემმა მასპინძელმა უცებ მოვნახეთ საერთო ენა და ბაასი ამ აღუღუნებულ ბუხარივით დაგვიტკბა.

მელენტის ბატონყმობის დრო გუშინდელ დღესავით ახსოვს, მაგრამ მაინც ჭარმაგად არის, მხოლოდ ყურს აკლია ოდნავ და წელშიც ოდნავ მოხრილა.

წელს მან ორასი შრომადღე გამოიმუშავა და ამის გამო იგი ხუთი შრომადღით ზედმეტად იქნა დაჯილდოვებული.

— ვმუშაობ, ბატონო! (ეს სიტყვა ჯერ კიდევ არ გადავარდნილა აქ ხმარებიდან) —ამბობს იგი.—აბა რა ვქნათ? უმუშიერი კაცი ხომ კაცობაში არ წერია? ჩემ ყანაში რომ მარტო ვმუშაობდი, ერთი ვიყავი და აჰა, ოთხმოცდასამი წლის ბერიკაცი მქვია და ერთი წელიწადი რაა, ერთი წელიწადი არ მახსოვს, რომ სარჩო სამყოფი მომსვლოდეს. ივლისიდან მეზობელ სოფლებში ვიყავი გასული და დღეში ათი გირვანქა ჭადის ფასად ვეხმარებოდი. ამ დროს გლეხს სახლში ვინ ნახავდა? ყველა ბათომში, სოხუმში, ან ფოთში იყო წასული საშოვარზე. არც ბატონყმობის დროს გვადგა კაი დღე. ჩემი ბატონი გიგო ნაკაშიძე იყო და ბაღნები შიშით არ ვიყავით. ხან ამ სოფლიდან გაიტაცებდნენ ქალ-ბაღნებს და ხან იმ სოფლიდან თათარში გასასყიდად:

ბატონყმობა რომ გადავარდა სიხარულით ვმღეროდით:

ვარალალი-თარალალი,
ბატონყმობა აღარ არი.
სამოვარი რომ დაადგეს,
ჩამბერველი აღარ არი.

არც მერე დაგვდგომია უკეთესი დღე. ზეკუციები, ნადელები და ათასი გაჭირვება მაინც არ მოგვცილდა გლეხებს და ახლა, ამ ქვეყანას რომ ვუყურებ, მიხარია.

— მენშევიკების დროს როგორ ცხოვრობდით?— ვეკითხები ბაასში გართულ მელენტის.

— გლახათ, ბატონო! ძალიან გლახათ —მიპასუხა მან კატეგორიულად.— ორი ქცევა ჩაი მქონდა. ჩაქვი მისი ჩაის ფაბრიკით ინგლისის ხელში იყო. ავდექი და სახლში დავამზადე, მარა ჩაისთვის ვის ეცალა? რომ ვერსად გავყიდე, გული მომივიდა და ერთ დღეს წალდით ავჭერი პირწმინდათ. ვიფიქრე, სიმინდს მაინც მევიწევ თქვა, მარა თლად დევიღუპე! აჭრილმა ჩაიმ უარესად ამეიყარა და ვეფერი მოუხერხე. ახლა რომ მახსენდება, სიმწრით მეცინება. ახლა ყოველ ძირ ჩაის შვილივით ვუვლი. რატომაც არ მოვუვლი რა! გურიანთა ჩაიმ გამოაჩინა ქვეყანაში და ჩვენც ჩაით გვიდგას პირში სული. უწინ რომ ვმუშაობდი, მარტო ვიყავი ჩატოვებული ჩემს სიღარიბეში და მწუხარებაში, ახლა რომ ვმუშაობ, ქვეყანა მიყურებს, შრომა მიფასდება და არც აფერი მაკლია! უეცრად მელენტიმ ჩემდა მოულოდნელად მწუხარედ ამოიოხრა და თავი სინანულით ჩაიქნია:

— ეეჰ, ეხლა რაა, რავარც იქნა მევესწარი ბედნიერ დღეს, მარა იმ ჩემ გამჩენს რა უთხარი! პაწაი გვიან დავბადებულიყავი, რა მიჭირდა, მარა აფერია, სიბერეც რომ არ გამიმწარდა, იგიც დიდი ბედნიერებაა!

გარეთ თოვლი ისევ ჰბარდნის გურიის მთა-გორებს და ჩვენ რომ ამ ბაასში ვართ, უეცრად სროლა გაისმა,—ვიღაც ჩხართვებზე ნადირობს. ეს მელენტის ვაჟია. ის ქალაქ მახარაძის მილიციაში მუშაობს და ახლა მამასთან ამოსულა, ზამთარია და ხომ არაფერი უჭირსო.

ჩვეულება და ყურადღება, თორემ რა უნდა უჭირდეს, როცა ხალხი ერთ ოჯახად გადაქცეულა?

# ჩემი დედაქალაქი

ლევან მეტრეველი

**1.**

ოქტომბრის გრიგალს ტფილისშივე შევხვდი ფეხზე მდგომი შუალამისას. მე მივეგებე ამ გრიგალს ნათესაურად, როგორც მშრომელი მკერდიდან აღმომხდარ სუნთქვას. და იმ წუთიდან, ოცდახუთი თებერვლის პირველი წუთიდან, ტფილისმაც იცვალა ფერი, იცვალა სახე, იცვალა არსება.

აი, რეკავს გასაბჭოების თხუთმეტი წლის თავი. ამ ხნის განმავლობაში ფეხუცვლელი მოწმე ვარ ტფილისის ზრდისა, გამშვენიერებისა, მისი მნიშვნელობის გაძლიერებისა.

თხუთმეტი წელიწადია, რაც ტფილისი გამოაღვიძა ლენინ-სტალინის იდეების ქარიშხალმა. მასუკანია იგიც შეჭხარის დიად ოქტომბრის მზის ბრწყინვალებას და ახალ-ახალ ხავს აყენებს სოციალისტურ მშენებლობისას.

თხუთმეტი წელიწადია ახალი სისხლი ჩუხჩუხებს იმის ძარღვებში. ახალი ხალხი ჰკვეთავს იმის სახეს.

ყოველდღე იცვლება, იზრდება იგი. ეს მიხარია, როგორც მის კალთაზე გაზრდილ შვილს. ამიტომ მინდა თხუთმეტი წლისთავზე სიყვარულით ერთხელ კიდევ გადავავლო თვალი მის სახეს და ყურიც დავუგდო მის გულისცემას.

**2.**

ყოველდღე გვემშვიდობებიან ჩვენი ტფილისის ნაშთები და იქცევიან ან პოეტურ მოგონებად ან ინთქებიან დავიწყებაში.

ყოველდღე გვეგებებიან ახალი ტფილისის ძეგლები და გვიამბობენ ბუმბერაზული ცხოვრების მოვლენებზე, გულის ცემაზე.

ახლა ყოველი დღის გათენება იმდენ ახალ საქმეებს გვიჩვენებს, რაც ასეული წლებისთვისაც წარმოუდგენელი იყო ტფილისის განვლილ ისტორიაში.

როგორც მთელი საქართველოსათვის, ისე ტფილისისთვისაც სრულიად ახალი ისტორია დაიწყო 21 წლიდან.

გავიდენ წლები და ქალაქის კედლებმა, ქალაქის ნიადაგმაც შექმნეს თრთოლა. ტფილისმა დაიწყო დიდ საწარმოო და კულტურულ ქალაქად გარდაქმნა. ახალი ცხოვრების შემოჭრამ დაუნდობელი იერიში მიიტანა ძველი ქალაქის დრომოჭმულ უბნებზე, სულშემხუთავ ქუჩაბანდებსა და ხვრელებზე. იგი ყველგან მოითხოვდა სიახლეს, ჰაერს, სინათლესა და სილაღეს. და ძველმა ქალაქმა ჯერ მძიმედ მოსდრიკა წელი, შემდეგ კი სავსებით შეურიგდა თავის ულმობელ განკითხვას.

შეწყდა აქლემების ქარავნების მიმოსვლა, თავრიზიდან და ჰამადანიდან რომ ეზიდებოდენ სურნელოვან აღჯანაბადსა და ალიბუხარს, ქარვისებურ ინდისხურმასა და ირანის სხვა ათასგვარ ნუგბარ ხილეულს.

დაიკარგენ წყნეთიდან და დიღომიდან საღამ-საღამოობით შუაქალაქში მოხმაურე ჯორ-სახედრების ქარავნები —ირინული განზალაკებით და გუმბათისებურ თავადგმულ ნახშირის ტომრებით.

ისინი განდევნეს ჩვენი ცხოვრების სარბიელიდან ტრამვაიმ, ავტომ, ავტობუსებმა.

დაუნდობლად ანგრევენ ქუჩებს და თან მიაქვთ საშუალო საუკუნოების წვრილ-ხელოსნური საბუდრები. თან მიაქვთ ჟამთასვლისაგან, აღა მაჰმად-ხანის აოხრებისაგან, მიწისძვრისაგან გადარჩენილი ბანიანი სახლები ან შემდეგ ულაზათოდ მიყრილი ქოხმახები. და შენობებთან ერთად თან მიაყოლებენ მაშინდელი ქუჩის ცოცხალ სახეობასაც: უკვე გაჰქრა ის დრო, როცა აივნიდან აივანზე გადმომდგარი ქალები ყბამოულეცლად ჭორიკანაობდენ მეზობლების გათხოვება-დაქორწინებაზე.

ახლა მოდის სრულიად ახალი ქუჩები და მოედნები. მათ მწკრივებში იზრდებიან ახალი ამძვინვარებული ცხოვრების სასახლეები და ქარვასლები, დ ე ვ გ მ ი რ უ ლ ი ფაბრიკები და ქარხნები ან ზურმუხტოვანი ბაღები და ხეივნები.

უკვე შეუძლებელია ყველაფერი ასწერო—რაც ტფილისში შენდება და კეთდება ამჟამად. ყოველდღე სულ ახალ-ახალ რამეებს ხედავ. ყოველდღე უფრო და უფრო მეტი მშენებლობა იზრდება თვალწინ.

ამ ერთი-ორი კვირის წინეთ გავიარე მეტეხისაკენ. ყველაფერი თითქოს ძველებურად იყო. გავიარე შემდეგ და რასა ვხედავ.

მეტეხი, ეს თვითმპყრობელობის აკლდამა უკვე სახურავ-აყრილი ინგრევა საძირკვლიანად, როგორც უკვე დაინგრა მისი გამომჭედი წესწყობილება.

მეტეხი ერთად-ერთია და ღირსშესანიშნავიც რევოლუციის სისხლით დაწერილ ისტორიაში. აქ ტყვედ ყავდათ გამომწყვდეული მთის არწივი, **ორჯონიკიძე, კალინინი, კამო.**

აქ მოჰკლეს ჯალათებმა **ლადო კეცხოველი**—ეს დაუვიწყარი, სწორუპოვარი თანამებრძოლი კობა ჯუღაშვილისა.

და დღეს ინგრევა ეს მეტეხი.

ჩქარა მისი ნასახიც აღარ დარჩება. მის ადგილას აღიმართება დიადი სასახლე ხელოვნებისა.

ქვევით, მეტეხის ძირშიც, მთელი რევოლუცია მოხდარა. სადღა არის ის ძველის ძველი სამჭედლოები, რომელთა გრდემლისა და კვერის კაკუნი გადადიოდა დღიდან დღეზე, საუკუნიდან საუკუნეზე.

ძველი სამჭედლოებისავე გზას გაჰყოლიან იქაური ბაყალხანა, ლილახანა, სირაჯხანა, ალაფხანა და სხვა მრავალი „ხანა“.

ჰაერი და სილაღე შეჭრილა მეტეხის ჯურღმულოებში და ოღროჩოღროებში.

აი ვეებერთელა მკერდგაშიშვლებული კლდე!

აქ იყო სახელგანთქმული სირაჯხანა, სადაც დღევანდელი ლიტრების გვერდით კიდევ ცოცხლად ინახებოდა „გაწუწული ჩარექის“ მოგონება, სადაც კიდევ კენტად დარჩენილ ყარაჩოღელებს გულამოსკვნით უმღერდენ თავიანთ თეჯლისებს ეთიმ-გურჯი და მოხუცი ბეჩარა.

დღეს აქ ქუჩა გაშლილა განიერი. იქ, პირდაპირ ქარვასლის კიბეზე ზის საბუდარ-დანგრეული გიორგი კუპრაჯი და ჯერ კიდევ ვერ შორდება მიჩვეულ ადგილს. შოფერი მხიარულად მოაქროლებს თავის ავტოს კუპრაჯის ნადუქნარზე. მას აღარ ეშინია რომელიმე კუთხეზე დაჯახების ან სადმე გაჩხირვის.

მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია იმ დიდი სამუშაოების, რაც სრულად განხორციელდება ამ მოკლე ხანში: თათრის მოედნიდან მტკვრის მორევებზე გადმოეკიდება ახალი ხიდი. იქიდან მხარბეჭიანი ქუჩა წამოვა სახეშეცვლილ სირაჯხანის აღმართით და შეუერთდება კახეთის მოედანს.

მუხრანის ხიდიდან კი მტკვრიდან ამოცურვებული ვეშაპივით მოიზმორება კალიაევის აღმართი. ერთი წლის თავგამოდებული მუშაობა ბოლოს დამთავრდა ბრწყინვალე გამარჯვებით. ეს ქუჩა კი არა, ახალი მშენებლობის პირველხარისხოვანი მონუმენტია.

აი სწორედ ამ კალიაევისა და სირაჯხანის აღმართებით ტფილისი სამუდამოდ შემოიერთებს დიდ ოჯახში უგზოობით დაშორებულ ძმას—ჰავლაბარს.

კახეთის მოედანი, დაასფალტებული, მოკოპწიავებული, ის უკვე ჰავლაბრის შუაგულის ნამდვილ ლაზათს წარმოადგენს.

და კახეთის ქუჩა! ეშმაკიც რომ კისერს მოიტეხდა შუადღის გულზე! ახლა დაასფალტებული, გასუფთავებული, ლურჯი სუფრასავით გაშლილა პურმარილიანი კახეთისკენ.

აქ ახლად მოვლენილ მრავალ სიკეთეთა შორის ძალაუნებურად განცვიფრებით შეჩერდებით უდიდესი ძეგლის წინაშე.

ეს არის ავლაბრის თეატრი.

შორიდან, ქალაქის მონაპირე სიმაღლეებიდან ბევრჯერ შემიმჩნევია ჰავლაბრის შუა გულში, რაღაც ზვიადი შენობის წითელი შუბლი. ახლა კი ვნახე რაც ყოფილა. ტანმორჩილ მოძმეთა შორის ის ახალი გოლიათივით აღმართულა ძველი ისნის მკერდზე.

**3.**

მადათოვის კუნძული! გუშინდელი მისი მნახველი განა გაოცებული არ დარჩება დღეს? სადღა არის ნასახი იმ უმსგავსო შენობებისა და ნაგავხანისა, გუშინ რომ თვალსა სჭრიდა იქ გამვლელ მოქალაქეს. ახლა მთელი ეს კუთხე გულის სალხინობელი ბაღით არის დამშვენებული და სისუფთავის ნიმუშათაც გადაქცეულა.

ელბაქიძის ხიდიდან მოყოლებით მტკვრის ტალღებზე გაწოლილა სანაპირო კედელი. მას საგანგებოდ ამშვენებს ზარნიშივით შემოვლებული წითელი და თეთრი ქვის მოაჯირები. ტფილისის მცხოვრებლები აქაურ ნორჩ ხეივნებში გასულ ზაფხულს უკვე მტკვრის ნიავით იგრილებდენ დასიცხულ შუბლს.

ჩვენ უკვე შევეჩვიეთ სიტყვებს „ბუმბერაზული“, „გიგანტური“ და სათანადო წარმოდგენას ველარ ვქმნით რაიმე ახალ მშენებლობის მასშტაბზე და მნიშვნელობაზე. ამიტომ ჩელიუსკინელების ხიდის შესახებ მე აღარ ვიტყვი არც ბუმბერაზულს, არც გიგანტურს. მე ვიტყვი უბრალოდ: ეს არის ნამდვილი სტალინური ძეგლი ჩვენი ქალაქის მშენებლობაში. გავა ათი წელი, გავა ასი წელიც და მრავალჯერ გაზრდილი ტფილისი ამ ხიდზე მაინც ვერ იგრძნობს ვიწროობასა და საფრთხეს.

სიმკვიდრე, სილამაზე, სიდიადე, სიმარჯვე— ყველაფერი ახლავს ამ ხიდს.

ერთი-ორი წლის წინათ ვინ მოიფიქრებდა, რომ ეს დაშორებული, მივიწყებული და უდაბური ადგილი ტფილისისა გადიქცეოდა საქალაქო მშენებლობის უდიდეს მიღწევად, რომ ის წარმოგვიდგებოდა მთელი ტფილისის ულამაზეს კუთხედ.

ერთ მხარეს— მწვანე გორებშუა მიმავალი ხიდის პროსპექტი, მეორე მხარეს მშვენივრად მოგალავნებული ზოოლოგიური ბაღი, შუაში—გატკეცილი საქართველოს სამხედრო გზა. ამათ ჯვარედინზე კი აეროდრომის ტოლა საუცხოვო მოედანი—საბჭოთა კავშირის გმირებისა, აქედან გაკრიალებული პროსპექტი მიგაქანებთ შუაგულ ქალაქისკენ. აქ რუსთაველის პროსპექტზე შეგაჩერებთ ერთი დევ-გმირული შენობა.

ეს არის მარქს-ენგელს ლენინის ინსტიტუტი.

მისი სხეული უკვე დამთავრებულია, ახლა სამკაული აკლია მხოლოდ. მისთვის ჯერ არ ჩამოუხსნიათ ჩაჩქანივით შემოვლებული ხის ხარაჩოები. მაგრამ ალნაგობაზე აშკარად ეტყობა, რომ ეს შენობა მართლაც საკადრისი იქნება მათი, ვის სახელსაც იგი ატარებს.

ცოტა ქვევითი, ძველი სასახლის მეზობლად ცისკენ მიიწევს ცხრა სართულიანი ახალი სასახლე მთავრობისა.

თავისი უბადლო სიზორბავით ეს არის თანამედროვე კოლიზეუმი ტფილისის მშენებლობაში. მაგრამ ეს მხოლოდ ზურგია. ჯერჯერობით მისი პირდაპირი ფასადი კი საუკეთესო ხუროთმოძღვრების შესაჯიბრ საგნად გადაქცეულა.

აჰა გულდაგულ ტფილისმაც შეიძინა ერთი ღირსეული მოედანი. სწორედ ყოფილი თამამშევის ქარვასლაზე [illegible] ახლა: „იყო და არა იყო რა“, იმის სანაცვლოდ გადაშლილა უზარმაზარი მოედანი ეს არის განახლებული ტფილისის შავგვრემანი ლოყა. ამ ლოყას ახლა აკლია ხალი—რომელიმე უკვდავსაყოფი ძეგლის სახით.

ქარვასლის გზას გაჰყვა ძველი იარმუკაც. ან ტფილისი ამდენხანს როგორ ინელებდა ასეთ უმსგავსო რამეს შუაგულ ადგილას! მის სანაცვლოდ უკვე შენდება ბაღი.

მუხლმაგარი ხალხისათვის კი უკეთესია ნარიყალის გორაზე გავლა. ეს ნატვრისთვალით საძებნელი გასავლელ-გადმოსახედი აქნობამდის გამოუყენებელი იყო ქალაქისათვის თავისი მიუდგომლობისა და მოუწყობლობის გამო. ახლა კი ბოლშევიკურმა მშენებლობამ აქაც გაავლო თავისი კვალი. კოჯრის გზიდან ნარიყალის ციხემდე გაყვანილია დაასფალტებული გზა, მოწყობილია ვერანდები. მათ ნაპირებს კი ამშვენებენ ქოჩორა ხეივნები. შარშან ზაფხულში ტფილისის მცხოვრებლებმა უკვე გული იჯერეს აქ სიამოვნებით.

იგერ სტუდენტთა ქალაქი ვაკეზე! მეცნიერთა ქალაქი საბურთალოზე, საწარმოო ქალაქები დიდუბესა და ნავთლუღში. სად ავღნიშნო ყოველი მნიშვნელოვანი მიღწევა ჩვენი ქალაქის მშენებლობაში, ტფილისი არის ახალი ცხოვრებით აფეთქებულ ნახევარი მილიონის გულის ცემა: ტფილისი არის სოციალისტურ შემოქმედებით აღგზნებულ მილიონი მარჯვენის მოღვაწეობა.

აქ, ტფილისის სასწავლებლის კედლებში იზრდება ასიათასიანი ნორჩი თაობა. აქედან გამოდიან საქართველოს ნიადაგისა და ფაბრიკა-ქარხნების მამოძრავებელი კადრები. აქედან გამოდიან სოციალისტური აზროვნობისა და იდეალების მობაირაღტრენი.

ტფილისისავე ფაბრიკა-ქარხნებში დაუღალავად ატრიალებს მარჯვენას მრავალ ათასიანი ლაშქარი მუშებისა. ისინი სჭედავენ, ქსოვენ, ჰკერავენ, ამზადებენ ათასგვარ რამეს, რითაც ასაზრდოებენ დედა-ქალაქის და მთელი საქართველოს მშრომელ მოსახლეობას.

ეხ, როგორ მოვავლო სავსებით თვალი დედა-ქალაქის ფერადოვნებას!

როგორ შემოვხვიო სუსტი მკლავები ჩემ მხარ-ბეჭიან დედა-ქალაქს.

მაგრამ მამა დავითის გორა—ეს ხომ ბუნების გამოგონების შექმნილი ესტრადაა ტფილისის თავზე საგანგებოთ აღმართული.

პარიზს ენატრება მამა-დავითის გორა და მის სანაცვლოდ ააგო ეიფელის სამასმეტრიანი კოშკი. ჩვენ კი თვით ბუნებამ აგვიგო 700 მეტრიანი კოშკი (ზღვის დონიდან). აქედან შეიძლება იხილოს კაცმა ტფილსის სრული პანორამა.

როგორც ბეელ ყარაჩოღელს უხდება წელზე ვერცხლის ქამარი, ისე უხდებოდა ტფილისის წელსაც მოლაპლაპე მტკვარი. აქედან მოსჩანს საქოჩრე და საფეთქლები მრავალი ახალი მშენებლობისა. აქვე ისმის ქალაქის სიცოცხლით ამოვარდნილ ქარის შრიალი.

მაგრამ მამა-დავითიდან გადმოხედვა ისევ ღამით სჯობია მაინც. მაშინ იცით რას მაგონებს? თითქოს დედამიწაზე დაყირავებულა ზეცა მთელი თავისი ბრწყინვალებითო, ეს არის ნამდვილი ლეგენდა ათას ერთი ღამისა.

დიაღ, კარგია და მიყვარს დღევანდელი ტფილისი—ჩემი დედა-ქალაქი!

ან როგორ არ უნდა მიყვარდეს, როცა აქ ვიხილე პირველი სიყრმის განთიადი, აქ ვიგრძენ სიცხე დავაჟკაცების შუადღეზე და აქვე ველი ჩემი ცხოვრების შემოღამებას.

მე ვცხოვრობ მაღლა, ძალიან მაღლა, მამა დავითის მთის ძირში. ტფილისს ზევიდან დავცქერი: ნავთლუღის რადიო ანძებიდან ავჭალის ალუბლის ბაღებამდე კარგ წარმოდგენასავით მოსჩანს მთელი ქალაქი.

ყოველ დილით, როცა გამოვალ კარში, დავხედავ მხარედან მხარეს და გადავსძახებ ხოლმე: გამარჯობა ჩემო დედა-ქალაქო!

# დ ე პ ე შ ე ბ ი.

ვულოცავ მშვენიერ საყვარელ საქართველოს მისი დიადი ზრდის თუთხმეტი წლისთავს. გულით ვუსურვებ მას შემოქმედებითი ძალების კიდევ მეტ აყვავებას.

ოლღა ფორში

მხურვალე მგზნებარე სალამი მეგობრებს და ამხანაგებს!

ღრმად ბედნიერი ვარ მოგილოცოთ—ქართველი მშრომელი ხალხის და მთელი საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელის დიადი დღესასწაული—საბჭოთა საქართველოს თუთხმეტი წლისთავი.

თქვენი სიმღერები დამკვიდრდენ მშრომელი ბელორუსების, პოლონელების და ებრაელების გულში. ჩვენ ვმღერით მათ და ვამაყობთ, რომ ამ სიმღერებში მზესავით კაშკაშებს ჩვენი ძვირფასი სამშობლოს – საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა.

ვლადიმირ კოვალსკი

მხურვალედ მოგესალმებით, ამხანაგებო, საბჭოთა საქართველოს თუთხმეტი წლისთავის გამო.

ვწუხვარ, რომ ავადმყოფობა საშუალებას არ მაძლევს დავესწრო სახალხო ზეიმს იმ ადამიანებს შორის, რომელნიც ძმებივით მიყვარს და იმ მხარეში, რომელიც გახდა ჩემი მეორე სამშობლო.

ბორის პასტერნაკი



# ქართული წიგნის 15 წელი

მწერალთა კავშირის დერეფნებში ხშირად შეხვდებით როგორც ქართული, ისე რუსული, სომხური გამოცემების რედაქციების წარმომადგენლებს, რომლებიც დაჟინებით სთხოვენ პოეტებსა და პროზაიკოსებს რაიმე თხზულებას. არაჩვეულებრივად გაიზარდა მოთხოვნილება ქართული ლიტერატურული პროდუქციის.

ქართველი მწერლები იბეჭდებიან არა მარტო დედა ენაზე, არამედ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის ენებზე: რუსულად, უკრაინულად, ბელორუსულად, სომხურად, აზერბაიჯანულად. ამასთან იზრდებოდა პერიოდიკაც საქართველოში; წიგნის პალატის ცნობით გამოდის 225 პერიოდული გამოცემა.

ყოველწლიურად მატულობს გამოცემული წიგნების სახელწოდებათა რაოდენობა, ტირაჟი, ხარისხი.

საინტერესოა როგორ იზრდება ყოველწლიურად რაოდენობა გამოცემულ წიგნებისა?

1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წელს საქართველოში გამოვიდა 121 სახელწოდების წიგნი (საერთო ტირაჟი 124.800), 1925 წ. 650 სახელწოდების წიგნი (2.433.390 ტირაჟით). 1930 წელს 1063 (4.796.390), 1032 წ.— 1225 (5.590.560 ტირაჟით) 1934—1371 საერთო ტირაჟით—5.844.399 ცალი.

აქედან სოც.-პოლიტიკური ლიტერატურა—157, ისტორიული—31, ტექნიკური—103, ლიტერატურის ისტორია და კრიტიკა—31, ფილოსოფია და ფსიქოლოგია 13 და მხატვრული ლიტერატურა—158.

1934 წელს გამოცემულ წიგნების ღირსება 9.444.826 მანეთს შეადგენს.

1935 წელს სულ გამოიცა 1047 წიგნი, ე. ი. ნაკლები, ვიდრე 34 წელს, სამაგიეროდ გაიზარდა წიგნების ფურცლადობა: თუ 1934 წელს გამოცემულ 1.371 წიგნების ბეჭდილ ფურცლების რაოდენობა გამოცემათა მთელი ტირაჟში 42.444.612 იყო—სამაგიეროდ 1935—გამოცემულ 1047 წიგნის ბეჭდილ ფურცელთა რაოდენობა 55.215.028 შეადგენს. 1935 წელს გამოცემულ წიგნების ღირებულება 10.521.022 მანეთია.

ამ რიცხვების ფონზე საინტერესოა გავიხსენოთ—რამდენი წიგნი გამოვიდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. „დემოკრატიულ" რესპუბლიკის არსებობის 4 წლის განმავლობაში სულ გამოვიდა 595 წიგნი (ტირაჟი დაახლოვებით 2.270.000 ცალი), ე. ი. ორჯერ ნაკლები იმაზე, რაც ეხლა წელიწადში გამოდის.

საინტერესოა ცნობები, რომელიც აქვს ქრ. რაჭველიშვილს თავის „ქართული სტამბის წიგნში". სულ მისი ანგარიშით —1629—1921 წელს დაბეჭდილია 5.399 წიგნი, ხოლო 1921-დან 1932-მდე—7983 ე. ი. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის თერთმეტი წლის განმავლობაში დაბეჭდილია 2,584-ით მეტი წიგნი, ვიდრე დაიბეჭდა 1629 წლიდან—1920 წლამდე, ე. ი. თითქმის სამი საუკუნის მანძილზე. ამას რომ დაუმატოთ 1932—35 წლებში გამოცემული წიგნების რაოდენობაც (ხოლო უკანასკნელ ორ წელს, ე. ი. 34 და 35 წ. საქართველოში 2,418 წიგნი გამოვიდა) ვნახავთ, რომ საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 15 წლის განმავლობაში გამოვიდა ორჯერ მეტი წიგნი, ვიდრე ქართული წიგნის არსებობის თითქმის სამი საუკუნის მანძილზე.

რაოდენობის გარდა ძალიან გაიზარდა ტირაჟიც. თუ უწინ ქართული წიგნის საშუალო ტირაჟი 1000-1500 ცალს წარმოადგენდა, ამ ციფრმა ახლა 4-5000-ს მიაღწია; ცალკეული გამოცემები კი ათი ათასიანი ტირაჟით გამოდის (თუ არ ჩავთვლით სახელმძღვანელოებს, რომელთა ტირაჟი 100-150 ათას აღწევს).

გაუმჯობესდა ქართული წიგნის გარეგნობა, შეიქმნა ახალი შრიფტები—წიგნი იბეჭდება საუკეთესო ქაღალდზე. საუკეთესო მხატვრები იღებენ მონაწილეობას წიგნის გაფორმებაში. ქართული წიგნი იზრდებოდა მთელ ქვეყანასთან ერთად, დღეს იგი საუკეთესოდ ასახავს და ახასიათებს საბჭოთა საქართველოს ზრდასა და წინსვლას 15 წლის განმავლობაში.




# ჭ ი ა თ უ რ ა

### აკაკი ბელიაშვილი

„ჭიათურა გოროდია
ჩხუბია და ბოროტია".
(ძველი ქართული სიმღერა)

1

ჭიათურა დაიბადა და გაიზარდა ისე, როგორც ერთ დროს ამერიკაში იბადებოდნენ მთელი რიგი ქალაქები ოქროს საბადოების გარშემო. ჩვენმა დიდმა პოეტმა **აკაკი წერეთელმა** საჩხერიდან ქუთაისისკენ მგზავრობის დროს ყურადღება მიაქცია იმ შავ ქვებს, რომლითაც მოფენილი იყო ახლო-მახლო სოფლები. პოეტმა ამ შავი ქვის ნიმუშები აჩვენა ცნობილ გეოლოგ სიმანოვიჩს, რომელმაც გამოარკვია, რომ ეს: „მარგანეცია და საზღვარ გარეთ ამას მგონი მეტალურგიაში ხმარობენო". აკაკიმ დაიწყო აგიტაცია, რათა ჩვენში სამთო წარმოება გაეჩაღებიათ და სხვათა წასაქეზებლად თვითონ შეუდგა მარგანეცის ამოღებას. ჩვენი პოეტი ძლიერ ცუდი მწარმოებელი აღმოჩნდა და ძლივს გაასწორო მოვალეებს, მაგრამ საქმე მაინც დაწყებული იყო და მარგანეცის ამოღებას ხელი მოჰკიდეს საქმიანმა კომერსანტებმა. აუარება ხალხი მიაწყდა ჭიათურას. აქ გამორბოდნენ ბედის მაძიებლები, სწრაფად გამდიდრების მოსურნენი, ყოველგვარი ბნელი ადამიანები. გამორბოდა ყველა, ვისაც თავის კუთხეში დაკარგული ჰქონდა პატიოსანი ადამიანის სახელი, მოდიოდნენ აქ უმიწწყლო გლეხებიც, რომელთაც მოჰქონდათ თავისი ერთად-ერთი კაპიტალი — ძალღონე, რათა თავისი შრომის გაყიდვით ორიოდე გროში აეღოთ.

და იმ ადგილას, სადაც სიცხით გავარვარებულ უზარმაზარ კლდეებს შორის მარტო ხვლიკები ბუდობდნენ და თრიმლის ბუჩქები იზრდებოდა, უცბად გაშენდა ქალაქი ჭიათურა სავაჭრო დუქნებით, ბინძური სამიკიტნოებით, კარტის სათამაშო „ტრახტირებით" და ფიცრული კანტორებით გაჩნდნენ მწარმოებლები, მოიჯარადრეები, რომელნიც თითო მტკაველ მიწის ნაკვეთზეც აწარმოებდნენ მარგანეცის ამოღებას და მოქიშპეებს შორის იყო გაუთავებელი ჩხუბი და მტრობა. ამერიკულ წესზე აქაც ბევრი იყო სმიტის და ვისსონის რევოლვერებისა და ხანჯლების და ხმლების ტრიალი, მკვლელობა და დასახიჩრება, ისტორიას არ ახსოვს მუშების ისეთი მხეცური ექსპლოატაცია, როგორიც ჭიათურაში იყო. მათ ატყუებდნენ ყოველი ფეხის ნაბიჯზე, ჰპარავდნენ წონაში. თავისებური არშინით უზომავდნენ შტაბელებად დადგმულ მადანს და დილიდან საღამომდი ამუშავებდნენ. დღესაც ბევრს კარგად ახსოვს გიგიას მამალი. შესანიშნავი მამალი ჰყავდა მრეწველს გიგია ბრეგვაძეს, ხუთ სოფელს გადააწვდენდა ხმას და ყველაზე ადრე ჰყიოდა. იმის ყივილზე უნდა დაეწყოთ მუშებს მუშაობა და ისიც თავს ევლებოდა თავის მამალს. განსაკუთრებულად უვლიდა, თავისი ხელით აჭმევდა და სულ თვალი ეჭირა, რომ მუშებს თავი არ წაეგლიჯათ ამ იშვიათ მამლისათვის.

2

აღარ არსებობს ძველი ჭიათურა, მავი, ბინძური, ტალახიანი ქუჩებით, მყრალი სამიკიტნოებით და დამპალი ფიცრული შენობებით. ასფალტის მოგებულ ქუჩებზე, ავტომანქანები დარბიან, სადგურის გასწვრივ საბაგირო გზის ფოლადის სვეტები და ბუნკერები ამართულან. ახალი, თვალის მომჭრელი მაღაზიები ელავენ თავიანთ ვიტრინებით. აჩენდა მრავალი ახალი შენობა და კულტური დაწესებულება. მაღაროები გაჩახჩახებულია ელექტრონით და სანგრევებთან მძლავრად გუგუნებენ პნევმატიური ჩაქუჩები. სრულიად გადაკეთდა ძველი სარეცხი ქარხნები. ახალი თერთმეტსართულიანი სარეცხი ქარხანა სრულიად ახალი დაზგებით გამართული, ელავს თავისი ფანჯრებით.

გაჰქრა ძველი, გამდიდრების მოსურნე არამზადების ხროვაც და აქ იზრდებიან სოციალისტური ქვეყნის ახალი ადამიანები.

...ისინი, რომელნიც ჯერ კიდევ გუშინ...

ჰო! ეს 1918 წელს მოხდა, როდესაც პატარა შვიდი წლის ვასილს მამა „ისპანკით" გაუხდა ავად. ღარიბად ცხოვრობდნენ ისინი სოფელ წყალშავში. მათ გვერდზე წახრილ მიწური ქოხის მეტი არაფერი გააჩნდათ. არ ჰქონდათ არც ექიმის და არც წამლის ფული. მოკვდა ვასილის მამა და დარჩა ობლად ამ მიწურში ღატაკი ოჯახი. ვასილის დედა უვლიდა ოჯახს და თოხნიდა ყანას, რომ პატარა ობლები შიმშილით არ მოკვდომოდა. ერთი ბედნიერი დღეც ახსოვს ვასილს. დედამ ერთხელ ბაზარში მოხარშული სიმინდის ტაროები და ერთი კალათი სოკო წაიღო გასაყიდათ. იქიდან რომ დაბრუნდა, ვასილს ერთი წყვილი ქალამნი მოუტანა. ნამდვილი დაზაბული ტყავის თეთრი ქალამანი. ვასილი კინაღამ გაგიჟდა სიხარულით. მას ხომ მის დღეში არ სცმოდა ფეხსაცმელი, მაგრამ დედამ მხოლოდ მოაზომა ქალამნები და შემდეგ სკივრში ჩაკეტა. სად ჰქონდა მათ იმდენი ფული, რომ ყოველ თვე ახალი ქალამნები ეყიდნათ ვასილისთვის? როდესმე საკაიდღეოდ ჩააცმევს. მას შემდეგ დიდხანს, ძლიერ დიდხანს ელოდა ვასილი იმ „კაი დღეს", როდესაც ეღირსებოდა ქალამნების ჩაცმა. ეს სანეტარო დღეც დაუდგა. დედა მორიგებოდა ერთ კულაკს და ვასილი მოჯამაგირედ უნდა წასულიყო კულაკთან, რომელიც „აცმევდა, აჭმევდა და თვეში კაი ხუთ მანათს მისცემდა". ამოიღო დედამ სკივრიდან ქალამნები, გაუწოდა ვასილს, რომ ფეხშიშვლად სამოჯამაგიროდ მისული შვილი კულაკს უგვრო არ დაეჩაგრა. სიხარულით სტაცა ხელი ვასილმა ქალამნებს, მოემზადა ჩასაცმელად, მაგრამ თავზარი დაეცა. ამდენ ლოდინში გაზრდილიყო ვასილი, ფეხი გაზრდოდა და ქალამნები პატარები აღმოჩნდა.

...და იმ პატარა ქვეყანაზე, რომელსაც ვასილი თავის თვალით ხედავდა, არ იყო იმაზე უფრო დაჩაგრული და უბედური ბავშვი. ატირდა ვასილი და ისევ ფეხშიშველი გაუდგა გზას მოჯამაგირეობისაკენ.

გავიდნენ წლები, ბრძოლის დიდი წლები.

3

სტალინის სახელობის № 25 მაღაროს მუშები დარბაზში შეგროვილიყვნენ და გაცხოველებული მსჯელობა ჰქონდათ. გაზეთმა მათ მოუტანა სენსაციური ამბავი დონბასის მაღაროს მუშის ალექსი სტახანოვის გამარჯვების შესახებ, რომლის მუშაობის ახალმა მეთოდმა ყირაზე დააყენა ინჟინერების და მთელი სპეციალისტების მიერ დადგენილი ტექნიკური ნორმები.

ყველას შესამჩნევი აღელვება ეტყობოდა. მოულოდნელად ამხანაგების რიგები გაარღვია და წინ დადგა ახალგაზრდა მნგრეველი მუშა ვასილ სამხარაძე.

— ამხანაგებო, ჩვენთანაც შეიძლება სტახანოვის მეთოდით მუშაობა. მე უკვე მოვიფიქრე, როგორ უნდა მოვახდინოთ ეს გაუმჯობესება აქამდე მე გეგმას 180%-ით ვასრულებდი, ახლა პირობას ვიძლევი გეგმა 400 პროცენტით შევასრულო.

ბიჭებმა დასცხეს ტაში, ხოლო ზოგმა ტექნიკურმა ხელმძღვანელმა იჭვნეულად გაიღიმა. ვასილმა კი გააცნო ტექნიკურ ხელმძღვანელობას თავისი გეგმა, ჩაატარა მოსამზადებელი მუშაობა და დილას, დაიგუგუნა თუ არ საყვირმა, გამართა სამუშაოდ. ღიმილით გადახედა სანგრევთან მოსულ ქრონომეტრაჟისტს და პირველი ხვავი მარდად ისროლა ვაგონში. ორმოცდა ხუთი წუთის შემდეგ დღის ნორმა უკვე შესრულებული ჰქონდა, ხოლო სამუშაოს დამთავრებისას ქრონომეტრაჟისტი კისრის ტეხით გაიქცა ლარივით გაჭიმულ გვირაბში, ჩანაწერ ქაღალდებს ხელში აფრიალებდა და ყვიროდა:

— გეგმის 600 პროცენტი...

— და როდესაც ვასილიც გამოვიდა გვირაბიდან, დაინახა შეგროვილი მფრინავი მიტინგი, სადაც მუშები აღფრთოვანებით ლაპარაკობდნენ ჭიათურის პირველ სტახანოველზე, ვასილ სამხარაძეზე. ყველა აქ შეკრებილიყო: ჭიათურის მთელი პარტიული და ტექნიკური ხელმძღვანელობა, რომელნიც გამარჯვებას ულოცავდნენ ჩვენი ქვეყნის შესანიშნავ ადამიანს, ახალგაზრდა ვასილ სამხარაძეს...

4

ვასილის ოთახი პალმებითაა მორთული. მას პიანინო, პატეფონი და რადიო აქვს. ვასილს წინასწარი შეკვეთებით უმზადებენ სადილს. ყოველ დღე სამუშაოს შემდეგ ღებულობს აბაზანს და სადილის შემდეგ კითხულობს გაზეთებს, წიგნებს, თამაშობს ჭადრაკს, დადის თეატრში და სწავლობს. სწავლობს დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ნაწერებს. ასე ცხოვრობს ოდესღაც ქალამნების მონატრული ვასილ სამხარაძე, ასე ცხოვრობენ ჭიათურის მოწინავე ადამიანები — 500 სტახანოველი, ასე ცხოვრობენ ჭიათურის მუშები, რომელნიც თავისი საკუთარი ხელით აშენებენ ჯერ არ ნახულ სოციალისტურ ქვეყანას და ყოველ დღე მატულობს მათი ენტუზიაზმი.

...და ხუთმეტი წლის თავზე, საქართველოს საბჭოთა ხუთმეტი წლის თავზე, ეს მოწინავე ახალგაზრდობა მოდის გამარჯვებების ახალი პატაკებით.

პატარა იროდიონ ბრეგაძე ოქტომბრის რევოლიუციის ხნისაა.. სამ დაზგაზე მუშაობს და გეგმას 400 პროცენტით ასრულებს.

ვასილ სამხარაძემ გეგმა 900 პროცენტით შეასრულა.

უმანგი მაჭავარიანმა 908,3 პროცენტით.

ასეთივე გამარჯვებებით მოდიან ჭიათურის მაღაროების ასი და ათასი მუშები და მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადის ამხ. ს ტ ა ლ ი ნ ი ს და მისი მოწაფის ამხ. ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ბ ე რ ი ა ს ხელმძღვანელობით აშენებენ სრულიად ახალ ცხოვრებას.

# სოფლად სალიტერატურო მუშაობისათვის

### სიმონ წვერავა

ჩვენს ქვეყანაში შეიქმნა მტკიცე ბაზა შეძლებული, საამური და ლაღი ცხოვრებისათვის. ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და მშრომელ მოსახლეობის კულტურულ-ყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესების გამო, დღითი დღე იზრდება მასების მხატვრულ-კულტურული მოთხოვნილებები.

სწორედ აქედან გამომდინარეობდა საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი, როცა გადაწყვიტა სალიტერატურო მუშაობის გაშლა არა მარტო ქალაქად, არამედ სოფლადაც. სოფლად სალიტერატურო მუშაობის ძირითად ფორმად ცნობილ იქნა სარაიონო ცენტრებში სალიტერატურო ბიუროების მოწყობა, ხოლო სოფლებსა და კოლმეურნეობებში—სალიტერატურო წრეების ორგანიზაცია.

მწერალთა კავშირმა სარაიონო ბიუროების მთავარ ამოცანად დასახა: რაიონში ლიტერატურული მოძრაობის ორგანიზაცია და ხელმძღვანელობა—ლიტწრეების მოწყობა, სალიტ. საღამოების გამართვა, მოხსენებების, დისპუტების მოწყობა ხელოვნების და ლიტერატურის საკითხებზე, თეატრისა და კინოსათვის ხელისშეწყობა და სხვა.

საკოლმეურნეო სალიტერატურო წრე ძირითად ამოცანად ისახავს: 1) კოლმეურნე ახალგაზრდებს და მხატვრული ლიტერატურით დაინტერესებულ მშრომელს მისცეს ზოგადი წარმოდგენა ჩვენი მდიდარი ლიტერატული მემკვიდრეობის და თანამედროვე საბჭოთა მწერლების შესახებ—ცალკეულ ნაწარმოებების სისტემატიური შესწავლის საფუძველზე; 2) ხელი შეუწყოს მხატვრული ნიჭით დაჯილდოვებულ ახალგაზრდების—დამწყები მწერლების გამოვლინებას კოლმეურნეებიდან.

აი, ასეთია ზოგადად სალიტერატურო მუშაობის ამოცანა სოფლად. კონკრეტიულად ამ დიდ მუშაობას სოფლად უნდა უხელმძღვანელოს ვინც უფრო ახლო დგას თავისი მოწოდებით და მდგომარეობით მწერლობასთან, მხატვრულ ლიტერატურასთან და საერთოდ ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდასთან სოფლად ასეთი ადამიანები არიან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები.

ყველგან ერთ და იმავე დროს ამ მუშაობის დაწყება მოუხერხებელი იყო. ამიტომ ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯი გადაიდგა. საქართველოს მწერალთა კავშირმა ორი თვის წინ მასიური სალიტერატურო მუშაობის მოსაგვარებლად ლაგოდეხის, თელავის, სიღნაღის, ზესტაფონის, ჭიათურის, ლანჩხუთის, მახარაძისა, ზუგდიდის, ქუთაისის, სამტრედიის, სენაკის რაიონში და სხვ. გაგზავნა მწერლები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს სარაიონო ბიუროები, ცენტრალური სარაიონო ლიტ წრეები, საკოლმეურნეო სალიტ. წრეები, გამოყვეს ადგილობრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებით ხელმძღვანელები, მისცეს მათ მთელი რიგი მეთოდოლოგიური და პრაქტიკულ-ორგანიზაციული ხასიათის მითითებანი.

საქ. მწერალთა კავშირის ამ ღონისძიებათა შედეგად სალიტერატურო წრეები დაარსდა: **ლაგოდეხის რაიონში**— სოფ. ეფენში, მიხ. ცხაკაიას სახ. კოლმეურნეობასთან, ბაის-უბანში სტალინის სახ. კოლმეურნეობასთან, ვარდისუბანში კომკავშირის მეათე ყრილობის სახელობის კოლმეურნეობასთან და თვით ლაგოდეხში სარაიონო გაზეთის რედაქციასთან; **სიღნაღის რაიონში**: წითელ ანაგას კოლმეურნეობასთან, საქობოში მიხ. კახიანის სახ. კოლმეურნეობასთან და სარაიონო გაზეთის რედაქციასთან: **თელავის რაიონში**: სოფ. წინანდალში შალვა მათიკაშვილის სახ. კოლმეურნეობასთან. მატაანში ფ. მახარაძის სახ. კოლმეურნეობასთან, აწყურში კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძ"-თან და გაზეთ „კოლმეურნეს ხმას" რედაქციასთან; **ჯუღელის რაიონში**; სოფ. ცხრაწყაროში კომუნარების სახ. კოლმეურნეობასთან, სვირში ფ. მახარაძის კოლმეურნეობასთან, ჭალატყეში აფრასიონ მერკვილაძის სახ. კოლმეურნეობასთან და რაიონული გაზეთ „ლენინელის" რედაქციასთან; **ჭიათურის რაიონში**: სხვიტორში აკ. წერეთლის სახ. კოლმეურნეობასთან, სოფ. არგვეთში და გაზ. „ჭიათურის მაღაროელი"-ს რედაქციასთან; **ლანჩხუთის რაიონში**: სუფსაში, ლესში და გაზ. „დამკვრელ კოლმეურნე" რედაქციასთან; **მახარაძის რაიონში**: ბახვში, ლისაურში, ლენინის სახ. კოლმეურნეობასთან და სარაიონო გაზეთის რედაქციასთან. **ფოთში**—სოფ. ჭალადიდში და სარაიონო გაზეთის რედაქციასთან. ზუგდიდის რაიონში ორსანტიას საშა გეგეჭკორის სახ. კოლმეურნეობასთან. სოფ. რუხის კოლმეურნეობასთან და სარაიონო გაზეთ „კომუნარი"-ს რედაქციასთან..

გარდა ამისა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის დავალებით მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებამ ჩამოაყალიბა საკოლმეურნეო-სალიტერატურო წრეები ქუთაისის, ხონის და სამტრედიის რაიონების კოლმეურნეობებში

აღსანიშნავია, რომ მწერლების ტფილისში დაბრუნების შემდეგ დამატებით ჩამოყალიბდა სალიტერატურო წრეები, სოფ. ბაისუბნის და ვარდისუბნის კოლმეურნეობებში. სულ ზემოდაღნიშნულ რაიონებში საკოლმეურნეო სალიტერატურო წრეებში ჩაბმულია ათას ხუთასამდე კოლმეურნე ახალგაზრდა.

კოლმეურნეობების გამგეობები დიდი ყურადღებით ეპყრობიან სალიტერატურო წრეების მუშაობის საქმეს და წრეებს ყოველგვარ პირობებს უქმნიან: აწყობენ ბიბლიოთეკებს, აძლევენ სამეცადინო ბინებს და სხვ. როგორც ზოგიერთი წრის ხელმძღვანელები გვწერენ ადგილებიდან, კოლმეურნეობებმა დიდი სიხალისით და ინტერესით დაიწყეს წრეებში მუშაობა, სარაიონო გაზეთებმაც უფრო მაგრად მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს.

სოფლად მასიური სალიტერატურო მუშაობის გასაღრმავებლად დიდი საქმის გაკეთება შეუძლია სარაიონო გაზეთებს, მათ გაზეთების ირგვლივ უნდა დარაზმონ სალიტერატურო წრეების აქტივი, ხელი შეუწყონ დამწყებ მწერლების გამოვლინებას მათი ნაწერების გამოქვეყნებით, შექმნან ყოველგვარი პირობა დამწყები მწერლების შემოქმედების გაფურჩქვნისათვის. ამ მხრივ უკვე გადასდგეს ნაბიჯი სიღნაღის რაიონის გაზ. „კოლმეურნე", თელავის „კოლმეურნის ხმა"-მ-და ზუგდიდის გაზ. „კომუნარ-მა".

ამ გაზეთების რედაქციებს კარგად აქვთ დაყენებული დამწყებ მწერლებთან მუშაობა, სისტემატიურად აძლევენ სალიტერატურო გვერდებს, ბეჭდავენ ახალგაზრდა ავტორების და დამწყები კოლმეურნე მწერლების მხატვრულ ნაწერებს.

სოფლად მხატვრული ლიტერატურის გულმოდგინე და საფუძვლიანად შესწავლის დიდი სურვილია. ჩვენი კოლმეურნეები იბრძვიან რა მოსავლიანობის გადიდებისა, შრომადღეების ბარაქიანობისა და ნამდვილი შეძლებული, მხიარული ცხოვრებისათვის, ამავე დროს ასეთივე ხალისით და მონდომებით ეწაფებიან კულტურას და ხელოვნებას.

უთუოდ კულტურული ზრდის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ ლაგოდეხის რაიონის კოლმეურნეებს დიდი ინტერესით წაუკითხავთ შოლოხოვის „გატეხილი ყამირი", შოთა რუსთაველის „ვეფხის ტყაოსანი", ვაჟა-ფშაველასა და აკაკი წერეთლის ლექსები, რომელთაც ისინი ზეპირად მღერიან; მ. ჯავახიშვილის „არსენა მარაბდელი", კ. ლორთქიფანიძის ძირს სიმინდის რესპუბლიკა".

ამ კულტურული ზრდის მაჩვენებელია—სიღნაღის, თელავის და ლაგოდეხის კოლმეურნეობებში მოწყობილი ლიტერატურული საღამოები, რომელთაც დიძალი კოლმეურნეები დაესწრნენ. მათ მოითხოვეს, რომ მწერალთა კავშირმა ხშირად მიავლინოს მწერლები სოფლებში, რომ კოლმეურნეები პირისპირ შეხვდნენ ჩვენი ქვეყნის მხატვრული სიტყვის ოსტატებს.

არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ახლად ჩამოყალიბებული სალიტერატურო ბიუროები, საკოლმეურნეო წრეები, რაიონული კომიტეტების და საქ. მწერალთა კავშირის ოპერატიული, კონკრეტიული ხელმძღვანელობით მოკლე ხანში მიაღწევენ დიდ წარმატებებს და უფრო მაღალ დონეზე აიყვანენ მასიურ სალიტერატურო მუშაობას.


პ/მ. რედაქტორი—აკაკი თათარიშვილი
პ/მ. რედაქტ. მოადგილე დავით დემეტრაძე
პ/მ. მდივანი—ნიკოლოზ ჩაჩავა



საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლის თავის აღსანიშნავად

მწერალთა სასახლეში გაიმართება

**საზეიმო საღამო**

მონაწილეობას მიიღებენ ქართველ მწერლებთან ერთად საკავშირო მწერალთა კავშირის მიერ მოვლინებულ დელეგაციის წევრები.





თებერვლიდან იწყებს გამოსვლას საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ათდღიური გაზეთი

**„ლიტერატურული საქართველო"**

მიიღება ხელის მოწერა „სოიუზპეჩატი"-ს ყველა რწმუნებულთან და კიოსკებში.

**ხელის მოწერის პირობები**—თვეში 1 მან. და 50 კაპ. 3 თვით 4 მან. და 50 კ., 6 თვით 9 მანეთი. ერთი წლით 18 მანეთი.

გამომცემლობა „ფედერაცია"



მთავლიტი № 7002. ცეკავშირის სტამბა. პუშკინის ქ. № 3. დაკვეთა № 231.